

ივანე  
ჯავახიშვილის  
სახელობის  
თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
გაზეთი  
გამოდის  
1927 წლიდან



ოგუდსგენის  
რეკომენდაციებს  
ხელისუფლება პატივს  
უნდა სცემდეს  
მე-9, 13 გვ.



საბჭოთა

# უნივერსიტეტი

3 დეკემბერი, პარასკევი, 2009 წ. №14 (2095)

## მსოფლიოს უდიდესი კოლაიდერი 23 ნოემბერს ამოქმედდა



2009 წლის 23 ნოემბერს ევროპის ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ცენტრში (CERN) ამოქმედდა მსოფლიოს უდიდესი კოლაიდერი, რომლის ექსპლუატაციაში გაშვებას დიდი ხანია ელოდა სამეცნიერო საზოგადოება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით CERN-ის გენერალურმა დირექტორმა როლოფ ჰეუერმა ცენტრის წევრებსა და ასოცირებულ წევრებს მისალმოც ნერილით მიმართა. გთავაზობთ ამონარიდებს ამ ნერილიდან:

### მანია ტორაძე

„უჩვენა. 23 ნოემბერი 2009 წელი. დღეს დიდ ადრონულ კოლაიდერზე (LHC) ერთდროულად ორმა საპირისპირო ნაკადმა პირველად დაიწყო ცირკულაცია, რამაც საშუალება მისცა ოპერატორებს,

შეემონებინათ ნაკადების სინქრონიზაცია და დაემზირათ პროტონ-პროტონული დაჯახებები. ნაკადები ამარქარებლის წრეზე ორადგილას დაეჯახნენ ერთმანეთს. შუადღეს, 14 საათსა და 22 წუთზე მათ ერთმანეთი ATLAS და CMS დეტექტორებში გადაკვეთეს, მოგვი-

ანებით კი ALICE და CHCb დეტექტორებში.

„ის, რომ მოკლე დროში ასე შორს წავედით, უდიდესი მიღწევაა, მაგრამ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ პერსპექტივის განწყობა, რადგან ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, ვიდრე LHC-ზე სრული დატვირთვით ამოქმედდება ფიზიკური პროგრამა“, — აღნიშნა მმართველმა CERN-ის გენერალურმა დირექტორმა როლოფ ჰეუერმა.

„20 წლიანი დაძაბული მუშაობის შემდეგ, ეს არის ფანტასტიკური ერისა და აღმოჩენების დასაწყისი ფიზიკაში. დიდი ადრონული კოლაიდერის სახით საერთა-


შორის თანამშრომლობამ უპრეცედენტო სირთულისა და მახასიათებლების დანადგარი შექმნა“, — აღნიშნა ATLAS ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა ფაბიოლა გიანოტიმ.

„ამის შემდეგ დაიწყება საოცარი მოგზაურობა ბუნების საიდუმლოთა სიღრმეში“, — განაცხადა CMS ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა თეჯინდერ ვირდიმ.

„ნანახმა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა, ჩვენ ყველანი მზად ვართ, მივიღოთ სერიოზული ექსპერიმენტული მონაცემები რამდენიმე დღეში“, — განაცხადა LHCb ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა ანდრეი გოლოტვიჩმა.

„პირველმა დაჯახებებმა ოვაციების აფეთქება გამოიწვია ჩვენში, ეს უდიდესი მოვლენაა“, — განაცხადა ALICE ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა იურგენ შუკარტმა.

ნაკადების ინტენსივობა და ენერჯია გეგმის მიხედვით გაიზარდება. ვარაუდობენ, რომ 7 იანვრისთვის ნაკადის ენერჯია 1,2 TeV-ს მიაღწევს, რაც ექსპერიმენტების ყალიბებისთვის საკმაოდ რაოდენობის დაჯახებების მონაცემების მიღებას უზრუნველყოფს.



ახალი  
საბაკალავრო  
პროგრამა  
ეკოლოგიაში

მე-2 გვერდი

საქართველოს  
საკონსტიტუციო  
სასამართლოსთან  
თანამშრომლობის  
მემორანდუმი  
გაფორმდა

მე-3 გვერდი

„ქლიართა ამა  
სოფლისათა  
ბაიგონ, რომ  
ანგარიში უნდა  
გაუწიონ  
მასმედიის  
დამოუკიდებლობას“

მე-6 გვერდი

ტელეკომპანია  
„იმედის“ გენერალური დირექტორი თსუ-ის  
შურნალისტიკის  
მიმართულების  
სტუდენტებს  
შეხვდა

მე-7 გვერდი

საქართველოში  
კნუტ ჰამსუნის  
მოგზაურობა  
ბრძელდება

მე-12 გვ.

ლიტერატურული  
კონკურსის  
„შემოდგომის  
ღებნა“  
გამარჯვებულები  
გამოვლენილია

მე-14 გვ.

## „ივირონის აქტებით“ გაცოცხლებული ივირონის მონასტრის ისტორია

### ნიკო კაკულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ოთხტომეული სახელწოდებით „ივირონის აქტები“, რომელიც ჩვენი წარსულის ერთი დიდი ფურცელია ათონის ივერთა მონასტრის, იგივე ივირონის მონასტრის — ამ ძველი ქართული მწერლობისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი კერის ათონში დაარსებისა და მისი მრავალსაუკუნოვანი ფუნქციონირების თაობაზე. ეს არის ისტორია აღმოსავლეთ საბერძნეთის ნახევარკუნძულზე აღმოცენებულ სულიერების ქართულ საკვანზე, სადაც

ქართველი ბერები X საუკუნის მინურულიდან XVI საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანული მოძღვრების მსახურებასთან ერთად აქტიურად ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც და ბიზანტიის იმპერიის წიაღში ქართულ ფესვებს ასაზრდოებდნენ. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მიერ დაარსებული მონასტერი, რომელსაც ქართველი მეფეები აქტიურად ეხმარებოდნენ, დიდხანს ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს საქართველოსთან. გარკვეული თვალსაზრისით, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიასა და მის ურთიერთობაში ბიზანტიასთან. ამდენად, ივირონის მონასტრის ისტორია ათონის მხოლოდ ერთი

მონასტრის ისტორია როდია — „ივირონის აქტები“ ამეტიყველებენ იმ ეპოქას, რომელშიც ათონის მთაზე დაარსებული უდიდესი სამონასტრო კომპლექსის ფუნქციონირება დიდ ისტორიულ მისიას იძენდა.

რამდენიმე ათეული წელია პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრი გამოსცემს სერიას „ათონის არქივი“, რომელიც შეისწავლის ათონის მონასტრებში დაცულ მასალას. გასული საუკუნის 70-იან წლებში ცენტრის ჯგუფი შეუდგა ივირონის მონასტრის აქტების მოძიებასა და ფოტოგრაფირებას. იმავდროულად, ათონის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესორი პ. ლემერლი დაუკავშირდა კ. კეკელიძის

სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ ელენე მეტრეველს და თანამშრომლობა სთხოვა — მას მოპოვებული მასალა უნდა შეეჯერებინა ქართული წყაროების მონაცემებთან, ამოეკითხა საბუთების ქართული მინაწერები და ხელნაწერები და, რაც მთავარია, განესაზღვრა ივირონის როლი ქართული კულტურის განვითარებაში. თავიდან თანამშრომლობას მიმონერის ხასიათი ჰქონდა, რაც კარგადაა ასახული ქ-ნი ელენე მეტრეველის არქივში დაცულ წერილებში. 1980-იანი წლების დასაწყისში, როცა მთელი მასალა მოპოვებული და კლასიფიცირებული იქნა, თანამშრომლობამ აქტიური ხასიათი მიიღო.

მე-2 გვერდი



# სტუდენტთან პირისპირ

**?** ივანე აბაშიძე, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის V სემესტრის სტუდენტი:

— თბილისში ცხოვრება რეგულაციებიდან ჩამოშორებული საკმაოდ ძვირი ჯდება. ბევრი ვერ ახერხებს ქირით ცხოვრებას, საერთო საცხოვრებელი კი კეთილმოწყობილია. იდეალურია კამპუსის პროექტი, მაგრამ სანამ ის განხორციელდება, საჭიროა, სტუდენტი ნორმალურ პირობებში ცხოვრობდეს უზრუნველყონ. არის თუ არა ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი და რა კეთდება ამ მიმართულებით?

**რომან ხარბაძე, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:**

— გულწრფელად გეტყვი, რომ სტუდენტის საკითხი მართლაც პრობლემურია. ის რომ არ აკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რაც ჩვენ გვინდა, ეს ფაქტია. ამჟამად სტუდენტს განკარგული უფლებები შედის მხოლოდ დაბალი კორპუსები (ე.წ. მაღლივი კორპუსები) ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ომის შედეგად დაზარალებულებს გადასცა, რომელთა კეთილმოწყობასაც უნივერსიტეტის ბიუჯეტი ვერ წვდება. ძირითად, აუცილებელ სამუშაოებს ვასრულებთ. შარშან გადავხურეთ. ახლა აღარ აწევს მანქანა, თუმცა გათბობის პრობლემა ისევ მოსაგვარებელია. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის დღის წესრიგში ის საკითხები დგას, რომელთა გადაწყვეტაც გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. თუ სტუდენტს შეეძლება ფორსმაჟორული სიტუაცია და ცხოვრება გაუსაძლისი გახდება, გამოვინახავთ რაღაც გზებს... თუ ეკონომიკური რესურსები მოგვცემს საშუალებას, სხვა პრობლემის გაუმჯობესებასაც ვეცდებით. ვიმედოვნებთ, რომ კამპუსის მშენებლობის პროექტი (გრანდიოზული სტუდენტის შენობის გეგმა დიდი ტერიტორიაზე) მალე დაიწყებს განხორციელებას და ეს პრობლემაც, რომელიც ასე გვაწუხებს, საბოლოოდ მოგვარდება.

**?** ივანე აბაშიძე, იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის V სემესტრის სტუდენტი:

— ყველა სახის ღონისძიებას, შეხვედრას, კონფერენციას, სემინარებსა თუ ოფიციალურ ვიზიტებს იურისტების ბიბლიოთეკაში ატარებენ. როგორც ჩანს, უკეთეს აუზას სხვაგან ვერ პოულობენ. ეს ლაზარე სტუდენტების უფლებებს, რომელთაც აღარ აქვთ მეცადინეობის შესაძლებლობა. ამ ღონისძიებებს გამო ზოგადი მთლიანი დღითაც იყენებენ ბიბლიოთეკა, რაც დაბრკოლებას უქმნის იმ პირველკურსელებსაც, რომელთა განათლებაზეც წელს ჩვენმა ფაკულტეტმა აიღო პასუხისმგებლობა და განახორციელა დიდი შესაძლებელი ლიტერატურისა, რომელიც საათობრივ უფუნქციოდ დევს თაროებზე. უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს სასწრები იმისათვის, რომ კეთილმოწყობს ერთი დიდი აუდიტორია, სააქტო დარბაზი მეტი კორპუსში ან გაფართოვოს მცირე საკონფერენციო დარბაზი მეორე კორპუსში. შემოსულებელი და დამატარებელია, რომ უზრალად ლაზარე ინტერაქტიული საჭიროებისთვის, ვიშუალური ეფექტისთვის ყოველ მკორე დღეს დაიკეტოს სასემინარო ბიბლიოთეკა.

**რომან ხარბაძე, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:**

— სტუდენტთა გულსწყობა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგჯერ ვერ ახერხებენ ბიბლიოთეკით სარგებლობას, ნამდვილად საბოლოოა, მაგრამ, განსხვავებით წინა პერიოდისგან, ჩვენ მაქსიმალურად შევამცირეთ ღონისძიებების გამართვა ბიბლიოთეკებში. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა ჩვენ თავს ვიკავებთ ამ რესურსით სარგებლობისგან და ვიყენებთ მე-2, მე-5 და მაღლივი კორპუსების სააქტო დარბაზსა და აუდიტორიებს. როცა მაღალი რანგის სტუმრებს ველოთ, ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული დატვირთვა მინც მე-2, ამჟამად ცენტრალურ კორპუსს აქვს. პირველი კორპუსის გახსნის შემდეგ ეს პრობლემა აღარ იარსებებს. ჩვენი კარი ლაია ყველასთან სათანამშრომლოდ, მაგრამ ეს არ გაკეთდება სტუდენტების ხარჯზე.

**?** ნინო ჯინჭარაძე, იურიდიული ფაკულტეტის V სემესტრის სტუდენტი:

— სამეცნიერო კონფერენციების გარდა, მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა სახის კონკურსებში, პროექტებში და ა.შ., რაც ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, პროფესიულ წინსვლაშიც

# ახალი საბაკალავრო პროგრამა ეკოლოგიაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი პირველკურსელ სტუდენტებს სთავაზობს ახალ საბაკალავრო პროგრამას — ეკოლოგია. თსუ-ის ინიციატივითა და საფრანგეთის საელჩოს ხელშეწყობით 7 დეკემბერს, ეკოლოგიის დღესთან დაკავშირებით, თსუ-ში ახალი საბაკალავრო პროგრამის პრეზენტაცია გაიმართება.

## თამარ მარუაშვილი

ახალი საბაკალავრო პროგრამის ეფექტურ განხორციელებაში ქართველ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას უცხოეთიდან მონეული პროფესორებიც მიიღებენ. პროგრამის მიხედვით იგეგმება დისციპლინური სწავლება, სტუდენტთა გაცვლა, ერთობლივი დიპლომების მომზადება და სხვ. პროგრამის პარტნიორები არიან ავსტრიის, იტალიისა და საფრანგეთის უნივერსიტეტები.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია ახალგაზრდების მომზადება ეკოლოგიის დარგში, რადგან ქვეყნის ეკოლოგიური კლიმატის შესასწავლად და ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, ამ დარგის სპეციალისტების მომზადება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

პროგრამის გავლის შემდეგ ბაკალავრს მიეცემა საფუძვლიანი განათლება როგორც ეკოლოგიის დარგში, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, კომპიუტერული და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიებში. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის საბაკალავრო პროგრამა პირველია ეკოლოგიის დარგში და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს.

ბაკალავრიატის მაღალკურსელებს საშუალება ექნებათ გაიღრმავონ ცოდნა მათთვის სასურველი განხრით (ბიოეკოლოგიაში, გეოეკოლოგიაში, ქიმიურ ეკოლოგიაში, ფიზიკურ ეკოლოგიაში) და, ასევე, მომიჯნავე დარგებში.

საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, ეკოლოგიის დარგის სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. საქართველოში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის

წარმოდგენილი ბუნების დაცვის ნორმატიული დოკუმენტები. ქვეყნის ეკოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებასა და შენარჩუნებას ამ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება.

ეკოლოგიის სპეციალისტის დასაქმების არეალი ფაქტიურად შეუზღუდავია. იგი მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, განსაკუთრებით ისეთ დარგებს, როგორცაა: ენერგომატარებლები, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ჰაერის, მინის, წყლის და საკვების დამამუშავებელი, ტურისტული რესურსებით სარგებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი და სხვა. ჯერ კიდევ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემები. ამისთვის აუცილებელია სპეციალისტების მომზადება ამ მიმართულებით. ახალი საბაკალავრო პროგრამა „ეკოლოგია“ კი მაღალპროფესიონალი სპეციალისტების მომზადების საუკეთესო საშუალება და გარანტიაა.

საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ, რომლის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელია, სტუდენტს უფლება ექნება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ეკოლოგიის ან მომიჯნავე დარგების განხრით.

# ომბუდსმენთან შეხვედრა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ინიციატივით უკვე ტრადიციად დამკვიდრდა შეხვედრები იმ ინსტიტუციების ხელმძღვანელებთან, ვის მიმართაც სტუდენტურ საზოგადოებას კითხვები გააჩნია. 30 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტულუში სტუმრობდა. შეხვედრა ინტერაქტიული იყო და სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

## მაია ტორაძე

საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტულუში თანამდებობაზე 31 ივლისს დაინიშნა და უფლებამოსილება, კანონის მიხედვით, 17 სექტემბერს, წინა ომბუდსმენის ვადის გასვლის მეორე დღეს დაიწყო. გიორგი ტულუში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ახალი სახე არ არის. იგი ამ მიმართულებით წლების განმავლობაში მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამასა და ეუთოს მისიაში. იყო არაერთი ტრენინგის ექსპერტი. 2005 წლიდან კი არის ნევრი ევროპის წამების აკრძალვის კომიტეტისა, რომელიც ახორციელებს თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგს 47 სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც.

სტუდენტებთან შეხვედრაზე გიორგი ტულუში ისაუბრა ომბუდსმენის ინსტიტუტის ისტორიაზე. აღნიშნა, რომ ეს ინსტიტუტი 200 წლის წინ პირველად შეგდებოდა ჩამოყალიბდა. მის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის დანიის ომბუდსმენს, რომელმაც 50-იან წლებში სახალხო დამცველის ინსტიტუტის გააქტიურებას შეუწყო ხელი. მას შემდეგ ევროპის ბევრ ქვეყანაში დაიწყო ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება და დღეს მსოფლიოს 100 ქვეყანაში არსებობს ომბუდსმენის ან სხვადასხვა ტიპის ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტები.

საქართველოში სახალხო დამცველი პირველად 10 წლის წინ შეუდგა მუშაობას. მისი სამართლებრივი გარანტიები ჩამოყალიბებულია კონსტიტუციაში და კანონში — „სახალხო დამცველის შესახებ“, რომელიც ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტია.

კანონის მიხედვით, სახალხო დამცველი წელიწადში ორჯერ პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს, ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ახდენს რეაგირებას დარღვევებსა და საჩივრებზე. მას ასევე შეუძლია ნარკოტიკული ნივთიერების დაზიანების შემთხვევაში დასწავლა. ომბუდსმენს იცავს იმუნტეტი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის საქმეში მიღება, ჩხრეკა და ტელეფონის მოსმენა. გარდა ამისა, სახალხო დამცველს უფლება აქვს შევიდეს იმ დაწესებულებებში, სადა ჩვეულებრივ მოქალაქეებს შესვლა არ შეუძლიათ და გასცეს რჩემება თანამშრომლებზე, რომლებსაც უფლება ექნებათ შევიდნენ დახურული ტიპის დაწესებულებებში, მოითხოვონ დოკუმენტაცია და კონფიდენციალურად, ყოველგვარი თვალთვალის და მიყურადების გარეშე გაეცნონ პატიმრებს.

ომბუდსმენს სამოქალაქო განათლების ფუნქციაც აქვს, რომლის მიხედვითაც მისი აპარატი ცდილობს მოსახლეობას უკეთესად გააცნოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები, ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია



სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შესახებ.

გიორგი ტულუში სტუდენტებს დაწვევით გააცნო მის დაქვემდებარებაში არსებული დეპარტამენტები და ის დამატებითი მოვალეობები, რაც ბოლო პერიოდში დაეკისრა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. კერძოდ, აღნიშნა, რომ წამების აკრძალვის კონვენციის გაეროს ფაკულტატური ოქმის თანახმად, ომბუდსმენის აპარატს გადაეცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქცია.

სახალხო დამცველს რეგონული წარმომადგენლები ჰყავს — ქუთაისში, ბათუმში, მარნეულში, ახალქალაქში, გორსა და თელავში.

ომბუდსმენმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ პარლამენტს უკვე წარუდგინა 2009 წლის პირველი ანგარიშის ანგარიში, რომლის მოსმენა დაგეგმილია 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში, ხოლო 18 დეკემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. მან აქვე განაცხადა, რომ აპირებს მიმართოს საქართველოს პარლამენტს წინადადებით — ანგარიშის წარდგენა ომბუდსმენის აპარატს მხოლოდ წელიწადში ერთხელ, რადგანაც ორჯერ ასეთი შრომატევადი საქმე ოფისის დახსოვებით ორთვიან პარალიზებას იწვევს. „თუ ამ წინადადებას გაითვალისწინებენ, ჩვენ უკეთ დაგვეტოვონ საანგარიშო წელს“, — განაცხადა მან.

სტუდენტებმა, რომელთა შორის მომავალი იურისტები სჭარბობდნენ, სახალხო დამცველს საინტერესო შეკითხვები დაუსვდნენ. კითხვაზე, რამდენად მაღალია საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის

დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით, ომბუდსმენმა უპასუხა, რომ არის სფეროები, რომელშიც საქართველოს სხვა ქვეყნებზე კარგი მდგომარეობა აქვს. რაც შეეხება ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას, საქართველოში არის ზოგიერთი პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში უცვლელია და ამ კუთხით ბევრი რამეა გასაკეთებელი.

„რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, კანონმდებლობის თვალსაზრისით, ჩვენ გაცვილებით წინ ვართ, მაგალითად ლატვიასთან შედარებით, თუმცა გვაქვს ჯანდაცვის პრობლემა სასჯულადსრულების დეპარტამენტში, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. ასევე, პრობლემაა საყოფაცხოვრებო პრობლემის გაუმჯობესება. მაგალითად, იგივე ლატვიაში შეიძლება იყოს 10 ერთნაირი დონის დაწესებულება, რომელიც არც კარგია და არც ცუდი, ჩვენ კი გვაქვს რამდენიმე კარგი და დასრულებული (ძირითადად ახლადამენებული) და გვაქვს ისეთებიც, რომელშიც ადამიანის პატიმრობა არაადამიანურ მოპყრობას უდიდდება. ანუ, გვაქვს სფეროები, სადაც კიდევ პროგრესია, მაგალითად — კორუფციასთან ბრძოლაში, თუმცა რჩება სფეროები, სადაც წლები დასჭირდება მდგომარეობის ევროპულ დონესთან მიახლოებას“, — განაცხადა გიორგი ტულუში.

სტუდენტები დაინტერესდნენ, რას ნიშნავს ეროვნული პრევენციის მექანიზმი. საქართველოს სახალხო დამცველია ახსნა, რომ 2002 წელს ძალაში შევიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების აკრძალვის კონვენციის ფაკულტატური, ანუ დამატებითი ოქმი, რომლის მიხედვითაც გაეროში შეიქმნა წამების აკრძალვის ქვეკომიტეტი, რომელიც სახელმწიფოებში ახდენს მონიტორინგს და ამონაშენს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებს, ხოლო უშუალოდ ქვეყნებში შეიქმნა ადგილობრივი პრევენციის მექანიზმი, რომელიც იგივე საკითხის მონიტორინგს ახდენს ადგილობრივ დონეზე. საქართველო 2006 წელს მიუერთდა გაეროს წამების აკრძალვის ორგანიზაციის ფაკულტატურ ოქმს და ვალდებულია იკისრა, ერთ წელიწადში შეექმნას პრევენციის მექანიზმი. ამ მექანიზმის შექმნას რეალურად ორ წელიწადზე მეტი დასჭირდა, რადგან ძალიან დიდხანს მიმდინარეობდა საუბარი, თუ სად უნდა გაერთიანებული იგი. საბოლოოდ შეჯერდნენ, რომ რადგან ოქმი პირდაპირ მოითხოვდა, ორგანიზაცია აბსოლუტურად დამოუკიდებელი ყოფილიყო, ეს ფუნქცია ომბუდსმენს დამატებოდა.

კითხვაზე, რას ექვევს ძირითადად ყურადღება 2009 წლის პირველი ანგარიშის ანგარიშში, გიორგი ტულუში განაცხადა, რომ მასში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი, რომელიც უკავშირდება შეკრებსა და მანიფესტაციებს და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის ფიზიკურ შეურაცხყოფას, ასევე სასჯელის დაწესებას, პოლიცია-პროკურატურას, სასამართლოს, ბავშვთა უფლებებს, რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს.



# საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვით, ცოდნის გაღრმავების მიზნით, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საკონსტიტუციო სასამართლოში პრაქტიკულ კურსებს გაივლიან. როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, ეს მემორანდუმი ბევრ საინჟინერო ღონისძიებას გულსხმობს სტუდენტთა პრაქტიკული დახელოვნების კუთხით. თანამშრომლობა მრავალ მიმართულებას მოიცავს, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა პროგრამაში სტუდენტთა მონაწილეობას.

## მანია ტორაძე

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პერიოდულად აწყობს საზაფხულო სკოლებს და სხვადასხვა კონკურსებს, რაშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა არაერთი გამოჩენილი მოიპოვეს. „ეს იმის ნიშანია, რომ უნივერსიტეტი მყარად ინარჩუნებს იურიდიული განათლების ფლაგმანის ადგილს საქართველოში. მომავალ წარმატებებში კი მას მემორანდუმიც დაეხმარება. ჩვენ ერთობლივად დავგეგმავთ ტრენინგებს, სემინარებსა და ღონისძიებებს, რაც სტუდენტებს პრაქტიკულ გამოცდილებას მისცემს. ამაში ჩვენი ინტერესებიც არის, რადგან გვინდა საკონსტიტუციო სასამართლო კვალიფიციური კადრებით შეივსოს“, — განაცხადა გიორგი პაპუაშვილმა. მისი ინფორმაციით, საკონსტიტუციო სასამართლო იწყებს ჟურნალის გამოცემას, სადაც, სხვა მასალებთან ერთად, საუკეთესო სტუდენტური ნაშრომებიც გამოქვეყნდება.

ბატონმა გიორგი პაპუაშვილმა ისაუბრა ახლად შემოღებულ „სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტზე“, რაც სასამართლოს საქმიანობაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას უწყობს ხელს.

„ნებისმიერ ადამიანს, იმის მიუხედავად, წარმოადგენს თუ არა იგი სასამართლო პროცესზე რომელიმე მხარეს, კონკრეტული საკითხის გარშემო შეუძლია თავისი მოსაზრება სასამართლოში წარადგინოს. საზოგადოების ამგვარი მონაწილეობა დადებით გავლენას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხზე“, — განაცხადა მან.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ მოუწოდა სტუდენტებს, აქტიურად ჩართონ „სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის“ მუშაობაში, რაც მათ გარკვეულ პრაქტიკას და გამოცდილებას შესძენს. მანვე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკას რამდენიმე უახლესი გამოცემა უსახსოვრა და იმედი გამოთქვა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოც ისარგებლებს იმ მდიდარი ლიტერატურით, რაც უნივერსიტეტის იურიდიულ ბიბლიოთეკაში ინახება.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ ბატონმა გიორგი პაპუაშვილმა ნაიკითხა ლექცია თემაზე: „საკონსტიტუციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების სისტემაში“. მან ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს შე-



ქმნის და საკონსტიტუციო კონტროლის დანერგვის ისტორიაზე. აღინიშნა, რომ ეს ინსტიტუტი დღეს ყველაზე მეტად ევროპაშია განვითარებული. საკონსტიტუციო კონტროლს საფუძველი ამერიკაში ჩაეყარა. საკონსტიტუციო სასამართლო, გარდა ესტონეთისა, დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს.

საქართველოში ეს ინსტიტუტი მუშაობას შეუდგა 1995 წლიდან, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს შემოღება საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრა. დღეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისგან. 3-ს პრეზიდენტი ნიშნავს, 3-ს პარლამენტი, 3-ს კი უზენაესი სასამართლოს პლენუმი ირჩევს. მოსამართლეები ირჩევიან 10 წლის ვადით, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარე 5 წლით.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება-მოხილება განსაზღვრულია კანონით და სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, ძირითადად, ითვალისწინებს ნორმატიული აქტების კონტროლს (იხილავს რეფერენდუმის საკითხს, იმპიჩმენტის საკითხს და ა.შ.).

გიორგი პაპუაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე და აღნიშნა, რომ მისი დაარსებიდან დღემდე სულ შესულა 500-მდე სარჩელი. სასამართლომ მათგან ნახევარი მიიღო წარმოებაში, რაც სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ყველაზე ხშირად სარჩელი შედიოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან დაკავშირებით, რაც საკუთრების უფლებას

შეეხება. შესული სარჩელების რაოდენობის მხრივ, მეორე ადგილზეა 42-ე მუხლი — ანუ სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელსაც შემდეგ მოსდევს შრომის თავისუფლება და მენარჩენის განვითარების ხელშეწყობის საკითხები.

ბოლო გადაწყვეტილებები, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, დაკავშირებული იყო მაუნყებლობის შესახებ კანონთან, რომელზეც სარჩელი ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა. სასამართლომ ასევე განიხილა საკითხი, თუ რამდენად ვრცელდება კონსტიტუციის 26-ე მუხლი ამხანაგობებზე, ანუ ეხება თუ არა ეს მუხლი ამხანაგობებში განხორციელებული აუცილებლობას.

ამჯერად განხილვის პროცესშია საკითხი მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ. მოქმედი კანონით, თუ არასრულწლოვანს არ აქვს საშუალება გადაიხადოს ჯარიმა, სასამართლოს შეუძლია მისი გადახდა მშობლებს დააკისროს. აქ დგას საკითხი — ხომ არ არის ეს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევა, რადგან ადამიანი პასუხისმგებელი არ უნდა იყოს ჩაუდენელ დანაშაულზე.

განხილვის პროცესშია სარჩელი, რომლის მიხედვითაც, თუკი უკანონოდ დაკავებული პირის ჯანმრთელობა დაკავების პირობებში დაირღვა, მას უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების უფლება.

ასევე განიხილავენ საკითხს, თუ რამდენად ხვდება ინფორმაციის თავისუფლების სივრცეში ვიდეოთვალის, ვთქვამთ, საარჩევნო უბნებზე ან მსგავს სიტუაციებში. ახალგაზრდა იურისტები ამტკიცებენ, რომ ეს მასალები საჯარო უნდა იყოს და მისი გამომთხოვის უფლება ყველა დანტერესებულ ორგანიზაციას უნდა მიეცეს.

„ამ საკითხებზე დებატებისა და დისკუსიებისთვის ჩვენ მზად ვართ“, — განაცხადა გიორგი პაპუაშვილმა, რომელმაც ლექციის დასრულების შემდეგ სტუდენტთა შეკითხვებს უპასუხა.

## სტუდენტთან პირისპირ

გვეხმარება, მაგრამ ამ ღონისძიებებში მიღებულ სერტიფიკატებს თუ გამარჯვებულის სტატუსს არ იღებენ მხედველობაში სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში. შეიძლება თუ არა ამ სახის აქტივობები გახდეს კრიტიკულში სტიპენდიანტთა კონკურსში?

### თეა ჯუღელი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

ბაკალავრიატის ნიჭიერი სტუდენტთა ფინანსური ნახალისებისთვის კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება ერთი და იმავე კრიტერიუმების გათვალისწინებით უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე, რაც ერთნაირ პირობებში აყენებს ყველა სტუდენტს. ეს კრიტერიუმებია: ა) აკადემიური მოსწრება; ბ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება; გ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. რექტორის ეს ბრძანება (118/01-01 05.11.2009) ფუძვდება „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის 490 ბრძანებით დამტკიცებული თსუ-ის წესდების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს. ამგვარად, ეს კრიტერიუმები დადგენილი სტანდარტია ყველა ფაკულტეტისთვის და ჩვენი დეკანაც ვუფლებამოსილი არ არის — ამა თუ იმ სტუდენტის რაიმე სხვა აქტივობები მიიღოს მხედველობაში.

### ? რეზიუმე ჩაქარა, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულების VII სემესტრის სტუდენტი:

— უცხოელი სტუდენტების პრობლემები ამა თუ იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საერთოდ, უფრო მძაფრად იგრძნობა, ვიდრე ქართველი სტუდენტებისა, რადგან ჩვენ ვაპირებთ სპეციფიკური სასწავლო მასალების მოწოდებას, არ შეგვიძლია იმავე ტემპით და ხარისხით მოვემზადოთ სემინარებისთვის და შემდეგ სესიებისთვის, როგორც ქართველი სტუდენტები. საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული ძალიან რთული გამოცდების დადგენა მათაც კი უჭირთ და ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ? განსაკუთრებულ შედეგს ვეძებთ არ ვითხოვთ, არც სწავლის საფასურის გადახდა ყოველმა ჩვენთვის როდესმე პრობლემა, მაგრამ ლექსიკონებით მომარაგება ხომ აუცილებელია, რათა ჩვენ თავად ვცადოთ დაფიქროთ ენის ბარიერი, ნელ-ნელა გამოვასწოროთ ხარვეზები... არც კათედრაზე და არც ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში რეალურად არ არსებობს ქართულ-თურქული ლექსიკონი. ერთადერთი ცალი, რომელიც კათედრაზეა, იმდენად პატარაა, რომ მხოლოდ დაწვეთავთ თუ გამოდგება. ასეთ პირობებში კრედიტების დაგროვება ძნელდება, რასაც შემდეგ დამატებითი სესიონები მოჰყვება და ბევრი თურქი ბაკალავრის დიპლომის ასაღებად 5 და 6 წელიც კი წვალობს. როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?

### რუსუდანი ჩიქოვანი, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

სპეციფიკური მასალების მინოდება ამა თუ იმ სტუდენტისთვის არ არის არც ერთი უნივერსიტეტის ვალდებულება, თუნდაც ეს სტუდენტი უცხოელი იყოს. თუკი იგი უკვე ბაკალავრიატში ჩაირიცხა, ეს ნიშნავს, რომ თანასწორუფლებიანია ყველა სხვა სტუდენტთან მიმართებაში და განსაკუთრებული შეღავათებიც, ცხადია, არ უნდა ეხებოდეს, ისევე, როგორც საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში არ ხდება ჩვენი სტუდენტების მარკირება ქართველობით. ასე რომ, თურქმა თუ სხვა ეროვნების სტუდენტმა, რომლებიც ქართულენოვან სექტორზე სწავლობენ, უნდა აითვისონ ის მასალა, რაც ევალებათ, რადგან შესაბამისი ცოდნის გარეშე ისინი ვერ მიიღებენ დიპლომს.

### ნანა პაჭარავა, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების თურქოლოგიის განყოფილების ასისტენტ-პროფესორი:

ნამდვილად სიმართლეა, რომ მედიუმის ერთადერთი ქართულ-თურქული ლექსიკონი არის ძალიან მოკლე და ხარისხითაც მოიკოჭლებს, სხვა ფუნდამენტალური და დიდი ლექსიკონი კი არ გვაქვს. ეს არაა უნივერსიტეტის პრობლემა. შემიძლია ვითხრა, რომ სპეციალისტები მუშაობენ ამ საკითხის გადასაჭრელად. ქართულ-თურქულ ლექსიკონზე მუშაობდა 7 წლის განმავლობაში ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი, თურქოლოგი ელიდა კვანტალიანი. როგორც ვიცო, მისი ეს ნაშრომი სტამბაშია უკვე, ასე რომ, ამ პრობლემის მოგვარება ახლო მომავალში შეიძლება ვივარაუდოთ.

მასალა მოამზადა მარიამ ბაქიძემ-პილმა, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტმა

# პროფესორმა ნეანტრო სააპედრა-რივანომ ლექცია წაიკითხა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2 ნლის წინ ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი დაარსდა. ინსტიტუტის გერმანულ მხარეს წარმოადგენს ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი (წარმომადგენელი — პროფესორი ვოლფგანგ ვენცი), ხოლო ქართულ მხარეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (წარმომადგენელი — ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის გამგე, პროფესორი რევაზ გველეხიანი).

## მანია ტორაძე

ინსტიტუტი 3 ძირითადი მიმართულებით მუშაობს: 1) ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება; 2) დოქტორანტების ურთიერთგაცვლა და სადისერტაციო ნაშრომზე ორმხრივი ხელმძღვანელობა; 3) მაგისტრანტების ურთიერთგაცვლა.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტი სტუდენტებს საინტერესო ღონისძიებებს სთავაზობს: ამ რამდენიმე დღის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი გამართა. მონაწილე იყო რამდენიმე უცხოელი პროფესორი, რომლებმაც აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის

ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე ლექციები წაიკითხეს. მათ შორის გახლდათ იაპონელი მეცნიერი — ცუკუბას უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი ნეანტრო სააპედრა-რივანო, რომელმაც 26 ნოემბერს უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის წაიკითხა ლექცია: „ადამიანური კაპიტალი და ფინანსები განვითარების პროცესში“.

ლექცია საინფორმაციო ხასიათისა იყო და ძირითადად იდეების გენერაციის საკითხებს ეძღვნებოდა. როგორც პროფესორმა სააპედრა-რივანომ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ეს თემა საინტერესოა, როგორც განვითარებადი, ასევე მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის, რომლებსაც, შემოსავლების განაწილებაში, მიუხედავად მაღალი შემოსავლებისა, დიდი სხვაობა აქვთ.



„მართალია ლექცია საქართველოსთან პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ კარგი იქნება, თუ მაგისტრანტები და დოქტორანტები აქ მოსმენილი მოსაზრებების საფუძველზე შესაბამის დასკვნას გააკეთებენ საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარების შესახებ“, — განაცხადა ნეანტრო სააპედრა-რივანომ.



# „ივირონის აქტებით“ გაცოცხლებული ივირონის მონასტრის ისტორია

პირველი გვირგვინი

ინტერვიუ „ივირონის აქტების“ მთარგმნელ ცისანა ბიბილიევილიტან

ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, პროფესორ ლემერლის გარდაცვალების შემდეგ, ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესორ ჟაკ ლეფორი სისტემატურად ჩამოდიოდა თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში სამუშაოდ. ქ-ნ ელენე მეტრეველს კი პარიზში იწვევდნენ. მას წლების მანძილზე ამ ჯგუფთან ერთად შესაძლებლობა მიეცა ემუშავა პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრში დაცულ „ათონის არქივზე“. ეს არქივი შეიცავს არა მარტო ბერძნულენოვან სამონასტრო აქტებს, არამედ ქართულ და სხვაენოვან წყაროებსაც. „ათონის არქივის“ კვლევამ ქალბატონ ელენეს საშუალება მისცა „შედარებით სრულად წარმოედგინა ივირონში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა საქმიანობა, მათ შორის ისეთი მოღვაწეებისა, რომელთაგან ზოგი მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, ზოგიც უცნობი“. ქალბატონ ელენეს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ქართველთა „მოღვაწეობის წარმოჩენა ნაწილობრივ მაინც შეეძლებოდა იმ ხარვეზებს, რომელიც არსებობს ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის – ივირონის ისტორიის შესწავლის საქმეში“.



— საინტერესოა, პარიზში ვინ და რატომ დაინტერესდა ათონის ივერთა მონასტრის, ივერთა ივირონის მონასტრის ისტორიით?

— „ათონის აქტების“ სერიას გამოსცემს პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრი. ცენტრს აქვს სპეციალურად ათონის განყოფილება, რომელმაც შეისწავლა ათონის მთაზე დაცული, ბიზანტიის იმპერიის ეპოქაში არსებული, უდიდესი მონასტრების დოკუმენტები. დადგა ივირონის რიგიც და დაიწყო ივირონში დაცული დოკუმენტების შესწავლა, რაც ამ ცენტრის ძირითადი თემატიკაა, მიზანი კი ბიზანტიური სამყაროს არსის წვდომა გახლდათ. ივირონის მონასტერში ქართველი მეცნიერების ჩასვლა იმჟამად წარმოუდგენელი იყო. ჩვენი გასაკეთებელი საქმე ამ ცენტრმა გააკეთა. ჯგუფის ხელმძღვანელი ჟაკ ლეფორი წლების მანძილზე ჩადიოდა ივირონის მონასტერში, სადაც თვითონ ცხოვრობდა, აგროვებდა მასალებს, იღებდა ფოტოებს... — საინტერესოა, რაზე მეტყველებს შესწავლილი მასალა? რას მოიცავს იგი?

— მასალა მოიცავს მონასტრის პრაქტიკონებს, შენობების აქტებს, ტერიტორიის საზღვრების დადგენის აქტებს, ოქრო-ბეჭდებს, სამონასტრო მიწების ყიდვა-გაყიდვის აქტებს... ყველა მონასტრის დოკუმენტაცია ამ ტიპისაა. ყველა მონასტერში იქმნებოდა ოფიციალური საბუთები, რითაც ცხოვრობდა მაშინ მონასტერი და სწორედ ამ ცხოვრებას ასახავს აღნიშნული დოკუმენტები.

— რა მნიშვნელობა აქვს ამ დოკუმენტების შესწავლას ისტორიისთვის?

— ეს პირველყაროა, რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია — ეს არის დოკუმენტები თავად ათონელების და ყველა იმდროინდელი მოღვაწე წინამძღვრების, ხშირად ბერების ხელმოწერებით, მინაწერებზე რომ არაფერი ვთქვათ. აქ მოთხრობილია, როგორ შეიძინეს ათანასეს ლავრაში მცხოვრებმა იბერებმა პირველი ნაკვეთი; როგორ გაზარდეს ტერიტორია; რა პრივილეგიებით სარგებლობდნენ; რა შენობებებს იღებდნენ; რომელი მეფე როგორ მფარველობდა ივირონს და მის ბერებს; ვინ ავიწროებდათ; რით ეხმარებოდნენ ქართველი დიდებულები... აქტებში მოცემულია თორნიკე ერისთავის ამბავიც — როგორ დატოვა მან მონასტერი, როგორ მეთაურობდა ჯარს ბარდა სკლიაროსის წინამძღვე ბრძოლაში და როგორ მოახმარა ამ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად მოპოვებული განძი ივირონის მონასტრის დაარსება-აშენებას. როგორც აქტებიდან ვიკვებთ, ბერი იოვანე-თორნიკეს (თორნიკე ერისთავი) მიერ 979 წელს ანატოლიის ცენტრში მოპოვებულმა გამარჯვებამ მოულოდნელად განაპირობა ივირონის დაარსება. მონასტრის დაარსება უნდა ავსხნათ როგორც ბიზანტიის, ისე საქართველოს პოლიტიკური მიზნებითაც. ალბათ, დავით კურაპალატიც უწყობდა ხელს ათონზე იბერთა მონასტრის დაარსების გეგმის განხორციელებას. ივირონის მონასტრის დაარსება „იოანეს და ფთვემის ჩხორებაში“ მარტივად ნარმოდგენილი იბერებმა შეარჩიეს სასიამოვნო ადგილი „შუამთაწმინდასა“, სადაც მონასტერი და ორი ეკლესია ააგეს. ერთი ღმრთისმშობლის სახელობისა — დღეს იგი მონასტრის მთავარი ეკლესიაა და მეორე — წმ. იოანე ნათლისმცემლისა. შეიძინეს მიმდებარე მიწები, მიიღეს დომენები და თორნიკე მიერ განუული სამსახურისთვის იმპერატორებმა ყოველივე ეს

ოქრობეჭდით დაადასტურეს. ეს მონათხრობი ჭეშმარიტებაა, მაგრამ რეალური ვითარება, რომელიც საბუთებიდან გამოსჭვივის, უფრო რთულია — ამ ყოველივეს აქტები გადმოსცემს. ქართველებმა ლავრის მახლობლად მდებარე სენაკები დატოვეს და საგარაუდოდ 980 წლიდან იქ დაისადგურეს. თორნიკეს მიერ ჩამოყვანილი ბერების წყალობით მათმა რიცხვმა იმატა. როცა გიორგი ათონელმა მონასტერში 95 ქართველი ობოლი ბავშვი ბერად წაიყვანა, მან გააძლიერა ქართული ელემენტი და ბერების რაოდენობა ამდენით გაზარდა.

აქტებში აღწერილია მეთექვსმეტე საუკუნემდე, სანამ ქართველებს მთავარ მონასტერს ჩამოართმევდნენ, საზღვარი რომელ დომენში სად გადიოდა, რა მდინარე ჩამოდიოდა, სასაზღვრე ნიშნები სად იდგა — ეს ყველაფერი დეტალურადაა მოცემული; რა გადასახადს უხდიდნენ გლეხები, რას აკეთებდა ივირონი თავისი ტერიტორიების შესანარჩუნებლად, რას აკეთებდნენ ქართველი ბერები ბერძენების გულის მოსაგებად, რათა ეკლესია შეენარჩუნებინათ... ათონის მთაზე მდებარე ბერძნული მონასტრები ივერთა მონასტერს ცოტა მტრულად ეკიდებოდნენ — ამის მიზეზები ამ მასალებში უხვად მოიპოვება.

ტიპიკონში აღწერილი იყო — რისი უფლება ჰქონდათ ბერებს, როგორ უნდა ეცხოვრათ. თავიდან ქართველ ბერებს ივირონის მონასტერში რამდენიმე ბერძენი ბერი ჰყავდათ, რომლებიც სჭირდებოდათ როგორც ხელოსნები, ასევე, როგორც შუამავლები ადგილობრივ ხელისუფლებასთან საურთიერთოდ. ბერძენები სანამ ცოტანი იყვნენ, ყველაფერი

ქართულ მონასტერში ლოცვა ქართულად აღევლინებოდა — ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი განხეთქილებისა, როცა ბერძენებმა მოინდომეს ცალკე წასვლა და ღვთისმსახურების ცალკე ჩატარება. ივირონის მონასტერი დღესაც არსებობს, მაგრამ დღეს მას ბერძენები მართავენ.



კარგად იყო, მაგრამ თანდათან მონასტერი კარგავს ქონების ნაწილს, ბერძენები მრავლდებიან და ცდილობენ, რომ ეს ყველაზე პრესტიჟული მონასტერი დაისაკუთრონ. ივირონის პრეციპიტაციის მონასტრის განსაზღვრავდა, რომ საერთო კრებებზე ათონის დოკუმენტებს ლავრას შემდეგ (რომელიც ბერძენებს ეკუთვნოდათ და რომელიც ყველაზე გავლენიანი მონასტერი იყო), ივირონი ან მეორე, ან მესამე ანერდა იყოს — ეს ყოველივე ასახულია „ათონის აქტებში“, რომელიც, ვფიქრობ, აქამდე უცნობი იყო ქართული საზოგადოებისთვის.

— როგორ დაკარგეს ქართველებმა ივირონის მონასტერში მმართველობა? რა და ვინ გახდა ამის მიზეზი? — ამის შესახებ დეტალური აღწერა არაა მდებარე არის ნიგნში მოცემული?

— ქართველებს ივირონის მონასტერი მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგამდე ეკუთვნოდათ. იგი ნელ-ნელა გადავიდა ბერძენების ხელში. ქართული ელემენტი თანდათან შესუსტდა, ბერძნულმა კი იმპლავრა... თავიდან მონასტრის ტიპიკონში იდო, რომ ივირონის მონასტერში მხოლოდ ბერძენების გარკვეული რაოდენობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს წესი თანდათან ირღვეოდა, ბერძენები მომრავლდნენ. ქართველებს ხან რას უწუნებდნენ, ხან რას... ქართველებსთვის ერთი ეკლესიის ჩამოერთმევის შემდეგ ბერძენებმა ბოლოს მოახერხეს ის, რომ ხელში ჩაეგდოთ ივირონის მთავარი ეკლესია და თვითონ ყოფილიყვნენ მმართველები. ერთ-ერთ აქტში წერია, როგორ იჩივრა იმპერატორთან, რომ ქართველები არ არიან სათანადო ცოდნით აღჭურვილნი, რათა მონასტერი მართონ.

ქართველთა უპირატესობის დასასრული — ასეა მითითებული ნიგნში ის პერიოდი, როდესაც

საც ქართველებმა სამუდამოდ დაკარგეს უპირატესობა მონასტერში და ნიგნის ჩატარების უფლება თორნიკესა და იოანე იბერის მიერ X ს-ში აგებულ ეკლესიაში. „ქართველები, როგორც მონასტრის მეპატრონეები, ბერძენებთან აზრით, უმართლესად რჩებოდნენ „დიდ ეკლესიაში“. ათონის მთაზე უპირველესი იყო სულიერი არგუმენტები, ბერძენები, მათი აზრით, „იბერებზე ათასჯერ უფრო კომპეტენტური იყვნენ სულიერ საქმეებში“. კონსტანტინოპოლის პატრიარქის, კალისტეს აზრით, ისინი უფრო მარჯვედ წარმართავდნენ მონასტერსა და სულიერ საქმეებს, თუკი მთავარ ეკლესიასა და დეკანოზის ფუნქციებს მოიპოვებდნენ და ეკლესიაში „ბერებისთვის საგაღმებულო ნესრიგს“ აღადგენდნენ. ქართველები კი უფრო მომცრო კარის ეკლესიით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. ბერძენებმა ბერებმა საქმე მოიგეს, ძირითადად კი, ალბათ, ქართველების მცირერიცხოვნობის გამო. მას შემდეგ, აქტების მიხედვით, ცნობილი დეკანოზები ბერძენები არიან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქართველებმა „დიდი ეკლესია“ დატოვეს. განსაკუთრებით საზგასამელოა 1353 წლის მოვლენებისა და კალისტეს აქტის შედეგები: მართალია, ქართველებს ყველა თანამდებობა არ დაუკარგავთ, მაგრამ სამუდამოდ დაკარგეს უპირატესობა მონასტერში — ამას მონობს პატრიარქ კალისტეს I-ის აქტი (1355-1356 წწ.). „იმის შიშით, რომ ამდენი დაუფლებობის გამო ივირონი მტრის მსხვერპლი არ გახდეს, იბერები მთლიანად ჩამოაშორა მონასტრის მართვას და ყველა სამსახურის სათავეში ბერძენი ბერები დანიშნა. ხანგრძლივი კამათისა და საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ გადა-

წყდა, რომ ბერძენი ბერებისთვის გადაეცათ მთავარი ეკლესია... იბერები დარჩნებიან კარის ღმრთისმშობლის ეკლესიაში და იქ ჩაატარებენ ღმრთისმსახურებას. ბერძენები არაფერს მოიმოქმედებენ იბერების წინააღმდეგ და იბერებიც არ წამოაყენებენ სამემკვიდრეო ან რაიმე სხვა უფლებას, არაფერს მოიმოქმედებენ ბერძენთა წინააღმდეგ. პატრიარქი ბრძანებს, რომ ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, ქეციანი კრავივით მოიკვეთება მონასტრიდან“, — ვკითხულობთ ნიგნში მოცემული აქტებიდან. ამის მერე მონასტერი მმართველობაში გადაეცა ბერძენებს. ქართულ მონასტერში ლოცვა ქართულად აღევლინებოდა — ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი განხეთქილებისა, როცა ბერძენებმა მოინდომეს ცალკე წასვლა და ღვთისმსახურების ცალკე ჩატარება. ივირონის მონასტერი დღესაც არსებობს, მაგრამ დღეს მას ბერძენები მართავენ.

უამრავი დეტალი, თითქმის ყველა აქტში მოცემული ცნობა, პირველადია... ივირონის მონასტრის დოკუმენტებზე ჩვენ საერთოდ არ მიგვიწვდებოდა ხელი. რომ არა პარიზის ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ცენტრის აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით და შემდეგ მისი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტთან თანამშრომლობა, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა უამრავი დეტალი ივირონის მონასტრის ისტორიისა.

— არის თუ არა ნიგნში აღწერილი ათონის მთაზე შუა საუკუნეებში ქართველ მწიგნობარ-მართა საქმიანობა, რომლებიც უდიდეს მამულიშვილურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართული კულტურის სასარგებლოდ...



# „ივირონის აქტებით“ გაცოცხლებული ივირონის მონასტრის ისტორია

მე-4 გვირგვინი

როგორც მოგეხსენებათ, ათონის ივერთა მონასტერში იყო სკრიპტორიუმი, სადაც ხდებოდა ხელნაწერების გადაწერა. ხელნაწერები საქართველოდან და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული მონასტრებიდან ჩამოდიოდა, ხდებოდა მათი განახლება და ისევ საქართველოში იგზავნებოდა... იმის მიხედვით, რომელ ეპოქაში ვინ იყვნენ გადასმენურები, რას აკეთებდნენ და როგორ მოღვაწეობდნენ — ამის შესახებ საუბარია აქტებში.

— **ნაშრომში წარმოდგენილი ცნობები, ალბათ, ძალიან საინტერესოა ჩვენი საპატრიარქოსთვის. მისი ქართული თარგმანის გამოცემის შემდეგ თუ იყო გამოცემა?**

— რა თქმა უნდა... ქართული თარგმანი გამოცემულია პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. საპატრიარქო ტირაჟის უდიდესი ნაწილი შეიძინა. ეს მართლაც უძვირფასესი ცნობებია... თავად პატრიარქს, რამდენადაც ვიცი, დისერტაცია აქვს დაცული ივირონის მონასტრის თემაზე. მას ყველაზე კარგად მოეხსენება ამ წიგნის ფასი.

— **ვისთვის არის განკუთვნილი ეს წიგნი? მასში, ფაქტობრივად, დოკუმენტური მასალა წარმოდგენილია, რომელიც ივირონის მართლაც საინტერესო ისტორია, მხატვრული თვალსაზრისით, ჩაკარგულია...**

— „ივირონის აქტების“ გამოცემა განკუთვნილია, ალბათ, უფრო მეცნიერებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ბიზანტიანებისთვის — მასში წარმოდგენილ თემებზე შეიძლება ასობით სადისერტაციო ნაშრომი მომზადდეს. ნებისმიერი ისტორიკოსი გეტყვით, რომ აქ არის უამრავი მასალა, უამრავი ასპექტი, რაზეც შეიძლება საინტერესო აქცენტები გააკეთდეს. ამ წიგნის მთავარი ლიტერატურული კი არის, რომ ჩვენ დანერგვით ვიგებთ დეტალებს ივირონის მონასტრის ცხოვრებისა, რაც ჩვენი წარსულის ერთი დიდი ფურცლის გაგებასაც ნიშნავს...

## ივირონის მონასტრის ისტორია

გადმოცემის მიხედვით, ათონის მთაზე (ათონი — ნახევარკუნძული აღმოსავლეთ სავანეში — ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი შერეული. შეჭრილია ეგეოსის ზღვაში. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმართულია ათონის მთა, იგივე წმინდა მთა (ბერძნულად „აგიონ ოროს“) 2033 მ.) საქართველოში გამოგზავრებულია დედა ღვთისმშობელმა დადგა თავისი წმინდა ფეხი. ათონის მთა, ისევე როგორც ივერთა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნიღბვედ წინადა ითვლება. კვიპროსისკენ ზღვით მიმავალი ღვთისმშობელი, ღმრთის განგებთ, ამოვარდნილმა ქარიშხალმა ათონის წმინდა მთაზე გარიყა.

როგორც კი ღვთისმშობლის ხომალდი ათონის ნაპირს მიადგა, წარმართული ტაძრები ერთიანად ჩამოიქცა. ღვთისმშობელის დალოცვის შემდეგ ათონმა შეაბიჯა ქრისტიანული ისტორიის ერაში. თავდაპირველად ის ექვემდებარებოდა რომს, რომელიც პირველ ქრისტიანებს დევნიდა. 313 წელს იმპერატორ კონსტანტინე დიდის განკარგულებით დევნა შეწყდა. ამ დროისთვის ათონის მთაზე ქრისტიანული მსახური უკვე საკმაოდ განვითარებული იყო.

ათონის მთაზე მოღვაწე წმინდა მთას დღემდე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეორე და უმთავრეს ნიღბვედრს უწოდებენ. უკვე მრავალი საუკუნეა, ამ მთაზე ქალის ასვლა აკრძალულია, აქ მხოლოდ მამაკაცები სახლობენ.

ათონის მთაზე VII—VIII საუკუნეებში იწყება განდევნების, შემდეგ მონაზონთა დამკვიდრება და სამონასტრო მშენებლობა. VIII საუკუნის ბოლოს ქართველ მონაზვნებს აქ მცირე ხანაზე „ათონ“ დაუფუძნებიათ. შემდეგ არაბთა თავდასხმების შედეგად წმინდა მთა

## თავად პატრიარქს დისერტაცია აქვს დაცული ივირონის მონასტრის თემაზე. მას ყველაზე კარგად მოეხსენება ამ წიგნის ფასი.

რამდენჯერმე გაუჟაცრიებლბულა. პირველი დიდი მონასტერი წმინდა მთაზე „დიდი ლავრა“ 963 წელს ააგო ათანასე ლავრელმა, მისი წინამძღვრობის დროსვე დაარსდა მონასტერი ვატიკოვი და ათონის ივერთა მონასტერი.

ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, ტაოელი დიდებულის ჩორდვანელის ძე — თორნიკე ერისთავი ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მამულებელი გახლდათ. ბერად აღკვეთის შემდეგ მას ეწოდა იოანე. 979 წელს თორნიკე ერისთავს ბიზანტიის სამეფო კარმა შუამდგომლობა სთხოვა დავით კურაპალატთან, რათა დახმარებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში. თორნიკე ერისთავი თავდაპირველად ბერობას იმიზეზებდა და უარობდა, მაგრამ შემდეგ, ხელისუფლებისგან მოსალოდნელი რისხვის თავიდან ასაცილებლად, დათანხმდა. დავით კურაპალატმა თორნიკე ერისთავის სარდლობით ბიზანტიამ გაგზავნა 12 ათასი მხედარი, რომლებმაც სძლიეს სკლიაროსს და ხელთ იგდეს დიდი ნადავლი. ბიზანტიის ხელისუფლების დაპირების თანახმად, ნადავლი თორნიკე ერისთავს ეკუთვნოდა. ნაწილი ამ სიმდიერისა მან ათანასეს ლავრას და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ხოლო უდიდესი ნაწილი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა. 980 წლის ახლო ხანებში თორნიკე ერისთავს ბიზანტიის კეისარმა სვინგელოზის (პატრიარქის თანამემამულე) ნოდედა უბოძა. ათონის ივერთა მონასტერი — ძველი

ქართული მწერლობისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა, დაარსდა 980-983 წლებში. პირველი ქრისტიანი მონესენი ათონზე VIII-X საუკუნეებიდან ჩანან. 965 წელს ათონის მთას ეწვია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე. ათონის ივერთა მონასტერს თავდაპირველად სწორედ ის ხელმძღვანელობდა. მან ენერგიულად იწყო ზრუნვა ქართული საგანის განმტკიცება-გაძლიერებაზე. შეიძინა მამულეები, უზრუნველყო მონასტერი შემოსავლით. იოანეს გარდაცვალების შემდეგ 14 წლის განმავლობაში ქართველთა მონასტერს ექვთიმე ათონელი ხელმძღვანელობდა. მის წყალობით იქცა ათონის საგანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ ქართული კულტურის მძლავრ კერად. ექვთიმე ათონელის საქმიანობამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს წარმოადგენდა ქართული კულტურის მძლავრ კერას. იქ გრძელდებოდა მნი-

XIV საუკუნის დამდეგს ათონი რამდენჯერმე იქცა მტრის სათარემო არენად. არაბმა პირატებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული საგანე და მთავარი ტაძრის დანგრევაც კი განიზრახეს, მაგრამ მარმარილოს სვეტები ადგილიდან ვერ დაძრეს.

ასკარაა, რომ ათონის მთამ იმ შემოსევათა და შინაგან მღელვარებათა შედეგი გადაიგნა, რასაც ადგილი ჰქონდა რეგიონის ისტორიაში, ამას დაემატა 1347 წელს გავრცელებული შავი ჭირიც. 1345 წელს სერბებმა დაიკავეს სერისი. მუსლიმებმა პირველად 1387 წელს დაიპყრეს თესალონიკი, საბოლოოდ კი 1430 წელს. უცნობია, რა გავლენა მოახდინეს ამ ფაქტებმა ივირონის ბერების ყოფაზე. საფიქრებელია, რომ XIV ს-ში მონასტერი შესუსტდა.

I მსოფლიო ომის შემდეგ წმინდა მთა საბერძნეთის შემადგენლობაში შევიდა. წმინდა მთის მონასტრებზე უმაღლესი იურისდიქციის უფლება კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელთ არის, ხოლო მონასტრებს მართავს მათივე 20 წარმომადგენლისგან შემდგარი საბჭო.

XIX საუკუნის დამდეგიდან, ქართველთა მდგომარეობა ათონზე მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა, ბერძენებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროვეს. ამიერიდან რუსეთი უნდა დახმარებოდა გაჭირვებაში ჩაყარნილ ქართველებს, მაგრამ დასავლეთის ამბებმა, მძაფრმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, სამართლო ომმა მისი ყურადღება ჩამოაშორა ათონს. ამით ისარგებლეს ბერძენებმა და მტკიცედ დამკვიდრდნენ ივერთა მონასტერში. XIII საუკუნიდან ბერძენებმა თანდათან ხელთ იგდეს საგანე, ხოლო XIX საუკუნეში მთლიანად დაეპატრონენ მას, თუმცა ქართველი ბერები იქ შემდეგაც აგრძელებდნენ მოღვაწეობას. 1900 წელს მონასტერში 51 ქართველი იყო.

დღეს ათონის ივერთა მონასტერში ბრძანდება ხატი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, ივერიისად ნოდებული, რომელიც ათონის გულად ითვლება. მონასტრის შესასვლელში არის დიდი ხატი ივირონის დამაარსებელი ქართველი ბერებისა: იოანესი, ექვთიმესი და გიორგისა, რომლებსაც, როგორც ქტიტორებს, ყოველთვის იხსენიებს მთელი ათონის მთა.

დღეს, ათონის წმინდა მთაზე რამდენიმე ქართველი ბერი მოღვაწეობს, თუმცა, სამწუხაროდ, ივირონის მონასტერი ჯერ ისევე ბერძენების ხელში რჩება. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის დასაწყისში, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია გრიგორიანულ კალენდარზე (ახალი სტილი) გადავიდა, ათონზე ძველებურად იულიუსის კალენდრით სარგებლობენ (ძველი სტილი) ისევე, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

# კადისის უნივერსიტეტის დელეგაციის ვიზიტი რეალური გეგმების განხორციელების საუკეთესო სტარტია

16 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კადისის უნივერსიტეტის (ესპანეთი) დელეგაცია ეწვია. დელეგაციას კადისის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დიეგო სალეს მარკესი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის წევრებს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუაშვილმა უმასპინძლა.

## თამარ მარუაშვილი

ვიზიტის მიზანი გახლდათ თსუ-სა და კადისის უნივერსიტეტს შორის 2009 წლის სექტემბერში დადებული ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობის გააქტიურება, რაც ერთობლივი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელებას გულისხმობს. თანამშრომლობის თანახმად, კადისის უნივერსიტეტის დახმარებით ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები დაინერგება. ორი უმაღლესი სასწავლებელი თავის სტუდენტებს ერთობლივ კურსებს, სემინარებსა და კონფერენციებს შესთავაზებს. „თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში კადისის უნივერსიტეტის რექტორის ვიზიტი კონკრეტული წინადადებათა და რეალური გეგმების განხორციელების საუკეთესო სტარტია. ჩვენ არ გვაქვს ინტენსიური კავშირი ესპანეთის უნივერსიტეტებთან, ამ თანამშრომლობით კი უნიკალური შანსი გვქვია — ბევრი რამ სასიკეთოდ შევცვალოთ. დიდი ინტერესი თსუ-ის სტუდენტებისა ესპანეთის კულტურის, ენის მიმართ და იმედი მაქვს, რომ ჩვენი უნივერსიტეტების თანამშრომლობის გააქტიურებით მას მეტ მოტივაციას შევძენთ. მართალია, ეს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის მრავალ ასპექტს ითვალისწინებს, მაგრამ პირველ ეტაპზე სასურველია ესპანური ენის სწავლების მიმართულებით გავააქტიუროთ თანამშრომლობა და აბსოლუტურად მოდერნიზებული პროგრამები შევთავაზოთ დაინტერესებულ სტუდენტებს, რათა ახალგაზრდებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს ესპანურენოვანი სამყარო, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუაშვილმა.

თსუ-სთვის ევროპული ქვეყნების საგანმანათლებლო ცენტრებთან თანამშრომლობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია და იგი ორი ქვეყნის პარტნიორობასა და მათი კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების ურთიერთგაცნობასა და გაზიარებას უწყობს ხელს. ამ აზრს იზიარებს კადისის უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი დიეგო სალეს მარკესი, რომელმაც შეხვედრაზე აღნიშნა: „უნივერსიტეტის დელეგაციის სახელით მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მიღებისთვის. ჩვენი დღევანდელი ვიზიტის მიზანია ორ მეგობარ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების გააქტიურება, ურთ-



ერთთანამშრომლობის გაღრმავება და გაფართოება, რაც მომავალში სხვადასხვა ფორმით გაგრძელდება — ეს იქნება გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი, სხვადასხვა სახის სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციები“.

შეხვედრაზე თსუ-ის რექტორმა ნამოაყენა წინადადება კავკასია-ესპანეთის საუნივერსიტეტო ცენტრის შექმნის თაობაზე, რომელიც არა მარტო სამეცნიერო, კულტურულ, არამედ ეკონომიკურ და საინვესტიციო პროექტებს განახორციელებს. ეს წინადადება ესპანეთის მხარემაც მოიწონა და მის განხორციელებაში ესპანეთის ხელისუფლების

დაინტერესებისა და დახმარების იმედიც გამოთქვა.

„თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების ამოქმედება. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი უმაღლესი სასწავლებელი მომავალში ერთობლივი დიპლომების გაცემის მიმართულებითაც იმუშავებს, რაც სტუდენტების ინტერესსა და მოტივაციას გაზრდის. დაგეგმილია, ასევე, თსუ-ის ბაზაზე ესპანური ენის ცენტრის გახსნა და ესპანური კულტურის დღეების გამართვა“, — აღნიშნა შეხვედრის დასრულებისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუაშვილმა.

კადისის უნივერსიტეტის დელეგაციის წევრები შეხვედრის თსუ-ის ფაკულტეტების დეკანის მოვალეობის შემსრულებლებს და უფრო კონკრეტულად განიხილეს შემდგომი თანამშრომლობის ასპექტები, გაეცნენ ფაკულტეტების სამეცნიერო მუშაობის პრინციპებს, სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს.

დელეგაციის წევრები საქართველოს პარლამენტის, კულტურის სამინისტროსა და ხელოვნების მუზეუმის წარმომადგენლებსაც შეხვედრის ოფიციალური შეხვედრების შემდეგ კი საქართველოს სხვადასხვა მხარეს ესტუმრნენ და კულტურული ძეგლები დაათვალიერეს.



# „ძლიერთა ამა სოფლისათა გაიგონ, რომ ანბარიში უნდა გაუნიონ მასმედის დამოუკიდებლობას“

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მოწვევით 12—27 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუმრობდა ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი და მედიაკვლევარი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი გიუნტერ ფონ ლოევსკი. მან უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებისთვის თანამედროვე მედიის პრობლემებზე საკითხებზე წაკითხა ლექციები, ჩაატარა სემინარები და მასტერკლასები.

## მანია ტორაძე

25 ნოემბერს პროფესორი გიუნტერ ფონ ლოევსკი და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) წარმომადგენელი საქართველოში — გერჰარდ როილი ჟურნალისტიკის მიმართულების აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებსა და სხვადასხვა მედიასამუალებს უნივერსიტეტს შეხვდნენ. შეხვედრას ორი მიზანი ჰქონდა — საზოგადოებისთვის გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ გამოცხადებული სასტიპენდიო პროგრამების გაცნობა და მედიაში არსებული პრობლემების შესახებ პროფესორ ლოევსკისთან დისკუსიის გამართვა.

ჩვენ შეგვიძლია მედიის გემოვნებიანი მკითხველი და მსმენელი გავზარდოთ, რაც ასე ადვილი არაა, რადგან, როგორც თავად ბატონმა ლოევსკიმ ბრძანა, ისეთი მძლავრი ლოკომოტივი, როგორცაა დასავლეთ გერმანია, დღემდე ცდილობს, რომ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლურ სტანდარტებს დაუახლოვოს. მაგრამ, პოსტკომუნისტური მემკვიდრეობის გამო, იქაც კი ბევრი პრობლემაა. საქართველოში, ცხადია, ამ მხრივ გაცილებით რთული მდგომარეობაა. მინდა დავადასტურო, რომ უნივერსიტეტი სიაშოვნებით დაუჭერს მხარს ბატონი ლოევსკის წინადადებას, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას თბილისის სახელმწიფო



გერჰარდ როილი და გიუნტერ ფონ ლოევსკი

შეხვედრა გახსნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარინე ვაშაყაძემ. მან აღნიშნა, რომ ასეთი ტიპის ურთიერთობები გამოცდილ უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის ყოველთვის წარმატების მომტანია. „ქართულ მედიაში ძალიან ბევრი პრობლემაა. მათ შორის ერთ-ერთი პროფესიონალიზმი. ამიტომ ძალიან გვიხარია, რომ ჩვენს უნივერსიტეტს ბატონი ლოევსკის დონის ჟურნალისტი სტუმრობდა. იგი 1989-1997 წლებში რადიო „თავისუფალი ბერლინის“ ხელმძღვანელი იყო და კარგად იცნობს მედიაში არსებულ პრობლემებს. პროფესორ ლოევსკის ლექციებმა აქტუალობასა და მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ორი კვირის განმავლობაში დარბაზი სავსე იყო დაინტერესებული სტუდენტებით. მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, პროფესორ ნოდარ ბელქანიას, რადგან ბატონი ლოევსკის სტუმრობა ჩვენთან შესაძლებელი გახდა“, — განაცხადა მან.

უნივერსიტეტისა და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ჟურნალისტიკაში. ამ ეტაპზე მხოლოდ ისაა შესაძლებელი, ეს პროგრამა ინგლისურენოვანი იქნება თუ გერმანულენოვანი. გარდა სამაგისტრო პროგრამისა, ჩვენ შეგვიძლია ჟურნალისტებს შევთავაზოთ გადასახლების სპეციალური კურსები, რომელიც მთლიანად პრაქტიკაზე იქნება ორიენტირებული. იმედი მაქვს, რომ ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, ისევე როგორც გერმანიის დოქტორ ორგანიზაციები, სხვა პროგრამებთან ერთად, ამ სამაგისტრო პროგრამასაც დააფინანსებენ. ამ პროგრამის ამოქმედებით სამომავლოდ საფუძველი ჩაეყრება სტაბილურ ინსტიტუციონალურ თანამშრომლობას, რადგან როცა ორივე მხრიდან ასეთი განწყობა და სურვილია, ხელს არაფერი შეუშლის მომავალში თსუ-ში ძლიერი ჟურნალისტური ცენტრის ჩამოყალიბებას“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

დისკუსიის დაწყებამდე გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის წარმომადგენელმა საქართველოში გერჰარდ როილიმ საზოგადოებას გააცნო სიახლეები გაცვლით პროგრამებში. მან აღნიშნა, რომ DAAD პასუხისმგებელია გაცვლით პროგრამებსა და სტიპენდიებზე.

„ჩვენ იმისთვის ვართ აქ, რომ რეკლამა გავუწიოთ ჩვენს სტიპენდიებს, რადგან რაც მეტი კარგი განაცხადი შემოვა, მით უფრო მეტი და ძლიერი სტიპენდიანტი გვეყოლება. აქვე გეტყვით, რომ თუ ის სამაგისტრო პროგრამა შედგება, რომელიც ბატონმა გიორგი ხუბუამ საუბრობდა, ჩვენი აკადემიური გაცვლითი სამსახური სიაშოვნებით დაეხმარება ამ პროგრამასაც“, — განაცხადა გერჰარდ როილიმ. მან, ასევე, ისაუბრა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ აკადემიური პერსონალისთვის გამოცხადებული პროგრამის შესახებ, რომელსაც მოკლევადიანი დოცენტურა ჰქვია და რომელიც 33 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მეცნიერებისთვისაა განკუთვნილი. სასტიპენდიო პროგრამას — „უნივერსიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე“ — პროფესორი ლოევსკი ხელმძღვანელობს.

ბატონმა გიუნტერ ფონ ლოევსკიმ ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე. „თსუ-ის რექტორს აქვს ინიციატივა, რომ

ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია თსუ-სა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტს შორის, უფრო დაკონკრეტდეს და შეიქმნას ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ჟურნალისტიკაში. ამ პროგრამას „უნივერსიტეტი და მასობრივი კომუნიკაცია ერქმევა“, — განაცხადა პროფესორმა ლოევსკიმ. მან ყურადღება გაამახვილა მოკლევადიან დოცენტურაზე.

„პროგრამაზე „უნივერსიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე“ მუშაობა ჯერ კიდევ 12 წლის წინ დაიწყო, როცა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს შეხვდი. მაშინ მოსკოვში სიტყვისა და პრესის თავისუფლება არ არსებობდა და მიმანდა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა. ამიტომ რუსი ჟურნალისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობის მიზნით, მათ ეს პროგრამა შევთავაზე. პროგრამაში, რომელიც თავდაპირველად რუსეთისთვის მქონდა გათვალისწინებული, დღეს ჩართულია უკრაინის, ბელარუსისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებიც. ჩვენი სტუმრები 3 თვეში ერთხელ ჩამოდან ბერლინში. მათ უტარდება ინტენსიური სემინარები, ეცნობიან გერმანიის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის საკითხებს, აწყობენ ტურს გერმანიის უკეთეს შესასწავლად, გადიან 6 კვირიან პრაქტიკებს გერმანიის ტელევიზიებში, მსხვილ და პატარა რედაქციებში და თავიანთ გადაცემებში გერმანულ რეალობას ასახავენ“, — განაცხადა გიუნტერ ფონ ლოევსკიმ.

მან საზოგადოებას გააცნო პროგრამაში მოხვედრის 4 წინაპირობა: 1) ახალგაზრდა არ უნდა აღემატებოდეს 33 წელს; 2) დამთავრებული უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტი; 3) უნდა გააჩნდეს ჟურნალისტური გამოცდილება და 4) უნდა ფლობდეს გერმანულ ენას. პროგრამას დააფინანსებს გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური. ასევე ითქვა, რომ ეს პროგრამა გამოცდილი უნივერსიტეტისთვისაც იმუშავებს.

„ჩვენ გვინდა წამოვიწყოთ სამაგისტრო პროგრამა ბერლინის უნივერსიტეტსა და მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის. საქმე ეხება ორმაგ ხარისხს, რომელიც კურსდამთავრებულებს მიენიჭება. მათ თანაბარი სტანდარტი ექნებათ გერმანიისა და რუსეთში. ამ დიპლომით გერმანელი სტუდენტები იმუშავებენ რუსეთში, ხოლო რუსი უნივერსიტეტი თავისუფლად იმუშავებენ ბერლინსა და ევროპის იმ ქალაქებში, რომლებიც ჩართულნი არიან ბოლონის პროცესში“, — ბრძანა ბატონმა ლოევსკიმ.

მან სიაშოვნებით აღნიშნა ქართველი სტუდენტების დიდი ინტერესი იმ ორკვირიანი ლექციების მიმართ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა.

„კარგი შთაბეჭდილება დამრჩა ძირითადად კოლეგა ქალებზე. რა თქმა უნდა, ყველას არ აქვს მონაწილეობა და ერთნაირი აქტიურობით არ მონაწილეობს დისკუსიებში. ზოგიერთს პასუხი მაშინვე მზად აქვს, არიან ისეთებიც, რომლებსაც სურთ, თავად ჩაერიონ საქართველოს პოლიტიკაში. მათ უნდა ვუთხარა, რომ პოლიტიკაში ჩარევისგან თავი შეიკავონ. მეტი სინათლისთვის გოეთეს დავესხებები: „ახედეთ ვარსკვლავს, მაგრამ დარჩით დედამიწაზე!“ უნივერსიტეტს შეუძლია ობიექტური ინფორმაცია მიანოდოს საზოგადოებას, რისთვისაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა და თავისუფლება — უნივერსიტეტი ეთიკის დაცვით, მიუკერძოებლად აარჩიოს თემები და მიანოდოს ინფორმაცია საზოგადოებას“, — განაცხადა გიუნტერ ფონ ლოევსკიმ.

გაცვლითი და სამაგისტრო პროგრამების მიმოხილვის შემდეგ თანამედროვე მედიის პრობლემებზე დისკუსია გაიმართა. უნივერსიტეტმა სტუმარს საინტერესო თემები შესთავაზა.

„საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის“ თავმჯდომარე ია მამალაძე დაინტერესდა, როგორ მუშაობენ გერმანიაში უნივერსიტეტი ადგილობრივ თვითმმართველობებთან. აღნიშნულ თემაზე ბატონმა ლოევსკიმ განაცხადა, რომ გერმანიაში მოქმედებს კონსტიტუცია — მთავარი კანონი, რომელიც აღნიშნულია, რომ ქვეყანას სიტყვისა და პრესის თავისუფლება აქვს. თუ ვინმემ დაარღვია ეს კანონი, მაშინ სასამართლო ჩაერევა და დაიცავს კანონს პრესის თავისუფლების შესახებ.

„მთელ გერმანიაში ასეა, სულ ერთია, თქვენ სახელმწიფო პარლამენტში გაქვთ საქმე თუ რეგიონებში. ვცდილობ ახალგაზრდებს ვაჩვენო, რომ რეგიონებში უნივერსიტეტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ორმხრივი ურთიერთობა არსებობს. პოლიტიკოსს სჭირდება უნივერსიტეტი. ის პოლიტიკოსი, რომელსაც მასმედიაში არაფერი ესაქმება, არ არის მოქმედი პოლიტიკოსი. ის ვერ მოიპოვებს ამომრჩევლებს და თუ ამომრჩევე-

ლებს ვერ მოიპოვებს, მაშინ თავის პოლიტიკასაც ვერ აწარმოებს. ამიტომ, უნივერსიტეტს უფლება აქვთ, დაინტერესდნენ სმიერი პოლიტიკური ინფორმაციით და ობიექტურად გააშუქონ იგი“, — განაცხადა ბატონმა ლოევსკიმ და იქვე დაამატა, რომ უნივერსიტეტი მოღვაწეობს პერიოდში არასოდეს ჰქონია პირადი ურთიერთობები პოლიტიკოსებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან, რადგან მისთვის მთავარი იყო, რაც შეიძლება სწრაფად და ობიექტურად მიენოდებინა ინფორმაცია საზოგადოებისთვის, დახმარებოდა მათ ინფორმაციის დასაგებაში მიუხედავად იმისა, ემსახურებოდა თუ არა ეს ინფორმაცია რომელიმე პარტიის ინტერესებს.

ბატონმა ლოევსკიმ ობიექტურობის დაცვაზე გაამახვილა ყურადღება და რუსეთის მედიის მაგალითზე მიმოიხილა ის მავნე ტრადიციები, რაც პოსტსაბჭოთა სივრცის მედიას მემკვიდრეობით ერგა.

„ჩვენ გამოძიება ჩავატარეთ და დავასკვნით, რომ მოსკოვში ძალიან ბევრი ტელეუნივერსიტეტი და მედიასამუალება კონტროლდება ხელისუფლების მიერ. რაც შეეხება ბექდურ მედიას, შედარებით უკეთესად არის საქმე. ჩვენ გვინდა ხელისუფლებამ და „ძლიერთა ამა სოფლისათა“ გაიგონ, რომ ანგარიში უნდა გაუწიონ მასმედიის დამოუკიდებლობას და არაყის აქვს უფლება, უხელმძღვანელოს მას“, — ბრძანა ბატონმა ლოევსკიმ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ინფორმაციის ნაკადის გაკონტროლება დღითიდღე უფრო ძნელი ხდება, რადგან ეს პროცესი ინტერნეტის მეშვეობით უკვე ინდივიდუალურია და ადამიანს ადარ შეუძლია თვლი მთავრობის მას.

მედიასაქტიურობა ია ანთაძე დაინტერესდა, რამდენად შეუძლია უნივერსიტეტს დაბეჭდოს საეჭვო ინფორმაცია. „არის სხვაობა ბრიტანულ და გერმანულ უნივერსიტეტს ეთიკას შორის. ბრიტანული ეთიკის დევიზია: „თუ გეეჭვება, არ დაბეჭდო“, გერმანულია კი — „თუ გეეჭვება, დაბეჭდე“, რაც ნიშნავს გაცილებით მეტ ნდობას საზოგადოების მიმართ. საინტერესოა თქვენი კომენტარი“, — მიმართა მან პროფესორ ლოევსკის.

„ბევრი შემთხვევა ვიცი, როცა ბრიტანეთის მასმედიის გამოქვეყნდა ცნობები, რომელიც შემდეგ გამოაცხადეს, რომ მცდარი იყო და ამისთვის ბოლოში მოიხადეს. შემძლია გითხრათ, რომ რალაც შემთხვევასთან დაკავშირებით ერთი უნივერსიტეტი შეიძლება სხვაგვარად მოქცეს, მეორე — სხვაგვარად. მე ვყვრდნობი ძირითად კანონს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რა არის ვადაწყვეტი ჩემი საზოგადოებისთვის. უფრო ცხადი რომ გახდეს, რაზე ვლანარაკობთ, მაგალითად, მე შეგეკითხებით, გაქვთ ინფორმაცია, რომ 1939 წელს ჰიტლერმა გადაწყვიტა, თავს დაესხას პოლონეთს, გამოაქვეყნებთ თუ არა ამ ცნობას? შედეგი ცხადია — თუკი თქვენ ამას გამოაქვეყნებთ, გადაარჩენთ ჰიტლერის და პოლონეთის მოქალაქეთა სიცოცხლეს, მაგრამ თუ არ გამოაქვეყნებთ, ომი თავისი გზით წავა. რომელი ალტერნატივაა მისაღები? უნივერსიტეტს ეთიკა უნდა კარნახობდეს — იმოქმედოს შეხედულებისამებრ და თავად გადაწყვიტოს, როგორ მოქცეს“, — განაცხადა ბატონმა.

შეხვედრაზე რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტმა ნინო გელაშვილმა სადისკუსიოდ დასვა უნივერსიტეტის მიუკერძოებლობის პრობლემა, რაზეც პროფესორმა ლოევსკიმ ბრძანა, რომ ეს საფრთხილო საქმეა, რადგან არ შეიძლება ერთი ან ორი გადაცემით ან სტატიით გამოიტანო დასკვნა. მისი აზრით, ეს დიდი ხნის დაკვირვების შედეგად უნდა გაკეთდეს და თუ საზოგადოება დაინახავს, რომ უნივერსიტეტი მიკერძოებულია, მისი ადგილი რედაქციაში აღარ უნდა იყოს. „მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ყველაზე მნიშვნელოვანია მასმედიისთვის“, — განაცხადა ბატონმა გიუნტერ ლოევსკიმ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარინა ვაშაყაძე დაინტერესდა, რა მექანიზმით ხელმძღვანელობს რედაქტორი, როცა უნივერსიტეტის მიკერძოებულობა საუბარია, რა ინტერაქციაშია საზოგადოება ამ საკითხთან მიმართებაში?

ბატონმა ლოევსკიმ ამ კითხვაზე განაცხადა, რომ რედაქტორი ასეთ შემთხვევაში ყურდნობა საზოგადოების მიერ მიწვევს, რომ იღებებს და თუ ბევრი ადამიანი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ობიექტურობაში ეჭვი ეპარება, ეს შეიძლება რედაქციიდან მისი დათხოვნის მიზეზი გახდეს.

დისკუსიის დასასრულს, სტუმარს კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა საინტერესო საუბრისთვის და სტუდენტებთან განუული შრომისთვის.

ორკვირიანი ინტენსიური სემინარებისა და გიუნტერ ფონ ლოევსკის მასტერკლასების შემდეგ თსუ-ის სტუდენტებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.



# ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორი თსუ-ის შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს შეხვდა

ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორი გიორგი არველაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრას თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც დაესწრნენ. სტუდენტებთან საუბრის სურვილი გიორგი არველაძემ თავად გამოთქვა და თემაც — „მედია და პოლიტიკა“ ერთად შეარჩიეს.

## ნათო ოპოლაკა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა ყურადღება, ძირითადად, უნივერსიტეტში პრაქტიკული სწავლების ნაკლებობაზე გაამახვილეს, რაც, მათი თქმით, პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს. გიორგი არველაძემ მედიაში არსებულ მთავარ პრობლემებზე საუბრისას აღნიშნა, რომ იგრძნობა პროფესიონალი კადრების ნაკლებობა, რაც ეთერში გასული „ახალი ამბების“ ინფორმაციის ხარისხზეც აისახება.

„ჩემი, როგორც ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორის თსუ-ში მოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია — მოვიძიო ადამიანური რესურსები, მინდა შევარჩიო შურნალისტიკის მომავალი თანამშრომლობისთვის.

მოგესხნებათ, ჩვენმა ტელეკომპანიამ რთული პერიოდი გადაიტანა — ჯერ დაიხურა, შემდეგ დაკარგა მყურებელი, შურნალისტები, თავისი მახასიათებლები და ღირსებები, შეიცვალა იდეოლოგია, მას „რუსთავი 3“-იც კი უწოდეს. ახლა ვცდილობთ, რომ სიტუაცია შევცვალოთ. მოგესხნებათ, ტელევიზიებს შორის კონკურენციის შედეგად ხარისხი იზრდება. ამასთან, ყველა შურნალისტი ცდილობს, რომ ტელევიზია წარმატებული გახადოს.

მიმართა, რომ ამ ეტაპზე მთავარია კვალიფიციური და ძლიერი კადრების თვალსაზრისით ტელევიზიის განახლება“, — განაცხადა გიორგი არველაძემ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურმა



დირექტორმა ტელევიზიაში სტაჟირების გასაველეად კონკურსში მონაწილეობა შესთავაზა. კონკურსი ვადებში შეზღუდული არ იქნება, სტუდენტებს საკუთარი იდეების და წინადადებების კომპანიის გენერალური დირექტორის ელ-ფოსტაზე გადაგზავნა სისტემატურად შეეძლება. საინტერესო თემის შეთავაზების შემთხვევაში ავტორებს სატელევიზიო სიუჟეტის მომზადების საშუ-

ალეა მიეცემა, რაც ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვების ეთერით გადაიცემა. საუკეთესო სიუჟეტების ავტორებს ტელეკომპანიაში სტაჟირების გაცვლის შემდეგ დასაქმების პერსპექტივაც ექნებათ.

გიორგი არველაძემ ქართულ თანამედროვე შურნალისტიკაში არსებულ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით, ახალი ამბების გამოშვება, ძირითადად, დღევანდელ დღეზე მიბმული მოვლენების გაშუქებით ენყოფა და ხშირად აქტუალური პრობლემის, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია არსებობს, ყურადღების მიღება რჩება. „იმედის“ გენერალური დირექტორი გამოსავალს შურნალისტების პროფესიული სტანდარტის გაზრდაში ხედავს, რის შედეგადაც, ეთერში ახალი ამბების გაცვლითი მნიშვნელოვანი და ფასეული ინფორმაციის ნაკადი მოხვდება.

ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურსა და თსუ-ის შურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს შორის თანამშრომლობის პროცესი უკვე დაიწყო. დამწყები შურნალისტები თემატური თვალსაზრისით შეზღუდული არ არიან. მათ ტელეკომპანიას როგორც პოლიტიკური, ისე კულტურულ-გასართობი თემატიკის მომცველი სხვადასხვა აქტუალური საკითხები შეუძლიათ შესთავაზონ.

# ბაირონ სკოტი: „უნივერსიტეტში მუშაობა ჩემთვის უდიდესი პრივილეგიაა“

მეორე წელია, რაც უნივერსიტეტის მიმართულების პროფესორებს აქტიური შემოქმედებით და პრაქტიკული ურთიერთობები აკავშირებთ ამერიკელ პროფესორ ბაირონ სკოტთან, რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ სახსრებით პროექტის ფარგლებში უკვე მესამედ ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ბაირონ სკოტი გახლავთ მისურის უნივერსიტეტის (კოლუმბია) უნივერსიტეტის სკოლის პროფესორი ემერიტუსი, ევროპული კავშირის ცენტრის უფროსი მკვლევარი და კონფლიქტების, სამართლისა და მედიის ცენტრის დირექტორი ამერიკელი პროფესორი ემერიტუსი.

პროფესორი ბაირონ სკოტი წლების განმავლობაში მუშაობდა გაზეთების „მაიამი ჰერალდის“, „ჩიკაგო ტრიბუნის“, „ლონგ ბიჩ ინდიფენდენტის“ კორესპონდენტად, აგრეთვე ნიუ იორკში, ჩიკაგოსა და ვაშინგტონში იყო სამედიცინო უნივერსიტეტის „ჯანმრთელობა დღეს“ და „სამედიცინო აზრი“-ს რედაქტორი. ამერიკელი პროფესორი უნივერსიტეტის მიმართულების სტუდენტებისა და პროფესიული გამოცდილების სხვადასხვა ასპექტებზე ესაუბრნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორები ელზა ლომიძე და ხატუნა ჩარაქვიანი.

— ჩვენი ინტერვიუ მნიშვნელოვანი მოვლენით გვსურს დაიწყოთ... მოგესხნებათ, უნივერსიტეტის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მშვიდობის დარგში პრეზიდენტ ობამას ნობელის პრემიის დაჯილდოების შესახებ. რა კომენტარს გააკეთებთ ამ მოვლენასთან დაკავშირებით?

— პრეზიდენტმა ობამამ თვითონ გააკეთა კომენტარი, რომ ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება დიდი სიურპრიზი იყო მისთვის. მაგრამ, ამავე დროს, ცხადია, ეს უდიდესი გამოწვევაა ნობელის კომიტეტისა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტიად. ვფიქრობ, მშვიდობის დამყარება, მშვიდობის შენარჩუნება და კონფლიქტების მოგვარება ის საკითხებია, რაც ყველას თანაბრად ადევნებს მსოფლიოში. ამ პრობლემებთან დაკავშირებით ყველა საერთო აზრს იზიარებს. ვამაყობ, რომ ამერიკელი ვარ და რომ ჩვენმა პრეზიდენტმა ასეთი აღიარება მიიღო.

— ბატონო სკოტი, ჩვენი შეხვედრა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ჩვენც და თქვენც ველავთ უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე პროცესის შესახებ, რაც უნივერსიტეტის სწავლებას, მათ განათლებას უკავშირდება. არსებობს აზრი, რომ მათემატიკაში და მედიცინაში სწრაფად არაფერი იცვლება, უნივერსიტეტში კი განვითარების პროცესი დინამიურად მიმდინარეობს. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს — მხოლოდ ჩვენთან ხდება ამგვარი ტრანსფორმაცია თუ ამერიკაშიც იგივე პროცესი მიმდინარეობს?

— უახლოეს ხანში მექნება საჯარო ლექცია, სადაც ვისაუბრებ იმ საინტერესო და მიმზიდველ დროსა და გარემოზე, რომელიც დღეს უნივერსიტეტისთვის არსებობს. ამის მიზეზი სწორედ ის ცვლილებებია, რაზეც ვსაუბრობთ, ანუ როგორ ვქმნით უნივერსიტეტს; როგორია მედია, რომელსაც ვემსახურებით; როგორ ხდება უნივერსიტეტი უფრო მეტად საერთაშორისო და როგორ იძენს იგი ამ სტატუსს, როდესაც მიმდინარეობს მსოფლიოს დაახლოების პროცესი.

პროფესორი უნივერსიტეტი ვარ. უნივერსიტეტისთვის ვასწავლი უკვე 50 წელზე მეტია და ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე უფრო საინტერესო და მიმზიდველი დროა, რომელიც დიდ გამოწვევებს სთავაზობს პრაქტიკოს უნივერსიტეტს, ადამიანებს, რომლებიც ქმნიან

უნივერსიტეტს და ცდილობენ, დაეხმარონ სტუდენტებს.

უნივერსიტეტის ხიბლი და მიმზიდველობა დღეს არის ტექნოლოგიები, გარდაქმნები და ის პროცესები, რაც მსოფლიოში მიმდინარეობს. უკანასკნელი 20 წელია, რაც ინტენსიურად ვმუშაობ უნივერსიტეტში, განსაკუთრებით გარდამავალი დემოკრატიის (უმეტესად ყოფილი საბჭოთა ბანაკის) ქვეყნებში. საქართველოში, ამ პროგრამის ფარგლებში, ახლა ვინყვებთ მუშაობას. ჩამოვდივარ, რათა დავეხმარო ფაკულტეტს და უნივერსიტეტს სკოლას უნივერსიტეტის ახალი თაობის სწავლებასა და მომზადებაში.

— დღეს მთელი მსოფლიო განიცდის ტრანსნაციონალური სივრცის ტრანსფორმაციას, მიმდინარეობს პროცესი, რომელსაც ჩვენ გლობალიზაციას ვუწოდებთ. უნივერსიტეტი და კომუნიკაციები ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მისი მიმდინარეობა ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ეს გლობალიზაცია ხასიათის პროცესებია, რაც პირველი შემთხვევა არ არის დედამიწის ისტორიაში, მაგრამ ახლა საინტერესო მომენტია, რადგან ყოველივე ეს ხდება უნივერსიტეტისა და კომუნიკაციების მონაწილეობით. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით?

— ვფიქრობ, მედია, ტექნოლოგიების მიუხედავად, რაც განაპირობებს ინტერნეტთან ხელმისაწვდომობას, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, რადგან ინფორმაციის სელექცია, კრეატიულობა, განმარტება და ფაქტების ინტერპრეტაცია კარგი უნივერსიტეტური ტექნიკით დღეს საუკეთესოდ არის მიღწეული.

— როგორ თვლით, უნივერსიტეტი უფრო სოციალურ-პოლიტიკური ფიგურაა, თუ უნივერსიტეტში უფრო შემოქმედების სერიოზული მომენტი მოქმედებს?

— მიმართა, რომ ყველა ერთა უნდა შექმნას შესაფერისი გარემო უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტი, რა თქმა უნდა, ეკუთვნის სოციალურ მეცნიერებას და აქ არის რიგი საკითხებისა, რაც საერთოა ამ სფეროებისთვის, მაგრამ, კანონის მსგავსად, თითოეული ირი დებს იქ თავის ენას, თავის კულტურას, თავისი ისტორიას და კონსერვაციას.

— მსოფლიოში არსებობს გავრცელებული თვალსაზრისი, რომ ღრმა ნაციონალურის

გარდა, არსებობს კარგი და ცუდი უნივერსიტეტი, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— ვფიქრობ, უნივერსიტეტში არის რაღაც, რაც შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც. ერთი რამ კი უდავოა, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის უნდა ცდილობდეს თქვას სიმართლე. უნივერსიტეტი ამბის გადმოცემის არიან, ისინი ინტერპრეტირებას უწევენ რთულ სიტუაციებს, არიან საზოგადოების მასწავლებლები და ეს მათ საკმაოდ დროს ართმევს იმისთვის, რომ იყენონ პოლიტიკოსები.

— როდესაც ვირჩევდი პროფესიას (ელზა ლომიძე) ვფიქრობდი, რომელი შეგერჩია, რომ არასოდეს გავსულიყავი პენსიაზე და მაშინ ვიფიქრე, რომ ეს პროფესია უნივერსიტეტი იყო. როგორ თვლით, შეიძლება თუ არა ამ პროფესიით პენსიაზე გასვლა და დასვენება?

— მიუხედავად იმისა, რომ ემერიტუსი ვარ, კიდევ უფრო დაკავებული ვარ ვიდრე ოდესმე ვიყავი, კიდევ ვმუშაობ და ისევ ვასწავლი სტუდენტებს. ვარ სრული პროფესორი, ემერიტუსი, რაც გადამდგარს ნიშნავს. ჩემთვის უნივერსიტეტში მუშაობა უდიდესი პრივილეგიაა. მე შემიძლია ჩამოვიდე საქართველოში რამდენიმე კვირით და არ ვინერვიულო ჩემი სტუდენტების შესახებ კოლუმბიაში, მე მსიამოვნებს ის სამუშაო, რასაც ვაკეთებ და ჩემი სტუდენტებიც მხარს მიჭერენ.

— იქნებ გაიხსენოთ, რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი თქვენს უნივერსიტეტში ცხოვრებაში, როგორც პრაქტიკული, ისე პედაგოგიური საქმიანობაში?

— იყო უნივერსიტეტი, ნიშნავს მუდმივად იღებდე გამოცდილებას.

ვაშუქები მოვლენებს ქარიშხლების შესახებ ფლორიდაში, მქონდა ინტერვიუები გამოჩენილ ადამიანებთან და ქვეყნის ლიდერებთან, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი ინტერესი ყოველთვის საერთაშორისო უნივერსიტეტი იყო, რომელმაც მოგზაურობის და სხვადასხვა ერების კულტურის გაცნობის შესაძლებლობა მომცა.

გავიზარდე მაიამიში, ფლორიდაში. თავდაპირველად მუშაობა დავიწყე გაზეთ „მაიამი ჰერალდი“-ის კორესპონდენტად. ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის უდიდესი სიამოვნებაა ვასწავლო, შევხვედრე კოლეგებს და იმ ადამიანებს (განსაკუთრებით ჩემ თაობას ვგულისხმობ), რომლებსაც აკრძალული ჰქონდათ ურთიერთობა „ცივი ომის“ დროს, ასევე, ვიმოგზაურო სხვადასხვა ქვეყნებში როგორც რუსეთი, ალბანეთი, ბულგარეთი, მონღოლეთი, საქართველო... აქვე მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, რომელმაც საშუალება მომცა ჩამოვსულიყავი საქართველოში, სადაც ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას ვიღებ, მხარაული ვიქნები, თუ ჩემი პროექტი კვლავ დაფინანსდება.

— ხშირად კამათობენ იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტი უნდა ჰქონდეს რაიმე დამატებითი პროფესია და მხოლოდ მაშინ შეიძლება იგი გახდეს უნივერსიტეტი, თუ უნივერსიტეტს შეუძლია გაუძღვას ისეთი უნივერსიტეტის გამომავალს, როგორცაა სამედიცინო უნივერსიტეტი?

— ვფიქრობ, რომ ეს კამათი უხსოვარი დროიდან მოდის. ჩვენ დავეუფლეთ უნივერსიტეტს სხვადასხვა გზით. სამეცნიერო ხარისხი დაცული მაქვს პოლიტიკურ მეცნიერებებში, მაგრამ ვიმუშავე ჩემი გამოც-



დილებით. სამედიცინო უნივერსიტეტი მუშაობა იყო გამოწვევა, რადგან ეს პოზიცია უნდა გამეცნობიერებინა არა როგორც პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალისტს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც შეიძლება გახდეს ავად, უნდა მეფიქრა მათზე, ვისაც სჭირდება დახმარება ჯანმრთელობის მხრივ.

აქ უნდა იყოს: რადგან ეს თანამდებობა მე უნდა გამეცნობიერებინა არა როგორც პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალისტს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც შეიძლება გახდეს ავად, ასევე უნდა მეფიქრა იმაზე, ვისაც სჭირდება დახმარება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

— ამას ვგულისხმობთ, რადგან უნივერსიტეტის ბუნება ისეთია, რომ ჩვენ როგორც მედიატორებმა ისე უნდა ვავეუნიოთ ადაპტირება, რომ ყველამ შესძლოს ამ სერიოზული და მძიმე მეცნიერების გავება. ვფიქრობთ, ასეთი დასკვნა უნდა ვაკეთოთ, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს აუცილებლად ძალზე განათლებული ადამიანი და მიიღოს ეს განათლება უნივერსიტეტის ფაკულტეტზე და ემხრობით ამ პოზიციას?

— ვფიქრობ, კარგი უნივერსიტეტი არასოდეს წყვეტს სწავლას, ინტერესდება სხვადასხვა თემით და მუდმივად იღებს განათლებას.

— ჩვენი მივიღეთ მეტად საინტერესო ინფორმაცია, რაც გვძლევს საშუალებას გავიმყაროთ ჩვენი პოზიცია, რომ ჩვენ სწორად ვაკეთებთ ჩვენ საქმეს.

— ვნაწობ, რომ როგორც უნივერსიტეტი, უკვე ვეღარ შევძლებ დავიწყო მუშაობა თავიდან. უნივერსიტეტი ეს მართლაც არაჩვეულებრივი დროა.



# საქართველო უმასპინძლა IV საერთაშორისო კონფერენციას

„ვია ეგნატია“, როგორც ცნობილია, იმ გზის სახელწოდებაა, რომელიც ძველ დროში რომაელებმა გაიყვანეს. იგი იწყებოდა ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან და თანამედროვე სტამბოლამდე აღწევდა. სიმბოლოურად „ვია ეგნატია“ დასავლეთისა და აღმოსავლეთის მუდმივ ურთიერთობას და ურთიერთსწრაფვას აღნიშნავს. სწორედ ამ აზრით გამოიყენება „ვია ეგნატია“ იმ ყოველწლიური საერთაშორისო მულტიდისციპლინარული (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები) კონფერენციების დასახელებაში, რომლებიც იმართება ამავე სახელწოდების საერთაშორისო სამეცნიერო კსელის მიერ. მას წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო შვიდი წევრის შემადგენლობით. მათ შორის საქართველოდან არიან პროფესორები გიორგი აბაშაძე და მარიამ ჩხარტიშვილი.

რეგულარული კონფერენციები „ვია ეგნატია“ ფარავს ხმელთაშუა ზღვის, შავი ზღვის აუზების, ბალკანეთის, კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონებს. აქ წარმოდგენილი მოხსენებები შეეხება აღნიშნულ რეგიონებში არსებულ სახელმწიფოებს, ხალხებს, მათ კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას წარსულში და თანამედროვე ეტაპზე. ესაა მულტიდისციპლინარული, ქრონოლოგიურად შემოუსაზღვრავი პროგრამის მქონე სამეცნიერო ფორუმები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: ისტორიკოსები, კულტურული და სოციალური ანთროპოლოგები, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების სფეროს მკვლევარები. პრობლემათა ფართო სპექტრი და მათ საკვლევად გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნება კულტურული, პოლიტიკური, სოციალური მოვლენების ვრცელ კონტექსტში ნაკითხვის საშუალებას იძლევა, ახალისებს კომპარატივის ისტორიულ კვლევებს, ახლებს სხვადასხვა დარგის კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, რაც საერთაშორისო მრავალპროფილიანი კვლევითი და სასწავლო პროექტების მომზადებისათვის საუკეთესო საფუძველს ქმნის.

სამეცნიერო კსელი „ვია ეგნატია“ აერთიანებს მეცნიერებს თურქეთიდან, იტალიიდან, მაკედონიიდან, საბერძნეთიდან, საქართველოდან, რუმინეთიდან და ა.შ. პირველი კონფერენცია მაკედონიაში, წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის სკოპიის უნივერსიტეტის ეგიდით გაიმართა, მეორე ორგანიზებული იქნა თურქეთში სტამბოლის ბილგის უნივერსიტეტის მიერ, ხოლო მესამე გაიმართა შარშან, იტალიაში, რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტის მიერ. ამ ბოლო კონფერენციის თანაორგანიზატორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. სწორედ აქ გადაწყდა, რომ შემდგომი კონფერენცია საქართველოში გაიმართებოდა.

21-23 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის (დირექტორი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი) და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „აბრეშუქის გზის“ კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი პროფესორი გიული ალასანია) ეგიდით გაიმართა IV საერთაშორისო კონფერენცია „ვია ეგნატია“ - კულტურული, პოლიტიკური, რეგიონალური იდენტობანი; ხალხები, სახელმწიფოები წარსულში და დღეს“. კონფერენცია საერთაშორისო ფორუმების ტრადიციული ფორმით, ანუ მულტიდისციპლინარული ფორმატით წარმოადგინდა. აქ წარმოდგენილი მოხსენებები შეეხებოდა ისტორიის, ფილოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, კულტურული ანთროპოლოგიის, განათლების მეცნიერებების, პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების პრობლემატიკას.

კონფერენცია გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ. მონაწილეებს მიესალმნენ კონფერენციის მთავარი სპონსორის, თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს — თბილისის ოფისის კოორდინატორი, ბატონი სელიმ კუში, საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი ოთარ თოიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

წარმომადგენელი, ქალბატონი ნინო წერეთელი, შავი ზღვის უნივერსიტეტის პროფესორი ნათელა დოლონაძე. კონფერენციაზე „ვია ეგნატია“ ქსელის ისტორიასა და სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა რომის ლა საპიენზას უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ანტონელო ბიჯინიმ. მან სამახსოვრო საჩუქრები გადასცა კონფერენციის ორგანიზატორებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა გიული ალასანიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე“.

კონფერენციამ მუშაობა სექციებში გააგრძელა, რომლებიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიმართა. პარალელურ რეჟიმში ორ-ორი სექცია მუშაობდა. 21 ნოემბერს 2 სექციური სხდომა ჩატარდა, 22 ნოემბერს კი 4 სექციური სხდომა. სხდომებს თავმჯდომარეობდნენ ქართველი და უცხოე-

ლი ჩხარტიშვილი. სხდომაზე შეაჯამეს კონფერენციის შედეგები, შემდეგ მოეწყო რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის — „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას ივერია“ (ხელმძღვანელი თ. ბოლქვაძე, მენეჯერი მ. ჩხარტიშვილი) პრეზენტაცია.

კონფერენციის მონაწილეებმა მონაწილეს ჯვრის ეკლესია და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი. კონფერენციის უცხოელი მონაწილეები საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში საზეიმო მიღებაზე მიიწვიეს. დღის ბოლოს მოსწავლეთა სასახლის სარკევიან დარბაზში სპეციალურად მათთვის გაიმართა ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

კონფერენციაში მონაწილეობდა 80-მდე მეცნიერი, მათ შორის, სამ ათეულამდე უცხოელი მკვლევარი საზღვარგარეთის 14 ქვეყნის წამყვანი კვლევითი და სასწავლო დაწესებულებებიდან. კონფერენცია მნიშვნელოვანი



ლი მეცნიერები. მონაწილეები გაეცნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდის ექსპონატებს.

გახლდათ როგორც სამეცნიერო, ასევე, ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით.

IV საერთაშორისო კონფერენცია „ვია ეგნატია“ — კულტურული, პოლიტიკური, რეგიონალური იდენტობანი; ხალხები, სახელმწიფოები წარსულში და დღეს“ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოში მეცნიერების განვითარებისათვის.

კონფერენციაზე მონაწილეებმა შეაჯამეს კონფერენციის შედეგები, შემდეგ მოეწყო რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტის — „ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესი: ილიას ივერია“ (ხელმძღვანელი თ. ბოლქვაძე, მენეჯერი მ. ჩხარტიშვილი) პრეზენტაცია.

## ედუარდ კოდუას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია



როვნებასა და სამეცნიერო ღვაწლზე.

„ბატონი ედუარდ კოდუას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გადაწყვიტეთ, ეს კონფერენცია მისი ხსოვნისთვის მიგვეძღვნა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები სრულიად სხვადასხვა თემატიკისა და შინაარსისაა, რომელიც აქტიურად ეხმარება დღევანდელ პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებს.

ბატონი ედუარდი ჯეროვნად ავსებდა თავისი მასწავლებლების მოღვაწეობას და საკუთარი წვლილი შეჰქონდა მათი ნაშრომების პოპულარიზაციის საქმეში. ეს კონფერენცია პრაქტიკულად მოკრძალებული გაგრძელებაა იმ იმპულსისა, რასაც თავადვე ჩაუყარა საფუძველი წინაპრების ღვაწლის პატივისცემითა და დაფასვით. მან რამდენიმე წინაშე გამოსცა და მიუძღვნა სერგი დანელიას, კოტე ბაქრაძეს, ზოზო ნანეიშვილს, კონსტანტინე კაპანელს, კიტა მეგრელიძეს, ბიძინა რამიშვილსა და სხვებს.

ასეთი სამეცნიერო კონფერენციები ფაკულტეტზე უკვე ტრადიციულად დამკვიდრდა. აქ განხილული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები ცნობილი გახდება საზოგადოებისათვის“, — განაცხადა პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ.

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ედუარდ კოდუა დაიბადა 1929 წლის 14 ოქტომბერს ქალაქ სენაკში. თსუ-ის ფილოსოფიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ (1965 წელს) სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ისტორიის ფილოსოფიის დარგში, რომელიც საეტაპო თხზულებად იქცა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. აღსანიშნავია მისი

გამოკვლევები პ. სპენსერის და ორგანიციციული სოციოლოგიის სხვა წარმომადგენლების შესახებ.

1989 წელს იგი აქვეყნებს ქართულ სოციოლოგიაში საეტაპო მნიშვნელობის შრომას: „სოციოლოგიის შესავალი“, სადაც ჩვეული სიღრმით გააანალიზა თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები და საკვანძო მნიშვნელობის კატეგორიები, რითაც დიდი როლი ითამაშა თსუ-ში ჯერ როგორც სოციოლოგიის სპეციალისტის, შემდეგ კი ამ მიმართულების დამკვიდრების საქმეში.

ქართველი სტუდენტი სოციოლოგების მომზადებაში დიდი როლი შეასრულა მეცნიერის „სოციოლოგიის“ ორტომეულმა, სადაც პირველად ქართულ ენაზე სისტემური სახით განაწილებული და დალაგებულია თანამედროვე სოციალური მეცნიერების კატეგორიები და მიმართულებები, ასევე, საეტაპო მნიშვნელობის შრომა 2000 წელს გამოცემული „კულტურის სოციოლოგია“, რომელშიც კულტურისა და სოციუმის ურთიერთდამოკიდებულებისა და მიმართების პრობლემათა გაშუქება.

მან შექმნა დიდალი სამეცნიერო და სასწავლო-აკადემიური ღირებულების ლიტერატურა, რომელზეც ქართველი სოციოლოგების უმრავლესობა აღიზარდა და რომლებზეც დღესაც წარმატებით იყენებენ ქართველი სტუდენტები.

აღსანიშნავია პროფესორ ე. კოდუას წვლილი ქართველი მოაზროვნეების ფილოსოფიური და სოციოლოგიური მემკვიდრეობის ისტორიის ფილოსოფიის დარგში, რომელიც საეტაპო თხზულებად იქცა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. აღსანიშნავია მისი

ბი (2 ტ.), კ. კაპანელის (2 ტ.). თხზულებათა კრებულები, გიორგი ნანეიშვილის, კიტა მეგრელიძის, ალექსანდრე ჯანელიძის, კოტე გორდელაძის ნაშრომები. მან მონოგრაფიული კვლევა მიუძღვნა ქართული სოციოლოგიური აზრის გამოჩენილი თეორეტიკოსების ნააზრევის ანალიზს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებას, რომელსაც მიუძღვნა მონოგრაფიული კვლევა: „ივ. ჯავახიშვილის სოციოლოგიური და ისტორიის ფილოსოფიური ძიებანი“.

კონფერენციაზე მოხსენებლებმა: ნათელა დოლონაძე („ედუარდ კოდუა, როგორც პიროვნება და მეცნიერი“) და დიდი ჩიკვილაძე („ედუარდ კოდუა ქართველ პუბლიცისტთა წინაშე შემდგენილი და რედაქტორი“) საინტერესოდ ისაუბრეს დიდი მეცნიერის მოღვაწეობასა და მუშაობის პრინციპებზე, მის სამაგალითო პიროვნულ ღირსებებსა და მოქალაქეობრივ მრწამსზე.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყვნენ ის მოხსენებლები, რომელთა ნაშრომების პრობლემატიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მოხსენებლების: ზვიად აბაშიძის („ეთნიკური ინტეგრაციის საკითხი საქართველოში“), გიორგი გორგოშვილისა და ა. ხიბრტაძის („კომუნიკაციის გენდერული თავისებურებანი ქართულ ორგანიზაციულ კულტურაში“), მაია კალანდარიშვილის („სამომხმარებლო ბაზრის ფსიქოლოგიური სემანტიკის საკითხისათვის“), იაგო კაჭკაჭიშვილის („საზოგადოებრივი აზრის ცვლილებები საქართველო რუსეთის ომის შუქზე“), გიორგი კვიციანიძის („მიგრაცია

და ერი — სახელმწიფოს ციოეკონომიკური პრობლემები; ტრანსნაციონალიზაციისა და ტრანსლოკალურობის კონცეფციები“), გუგული მაღრაძის („დემოკრატიის განვითარების თავისებურება საქართველოში“), ნანა სუმბაძის („საქართველო აგვისტოს ომამდე და ომის შემდგომ. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები“), რევაზ ჯორბენაძის („ქართველ პოლიტიკურ ლიდერთა შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული ხმები“) სტატეიები შეეხება პოლიტიკურ, სოციალურ ცვლილებებს, ამ ცვლილებების ტემპებსა და ხასიათს, რაც სოციოლოგთა დაინტერესებას იწვევს სოციალური სივრცისა და სოციალური დროის პრობლემებით.

მნიშვნელოვანი კვლევების, ანალიზისა და სინთეზის საინტერესო შედეგებზე, სოციალურ ასპექტებსა და თემებზე ისაუბრეს: ნოდარ ბელქანიამ („ნეოსოკრატული საუბარი, როგორც ჯგუფური დისკუსიის მეთოდი“), ზურაბ დავითაშვილმა („ქართული ნაციონალიზმი საბჭოთა პერიოდში“), მარინე ლომიძემ („კრიზისული კომუნიკაციის როლი PR საქმიანობაში“), იოსებ სალუქვაძემ („საქალაქო სივრცის ტრანსფორმაციის გეგმარებითი და სოციალური ასპექტები“), შალვა აბიანიძემ („პოლიტიკური რელიგია და მითები რუსულ პოლიტიკაში“), და სხვ.

სამეცნიერო კონფერენციამ ნაყოფიერად და საინტერესოდ იმუშავა. დაისვა მთელი რიგი საკითხები და პრობლემები, რომელზეც სოციოლოგებმა და ჰუმანიტარებმა თავისი კომპეტენტური აზრი და შეხედულებები გამოთქვეს.

თამარ მარუაშვილი



# ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი — „თბილისის ბალკონი“

25 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი „თბილისის ბალკონი“ გაიხსნა.

ლონისძიების ორგანიზატორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტია. ფორუმზე მონაწილე იყვნენ გერმანიის მომხმარებელთა კავშირების გაერთიანების ყოფილი პრეზიდენტი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი შაიკო შტეფენსი, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანადირექტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორი, პროფესორი ვოლფგანგ ვენგი და იაპონიის ცუკუბას უნივერსიტეტის პროფესორი ნეანტრო სააკედრა-რივანო.

## თამარ მარუაშვილი

ფორუმი გახსნა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ელენე ხარაბაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა უცხოელ მომხმარებლებს ამ ფორუმის ორგანიზებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრები ტრადიციულ ხასიათს შეიძენს.

თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ მისასალმებელი სიტყვით მიმართა მომხმარებლებს და ხაზი გაუსვა ფორუმზე წარმოდგენილი თემების მნიშვნელობას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ აქტიურ საკითხს წარმოადგენს.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანადირექტორმა, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორმა, პროფესორმა ვოლფგანგ ვენგმა წაიკითხა მოხსენება — „თბილისის ბალკონი“, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმი თემებისათვის: მომხმარებელთა დაცვა და მომხმარებელთა განათლება“. მან ფორუმის მისიასა და თემების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და იმედი გამოთქვა, რომ აქ დასმული პრობლემები საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი გახდება.

მსოფლიოში აქტიური პრობლემა უხარისხო, ზოგჯერ ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საშიში პროდუქტების მომხმარებლის დაცვა. არასაიმედო და ფალსიფიცირებული პროდუქტის მზარდი რაოდენობა უარყოფითად მოქმედებს როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ასევე, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე სპეციალური დოკუმენტი შეიმუშავა. ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ჯერ კიდევ 1985 წლის 9 აპრილს მიიღო 39/248 რეზოლუცია „მომხმარებელთა ინტერესთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები“, სადაც მომხმარებელთა დაცვის ძირითადი პრინციპები აისახა და საფუძველი ჩაეყარა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ცივილიზებული პოლიტიკის შემუშავებას.

მომხმარებლების უფლებების დაცვა განსაკუთრებით მწვავედ დგას ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში, სადაც ხელისუფლებას სხვადასხვა მიზეზთა გამო, არ ძალუძს ან არ სურს ქმედითი ნაბიჯები გადადგას პრობლემების მოსაგვარებლად. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც. საქართველოში

1996 წლის 22 აპრილს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას: „ევროკავშირი და საქართველო — შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.“ ხელშეკრულების 66-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება, მომხმარებელთა დაცვის სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ და დღემდე აგრძელებს ამ კუთხით მუშაობას.

„თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი აქტიური პრობლემაა მომხმარებელთა დაცვა. მით უმეტეს აქტიულობას იძენს იგი საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე, ტრადიციული სამეურნეო კავშირების რღვევისა და ახალი ურთიერთობების ფორმირების პერიოდში. ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობა, თავისთავად, არ არის დაცული კონკურენციის შემზღუდავი და მომხმარებელთა უფლებების შემლახავი ფაქტორებისგან. ამასთან, ცნობილია, რომ მომხმარებ-

ფორმირების დამოუკიდებელი სისტემების არარსებობა და სხვა. მომხმარებელთა უფლებების დაცვა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოში სამომხმარებლო ბაზრის ზედამხედველობის სისტემის გამართულ მუშაობასთან.

მომხმარებელი სახელმწიფოს თანადგომის გარეშე დაუცველია. ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვას შესაბამისი სახელმწიფო და მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ახორციელებს. ერთგვაროვანი მიდგომა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით არ არსებობს. საქართველოსთვის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობის სრულყოფა და ევროკანონმდებლობასთან მისი დაახლოება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს“, — განაცხადა ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა შაიკო შტეფენსმა.

ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორმა, თსუ-ის ეკონომიკის დოქტორმა, პროფესორმა რევაზ გველესიანმა მოხსენებაში — „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ეკონომიკურ-პოლიტიკური ნინამდგრები“ საინტერესოდ ისაუბრა საქართველოში მომხმარებელთა დაცვის საკანონმდებლო საფუძვლებისა და შე-

ბის შემდგომ 1996 წლის მარტში მიიღეს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში. ნათელია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროს ესაჭიროება ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და მის განსახორციელებლად ქმედითი მექანიზმების დანერგვა. ამდენად, მიზანშეწონილია (აუცილებელია) გადაიხედოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა; ამასთან, ევროკავშირის და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, განისაზღვროს ამ მიმართულებით კანონის და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციები.

საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ კობახიძე ფორუმის მონაწილეებს, საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობა გააცნო: - „სამწუხაროდ, მომხმარებელი პრაქტიკულად დაუცველია და, ძირითადად, მხოლოდ საკუთარი ძალებით „უმკლავდება“ ან „ძიულებით“ ეგუება არსებულ სიტუაციას.

საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციას მიაჩნია, რომ მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის სფეროში არსებული სავალალო, ხოლო ცალკეული მართულელებით უკვე საგანგაშო მდგომარეობა და მისი გამოსწორების მიზნით აუცილებელია დაიწყოს სათანადო აქტივობები სახელმწიფო ორგანოების, ბიზნესის, მომხმარებელთა უფლებების დამცველი არასამთავრობო სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

ამ სფეროში არსებული მდგომარეობა კი იწვევს: მომხმარებელთა უნდობლობას სამომხმარებლო ბაზარზე არსებული პროდუქტისა და მომსახურების, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრელი, მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანოების და კეთილსინდისიერი მენარმეების მიმართ; არაჯანსაღ კონკურენციას სამომხმარებლო ბაზარზე; ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის იმიჯის დაკნინებას; ქვეყნის ტურისტულ/საკურორტო პოტენციალის ზრდის ტემპზე არასასურველ გავლენას და სხვა უარყოფით ზეგავლენას (მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე, საარსებო გარემოზე, ზოგადად ეკონომიკის მდგრადი განვითარების ტემპზე და ა.შ.)“, — განაცხადა ბატონმა რევაზ კობახიძემ.

ფორუმის დასასრულს საინტერესო დისკუსია გაიმართა პროფესორ შტეფენსთან და სხვა მომხმარებელთა, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები: ეთერ სარჯველაძე, დავით ნარბანია, პაატა კოლუაშვილი და თსუ-ის დოქტორანტი უჩა გოგივილი.

ლონისძიების ბოლოს მოწვეულ სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.



ლის საუკეთესო დამცველი ჯანსაღი კონკურენცია. თუმცა, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, საბაზრო სტრუქტურა არ არის დაცული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და მონოპოლიური ქმედებისგან. განსაკუთრებული პრობლემაა მომხმარებლის გაუთვითცნობიერება სამომხმარებლო საკითხებში, საკონტრაქტო სისტემების, საგარანტიო პირობების და მომხმარებელთა ინ-

საბამისი ინსტიტუციური ბაზის არარსებობის თაობაზე, რადგან ქვეყანაში გაბატონებული იყო წარმოების დიქტატი და მომხმარებლის უფლებების უფლებდევყოფა. საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვას საფუძველი დაუდო 1995 წლის 29 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ, რომლის 30-ე მუხლის თანახმად მომხმარებელთა უფლებები კანონით დაცულია. კონსტიტუციის მიღე-

## გავშვითა უფლებათა დაცვის კონვენციის მე-20 წლისთავის აღსანიშნავად თსუ-ში საჯარო ლექცია გაიმართა

23 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიუხედავად ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია. უნივერსიტეტის პრეზიდენტი, პროფესორი ვოლფგანგ შერმანი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ფლორიან შერმანი და კანცლერი, პროფესორი ბერგერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პირველად ეწვივნენ. მხარეებმა თსუ-სა და მიუხედავად ტექნიკური უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების თაობაზე იმსჯელეს და სამომავლო გეგმები დასახეს.

## ნატო ოპოლაქი

თსუ-ში არსებულ ევროპული კვლევების ინსტიტუტში, გავშვითა უფლებათა დაცვის კონვენციის მე-20 წლისთავის აღსანიშნავად, ევროკომისიისა და UNICEF-ის ერთობლივი ორგანიზებით საჯარო ლექცია გაიმართა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრმა, ექსპერტმა ბესო ბოხაშვილმა სტუდენტებს გავშვითა უფლებების დაცვისა და 18 წლამდე ასაკის მოზარდების უფლებების დარღვევის ფაქტებზე აღძრულ საქმეებზე გამართული სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებს შორის დისკუსია გაიმართა. ახალგაზრდები მსჯელობდნენ ბავშვის

არაკანონიერი გაშვილების შედეგად გამართულ სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც ბავშვის ბიოლოგიური დედისთვის მიკუთვნებისა ან აღმზრდელი მშობლებისთვის მისი დატოვების საკითხს განიხილავდა. საჯარო ლექციაზე გააანალიზეს ისეთი თემებიც, როგორცაა არატრადიციული ოჯახების მიერ ბავშვის შვილად აყვანა და აღზრდა, ბავშვთა სიცოცხლის დაცვის უფლება, ზრდის გამოხატვის უფლება, წამება, რელიგიის თავისუფლება, კანონიერ და არაკანონიერ ბავშვთა უფლებები, შვილების მიმართ მშობლების უფლებების დარღვევის ფაქტები და სხვა.

საქართველოში ბავშვთა უფლებები განსაკუთრებით 90-იან წლებში ირღვეოდა, როცა

გავშვილება ხშირად მშობლების დაუკითხავად ხდებოდა. როგორც ბესო ბოხაშვილმა აღნიშნა, ასეთი ფაქტები არაერთ სასამართლო პროცესზე განიხილეს — განაჩენი, ძირითადად, ბიოლოგიური დედის სასარგებლოდ გამოჰქონდათ, თუმცა ბავშვების უფლება ამ შემთხვევაშიც ირღვეოდა, რადგან ისინი ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებდნენ.

გარკვეული ბავშვთა უფლებათა დაცვის კონვენცია 1989 წელს მიიღო. იგი მსოფლიოში (გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სომალისა) ყველაზე ფართო რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტია. კონვენცია ბავშვებს იცავს ძალადობისგან, იცავს მათ უფლებებს ოჯახსა და საზოგადოებაში. კონვენცია ბავშვებს განიხილავს კანონის სუბიექტად და არა ობიექტად, რაც გულისხმობს, რომ ისინი, გარკვეული უფლებებით, არიან პიროვნებები, რომლებსაც პატივი უნდა სცენ საზოგადოებამ, მშობლებმა და გაითვალისწინონ მათი სურვილები ცხოვრებისეული გადაწყვეტილების მიღების დროს.

„მართალია, მშობელი პასუხისმგებელია შვილის მოვალეზე, მაგრამ დამოუკიდებლად

არ უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას შვილების პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. მშობლების ნება უზუნაესი განსაკუთრებით აზიურ ქვეყნებში იყო — ბავშვს არ შეეძლო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიეღო პროფესიის არჩევის დროსაც კი“, — აღნიშნა ლექციაზე ბესო ბოხაშვილმა, რომელიც აუდიტორიის აქტიურობით და დისკუსიაში მათი მონაწილეობით კმაყოფილი დარჩა.

„სტუდენტებს აშკარად ეტყობათ, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ცოდნის კარგი ბაზისი აქვთ. ისინი მსჯელობენ კრიტიკულად, გამოაქვთ მნიშვნელოვანი დასკვნები“, — განაცხადა მან.

ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია ამ დროისთვის 193 ქვეყანაშია რატიფიცირებული. აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა, რის შემდეგაც ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით არაერთი ჯანდაცვის პროგრამა განხორციელდა. დაიწყო არაკანონიერი გზით გაშვილებული ბავშვების ბიოლოგიური მშობლებისთვის დაბრუნების პროცესიც.




# პროფესორ ამირან ბიბილაშვილი მეცნიერებათა ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედალი გადაეცა

10 ნოემბერს, მეცნიერების დღეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს ამირან ბიბილაშვილს გადაეცა მეცნიერებათა ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედალი „მეცნიერებაში მიღწეული წარმატებებისათვის“ და დაჯილდოვდა ფულადი პრემიით. ეს ჯილდო მას მიენიჭა 2008-2009 წლებში ნანოელექტრონიკაში გამოკვლევებით დაწინაურების და ნიგნისთვის „50 ფიზიკოსი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო მხედველობა“.

ნიგნში მოკლედ მოცემული ფიზიკის განვითარების 25 საუკუნოვანი ისტორია — არისტოტელედან თომ ბერნერს ლიმდე (ინტერნეტის შემქმნელი) და აღწერილია იმ 50 გამოჩენილი ფიზიკოსის ცხოვრება და შემოქმედება, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს (შეცვალეს შემეცნება) ფიზიკაში და, საერთოდ, მსოფლიო ცივილიზაციაში. მასში ქრონოლოგიურად გამოცემული მეცნიერთა მოკლე ბიოგრაფიები და ფიზიკაში მუშაობის სფეროები. ავტორი ნიგნის წინასიტყ-

ვაობაში აღნიშნავს: „ისინი იყვნენ ძალიან განსხვავებული ადამიანები: ბედნიერები და უბედურები, მდიდრები და ღარიბები, მარტოხელები და მრავალშვილიანები, მხიარულები და გულწაბრობილები. ზოგმა მათგანმა იც-



ოცხლა ღრმა მოხუცებულობამდე, ზოგი ძალიან ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. ისინი ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე და ცხოვრობდნენ სხვადასხვა დროს. თითქოს მათ არაფერი ჰქონოდათ საერთო, მაგრამ პირიქით — ისინი იყვნენ უდიდესი ტალანტები,

გამორჩეული ადამიანები, კაცობრიობის გიგანტური ცოდნის მშენებლები და, რაც მთავარია, საერთო ჰქონდათ — ფიზიკა“.

ფიზიკის პოპულარიზაციის მიზნით, ნიგნის 200 ეგზეგეტიკური საჩუქრად გადაეცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა და თბილისის სხვადასხვა სკოლების ბიბლიოთეკებს.

პროფესორი ამირან ბიბილაშვილი ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არსებულ „მიკრო და ნანოელექტრონიკის“ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. აღსანიშნავია, რომ ამ განხრით მომუშავე მკვლევარებს საინტერესო სტატიები აქვთ გამოქვეყნებული მაღალ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ასევე, მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, მიღებული აქვთ საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის, უკრაინის სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის, ნატოს და სესფ-ის გრანტები, ასევე, ათობით ქართული თუ უცხოური პატენტები.

ამირან ბიბილაშვილმა 2008-2009 წლებში, უცხოურ მაღალ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში 5 სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნა, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში და მიღებული აქვს 2 აშშ-ის პატენტი. იგი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყვე-

ლო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ლექციებს უკითხავს მიკრო და ნანოელექტრონიკაში.

სულ მალე, ამირან ბიბილაშვილის ავტორობით გამოიცემა ახალი სახელმძღვანელო — „ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკა“. მასში განხილულია ნახევარგამტართა ფიზიკის ის ძირითადი საკითხები, რომელთა ცოდნა დაეხმარება მკითხველს სრულყოფილად შეისწავლოს მიკროელექტრონიკის ფიზიკური საფუძვლები; მოცემულია ნახევარგამტარულ ხელსაწყოთა და ინტეგრირებული სქემების დამზადების ტექნოლოგიის ძირითადი პროცესების ფიზიკური არსი და თანმიმდევრობა; შესწავლილია სხვადასხვა ტიპის ტრანზისტორების, დიოდების, კონდენსატორების მუშაობის ფიზიკური პრინციპები, მათი გამოყენება სხვადასხვა სახის ინტეგრირებულ სქემებში ჩართვისას; გაანალიზებულია ლოგიკური სქემების მუშაობის პრინციპები, მათში სხვადასხვა ელემენტების გამოყენების და ჩართვის მიხედვით; მოცემულია მიკროელექტრონიკული ხელსაწყოებისა და ინტეგრირებული სქემების განვითარების პერსპექტივები. ნიგნის განკუთვნილია ფიზიკის მიმართულების სტუდენტებისა და დოქტორანტებისთვის, ასევე, ამ საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

## ბელორუსიის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის დელეგაცია თსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა

18 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის წევრების საქართველოში ვიზიტის ძირითადი მიზანი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკების ისტორიისა და რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების ლეგიტიმურობის საკითხის გამოკვლევა გახლდათ.

### ნატო ოპოზიცი

ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის დელეგაციის საგარეო საქმეთა ურთიერთობათა და დსთ-ს საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე სერგეი მასკევიჩი ხელმძღვანელობდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ისინი ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების დაწყების მიზეზების გარკვევის მიზნით შეხვდნენ. ქართული აკადემიური წრისგან მათ მოხსენებები მოისმინეს, რომლებიც საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შესახებ ობიექტურ ინფორმაციას მოიცავდა. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პროცესთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის როლზე ისაუბრეს.

არაერთი ისტორიული ფაქტი, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ადასტურებს, რომ საქართველოს შიდა კონფლიქტებში მესამე მხარის, რუსეთის ჩარევა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ესკალაციას იწვევს და მოლაპარაკების პროცესების დაწყებას აფერხებს. თსუ-ის პროფესორმა ლევან ალექსიძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ქართველებს არც აფხაზეთთან და არც ოსეთთან ეთნიკური მტრობა არ აკავშირებთ. „ჩვენს ქვეყანაში ვერ ნახავთ ვერც აფხაზებს და ოსებს და ვერც, ზოგადად, რუსეთის მიმართ აგრესიულად განწყობილ ვერც ერთ ქართველს. საქართველოში თქვენ ნახავთ კრემლის პოლიტიკის მონიხადმდეგე მოქალაქეებს“, — აღნიშნა მან.

ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის დელეგაციის წევრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საქართველოს შიდა კონფლიქტების ფსევდობით, მათი წარმოშობის მიზეზებით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიით, რასთან დაკავშირებითაც აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ ისაუბრა.

„მინდა აღვნიშნო, რომ მოცემულ შემთხვევაში ისტორიული ფესვები ძალიან ბევრს ნიშნავს. აფხაზეთი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციაა, ისევე, როგორც კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, გურია, რაჭა, სვანეთი. აფხაზი ამ პროვინციის მცხოვრებია. აფხაზეთი ცალკე

სახელმწიფოდ არასოდეს არსებობდა. ასევე, მინდა განვაცხადო, რომ აფხაზი ქართველია. მეთექვსმეტე საუკუნეებიდან დაიწყო სამხრეთ კავკასიის ცალკეულ ნაწილებში ცალკეული ეთნიკური ჯგუფების გადმოსახლება, მათ შორის მათი, ვინც საკუთარ თავს აფხაზებს უწოდებდა, თავის ენას — აფხაზურს ენას. არსებობს ევროპული რუკები და აი, მე-16 საუკუნის ერთ-ერთ რუკაზე აზოვის ზღვის ჩრდილოეთით წერია — აფსუა. შემდეგ რუსული დოკუმენტები ადასტურებენ ის გზა, რომლითაც ისინი მოვიდნენ, დასახლდნენ და შექმნეს კომპაქტური დასახლება საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხეში, აფხაზეთში. ამ გადმოსახლების შემდეგ მათ აფხაზები ეწოდათ. მაგრამ გარნამუნებთ, რომ ისინი საკუთარ თავს აფხაზებს უწოდებდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ლაპარაკობდნენ ან წერდნენ რუსულად. საკუთარ ენაზე საუბრისას კი აფხაზებად მოიხსენიებდნენ. რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთს, XIX საუკუნემდე თვითონ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ კი არ არსებობდა. ეს რუსეთის პოლიტიკის ნაწილი იყო და ასე გრძელდება დღესაც — ყველანაირ ხერხს იყენებს, რომ სეპარატისტული რეგიონები უფრო გააძლიეროს. ახლა, როდესაც ყველა ეს საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე წყდება, ძალიან ფრთხილად უნდა მოვიქცეთ და დაკვირვებით მოვეკიდოთ ისტორიას“, — აღნიშნა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ის პოლიტიკა, რომელიც რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა საქართველოს წინააღმდეგ ატარებს, არ არის მხოლოდ ამ ორი ქვეყნის პრობლემა. ქართულ-რუსული ურთიერთობები საერთაშორისო სახისთვის მატარებელია. ჩრდილოეთი მეზობლის იმპერიული მისწრაფებები არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყველა მის მეზობელ სახელმწიფოს უქმნის საფრთხეს.

„ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ როგორც აფხაზურ, ასევე, ოსურ მხარესთან ერთად. უბრალო ხალხს შორის კონფლიქტი არასოდეს ყოფილა. ერთი წლის წინ ჩვენ აფხაზ ექსპერტებთან ერთად ვახორციელებდით პროექტს გალისა და ზუგდიდის რაიონში ეკონომიკური თანამშრომლობის დაწყების შესახებ, ვმსჯელობდით ერთობლივი ძალისხმევით უსაფრთხოების ზომების მიღებაზე, თუმცა აგვისტოში რუსული ინტერვენციის შედეგად მოლაპარაკება ჩაიშალა. პრობლემა გლობალურია და არც ეხება მხოლოდ ქართულ და რუსულ მხარეს. 2008 წლის ნოემბერში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ თუ საქართველო გააგრძელებს სწრაფად ნატო-სკენ, მიიღებს უფრო

სერიოზულ კონფლიქტს. პრობლემა იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო წლების განმავლობაში ცდილობდა ურთიერთობების დასაგეგმავს რუსეთთან, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოვიდა. 1999 წელს რუსეთში პრეზიდენტი შეიცვალა და, შესაბამისად, რადიკალურად შეიცვალა რუსული პოლიტიკაც, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაშიც. 2002 წელს სერგეი პუტინმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაამკაცრა. ეს არ შეეხებია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ამავე წელს საქართველომ გადაწყვიტა ნატო-ში გაწევრიანება. მისი ძირითადი მიზანი გახდა ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. შესაბამისად, რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის მთავარი მიზეზი ავტონომიური რესპუბლიკები კი არა, უფრო მეტად დემოკრატიული ღირებულებებია. მედვედევის კონცეფციით ცენტრი უნდა იყოს კრემლი და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები კი მისი ვასალთა, ამიტომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის, ეს ძალიან სერიოზული საკითხია“, — განაცხადა პოლიტოლოგმა ალექსანდრე კუხინიძემ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის დელეგაციის შეხვედრა ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. დელეგაციის ხელმძღვანელმა სერგეი მასკევიჩმა ქართულ აკადემიურ წრესთან საუბარი ნაყოფიერად შეაფასა და აღნიშნა, რომ თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრის შემდეგ საქართველოში არსებული კონფლიქტური რეგიონების შესახებ საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მიიღო.

„პროფესორები და ექსპერტები სიღრმისეულად განიხილეს მოვლენებს შორის კავშირებს, რაც ჩვენთვის ძალიან ღირებულა. ისინი ხედავენ პრობლემის მოგვარების მექანიზმებს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები — ეს განსაკუთრებული ზონაა, მსოფლიოს განსაკუთრებული ნაწილია და აქ შექმნილი ვითარება მოითხოვს ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ვითარებას განმუხტავს. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ყველა იმ საკითხში, რომელიც ჩვენს საერთო ინტერესებში შედის“, — განაცხადა ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის დელეგაციის ხელმძღვანელმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუაშვილმა დასასრულს ბელორუსიის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი თბილისში სტუმრად მიიწვია. საგანმანათლებლო, სამეცნიერო სფეროებში გამოცდილების გაცვლა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, თსუ-ის რექ-

ტორის თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს. გიორგი ხუბუაშვილმა ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის საგარეო საქმეთა ურთიერთობისა და დსთ-ს საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს სერგეი მასკევიჩს აფხაზ და ოს კოლეგებთან შუამდგომლობის განცხადება სთხოვა.

„თუ თქვენ გეგნებთ შესაძლებლობა, რომ შეხვდეთ სოხუმის ან ცხინვალის უნივერსიტეტების რექტორებს, გადავცით, რომ მზად ვართ მათთან მოლაპარაკებისთვის. შესაძლებელია, რომ ჩვენს შორის აღმართული ბარიერები დაიძლიოს და ერთად მოვინახოთ ურთიერთთანამშრომლობის გზები. ერთი მხრივ გვესმის, რომ არსებობს რაღაც შიში, თუმცა დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ მოვახერხებთ საერთო ენის გამოხატვას“, — თქვა თსუ-ის რექტორმა.

ბელორუსიის რესპუბლიკის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის დელეგაცია 6 წევრისგან შედგებოდა — ბელორუსიის ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის საგარეო ურთიერთობათა და დსთ-ს საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე რაისა ტიხანსკაია, ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის საგარეო ურთიერთობათა და დსთ-ს საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იუსკევიჩი, ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის ადამიანის უფლებათა დაცვის, ეროვნული ურთიერთობებისა და მასმედიის საშუალებების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე იუსკევიჩი, ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის საკანონმდებლო და სახელმწიფო მშენებლობის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მარგარიტა ჟოროვა და ეროვნული კრების ნარმომადგენლობითი პალატის საკანონმდებლო და სახელმწიფო მშენებლობის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი მიხეილ კუშინი.

ბელორუსი დელეგატები თბილისში ორ დღეს იმყოფებოდნენ, ვიზიტის ფარგლებში ისინი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძესაც შეხვდნენ. სტუმრებს არ დაუმალათ, რომ მათი თბილისში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი იმ სახის ინფორმაციის შეგროვებაა, რომელიც ბელორუსიის მთავრობას საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ ბელორუსი დელეგატების საქართველოში ვიზიტის პარალელურად ბელორუსიის რესპუბლიკის ორი დელეგაცია სოხუმსა და ცხინვალში იმყოფებოდა.



# დასაქმებული სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება

12 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისა და უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, ორგანიზაციის ხელმძღვანელები: — იურიდიული ჯგუფის „ერისთავი და კომპანიას“ დამფუძნებელი დავით ერისთავი, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის კონტროლის სამმართველოს უფროსი პაატა მხიცი, „სტანდარტ ბანკის“ წარმომადგენელი მარინა კუჭუხიძე, საქართველოს საკარიერო სერვისის ხელმძღვანელი ირმა წერეთელი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

## შურთხია ბაროშვილი

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საკანონმდებლო სტრუქტურებსა და კერძო კომპანიებში დასაქმებული სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ამის ერთ-ერთი ფაქტორი კი ის არის, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ტრადიციულად, მაღალი თეორიული ცოდნით გამოირჩევიან.

როგორც დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას გიორგი ხუბუამ აღნიშნა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის სტუდენტთა დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამიტომ ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვცდილობთ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შევთავაზოთ. პირველი ქართული უნი-

ვერსიტეტი სტუდენტებს მაღალი ხარისხის განათლებით უზრუნველყოფს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებსა და სამთავრობო სტრუქტურებში ასეულობით სტუდენტმა გაიარა სტაჟირება, რამდენიმე ათეული უკვე დასაქმებულია“.

რექტორის ინფორმაციით, საადვოკატო ბიურო „ერისთავი და კომპანიას“ სახელმწიფო უნივერსიტეტთან მემორანდუმის საფუძველზე ერთი წელიწადით თანამშრომლობს. ბიუროში დასაქმების პერსპექტივით 15 სტაჟიორი მიიღეს, აქედან 3 სტუდენტი საადვოკატო ბიუროში უკვე დასაქმდა. გარდა ამისა, 2009 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 40-მა სტუდენტმა სტაჟირება სახალხო ბანკის სხვადასხვა ფილიალში გაიარა, აღინიშნული ფაკულტეტის 7 სტუდენტი „სტანდარტ ბანკში“ დასაქმდა. მიმდინარე წლის მონაცე-

მებით 200 სტუდენტი და მაგისტრანტი სწავლის პარალელურად მუშაობს.

„კერძო კომპანიების გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საკანონმდებლო ორგანოსა და სამთავრობო სტრუქტურებში დასაქმდებიან. საქართველოს პარლამენტში დასაქმების პერსპექტივით ყოველწლიურად სტაჟირებას 15 სტუდენტი გადის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სტაჟირებაზე ამ დროისათვის 20 სტუდენტი იმყოფება, ხოლო კონკურსის შედეგად 10 სტუდენტი უკვე დასაქმდა.“

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მთავარი საზრუნავი სასწავლო პროგრამების დახვეწა და სრულყოფაა. სასამართლო იმის გაგება, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები დღევანდელ კონკურენტუნარიან გარემოში ტოლს არავის უდებენ. თუ წინა თაობებისთვის დიპლომი იყო მთავარი განმსაზღვრელი დამსაქმებლისთვის, ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. სტუდენტების დასაქმებაზე საქართველოს საკარიერო სერვისიც ზრუნავს, რომელიც მემორანდუმის საფუძველზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედებს. საკარიერო სერვისი საზღვარგარეთ განათლებამიღებული მოქალაქეების დასაქმებას უზრუნველყოფს. ამ ორგანიზაციის მუშაობის შედეგად ამ დროისათვის დასაქმებულია 105 კურსდამთავრებული, რომელთაგან 55 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია“ — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

როგორც შეხვედრაზე იურიდიული ჯგუფის „ერისთავი და კომპანიას“ დამფუძნებელი დავით ერისთავმა აღნიშნა, უნივერსიტეტის სტუდენტებმა სტაჟირების დროს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა გამოამჟღავნეს, ამიტომ რამდენიმე სტუდენტი, რომელიც ზაფხულის პერიოდში გადიოდა სტაჟირებას, უკვე დასაქმდა აღნიშნულ კომპანიაში.

„მაყოფილი ვარ შედეგებით და მჯერა, რომ მეორე ეტაპიც ასეთივე წარმატებული იქნება, რისთვისაც, პირველ რიგში, მაღლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და პროფესორ-მასწავლებლებს“ — აღნიშნა დავით ერისთავმა.

შეხვედრაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის კონტროლის სამმართველოს უფროსმა პაატა მხიციმ, რომლის ინფორმაციით, ბოლო წლებში სამინისტროში მიღებული ახალგაზრდა კადრების უმეტესობა სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

„კადრების შერჩევა კონკურსის შედეგად ხდება, უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ყოველთვის გამოირჩევიან ღრმა თეორიული ცოდნით და ამისთვის მაღლობა გვინდა გადავუხადოთ უნივერსიტეტს“, — განაცხადა პაატა მხიცი.

„სტანდარტ ბანკის“ წარმომადგენლის მარინა კუჭუხიძის თქმით, ახალგაზრდა სტაჟიორები ხშირად მკვიდრდებიან ბანკში, მათ შორის, უნივერსიტეტების სტუდენტები გამოირჩევიან არიან.

როგორც საქართველოს საკარიერო სერვისის ხელმძღვანელმა ირმა წერეთელმა აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან საუკეთესო პარტნიორია, ამ ხნის განმავლობაში საკარიერო სერვისმა ასზე მეტი ადამიანი დაასაქმა. სასამართლო, რომ უნივერსიტეტის რექტორისგან ყოველთვის ვგრძობთ ხელშეწყობასა და მზადყოფნას“, — აღნიშნა ირმა წერეთელი.

შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომლებმაც სტაჟირება სხვადასხვა ორგანიზაციაში გაიარეს და ამჟამად წარმატებით მუშაობენ თავიანთი პროფილით, მათ შორის, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სტაჟიორი თაია ცისკარაული და უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ზურაბ ზუზურაძე ადვოკატებად მუშაობენ „ერისთავი და კომპანიაში“. მათ მაღლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და დამსაქმებლებს ცოდნის დაფასებისთვის.

შეხვედრის დასასრულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სასამართლო უნივერსიტეტი ამ მიმართულებით უფრო გააქტიურებს მუშაობას, რაც, პირველ რიგში, სასწავლო პროგრამების დახვეწით გამოიხატება.



## „ახალგაზრდული ცენტრი — საქართველო“-ს ვებ გვერდის პრეზენტაცია გაიმართა

25 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრი — საქართველო“-ს ვებ გვერდის პრეზენტაცია გაიმართა, რომელზეც ორგანიზაციის წევრებმა სტუდენტებს სამომავლო გეგმები გააცნეს.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, თსუ-ის „ახალგაზრდული ცენტრი“ 2008 წლის 25 დეკემბერს დაფუძნდა. ორგანიზაციის წევრთა ინიციატივით, ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტში მრავალი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა. გამგეობის წევრთა ინფორმაციით, 2009 წლის 11 ნოემბერს არარეგისტრირებული კავშირი „ახალგაზრდული ცენტრი“ დარეგისტრირდა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციად სახელწოდებით „ახალგაზრდული ცენტრი — საქართველო“, რომელსაც წეს-

დების შესაბამისად, უფლება აქვს თავის ბაზაზე დააარსოს საუნივერსიტეტო ფილიალები. ერთ-ერთი პირველი ფილიალია თსუ-ის „ახალგაზრდული ცენტრი“. უახლოეს პერიოდში იგეგმება საქართველოს მასშტაბით სხვა საუნივერსიტეტო ფილიალების შექმნაც.

როგორც ღონისძიებაზე „ახალგაზრდული ცენტრი საქართველო“-ს თავმჯდომარემ ბიძინა ჩანქელიანმა აღნიშნა, ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიღებას დაინტერესებული პირები ვებ გვერდის საშუალებით შეძლებენ. მისი ინფორმაციით, აქ განთავსდება ყველა ის ახალი ინიციატივა, რომელსაც ცენტრი განახორციელებს.

„ჩვენი საქმიანობის ახალ ფაზაში გადასვლასთან ერთად გამოიკვეთა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, ესენია: კონფლიქტების თემა და ახალგაზრდობის როლი კონფლიქტების მოგვარების კუთხით, ასევე, სტუდენტების სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია — ამ მხრივ ურთიერთობა გვაქვს არასამთავრობო პარტნიორ ორგანიზაციებთან, დაგეგმილია სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების ინტეგრაციის პროცესს. დაგეგმილი გვაქვს შეხვედრა სახალხო დამცველთან, რათა ღიად ვისაუბროთ კონკრეტულ სამართალდარღვევებზე. ასევე შევხვდებით პოლიტიკოსებს, კონფლიქტოლოგებს, ექსპერტებს, ხელოვნებისა თუ მედიის წარმომადგენლებს. ამასთან დაკავშირებით ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია თავისი შენიშვნა თუ მოსაზრება გამოთქვას და გაგვიზიაროს. ჩვენი საქმიანობის მიზანმიმართულ უფროს სინტერესო გახდება“, — განაცხადა ბიძინა ჩანქელიანმა.



## სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდის

### შურთხია ბაროშვილი

17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის ინიციატივით ახალი წიგნი — „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ.

წიგნი, რომლის ავტორი გერმანელი პროფესორი სანდრა ჰენშელია, გამოიცა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ფინანსური მხარდაჭერით. GTZ-ის პროექტის — „სამართლისა და სასამართლო სისტემა საქართველოში“ გუნდის ხელმძღვანელის ფრანცისკა ბიომის ინიციატივით, სახელმძღვანელო, უპირველეს ყოვლისა, ისარგებლებს სტუდენტები, რომლებმაც უკვე გავლილი აქვთ კერძო სამართლისა და სამოქალაქო კოდექსის საფუძველები. თუმცა, საინტერესო პრაქტიკული მაგალითებით წიგნი მაღალი კურსების სტუდენტებსაც აძლევს მიღებული ცოდნის გამოყენებისა და გადაამოწმების შესაძლებლობას.

პრეზენტაციაზე წიგნის ავტორმა სანდრა ჰენშელმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს თავისი მოღვაწეობის მოკლე ბიოგრაფიაც გააცნო. მისი ინფორმაციით, იენასა და ლოიფენში იურიდიული განათლების მიღება და შესაბამისი პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლის შემდეგ 2004 წლიდან საქართველოში იურისტად მუშაობდა, სადაც ლექციებს კითხულობდა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ევროპის სამართალსა და გერმანიის სახელმწიფო სამართალში. 2006 წელს იგი პარალელურად მოღვაწეობდა საქართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტში რომაული სამართლის განხრით. 2006 წლიდან უნივერსიტეტში კითხულობდა გერმანიის სავაჭრო და კორპორატიული სამართლის კურსს, ასევე, შესავალს გერმანულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში და სტუდენტებს აზიარებდა პრაქტიკული კაზუსების ამოხსნის მეთოდებს. ყოველივე ეს მიმდინარეობდა რობერტ ბომის ფონდის

სალექტორო პროგრამის ფარგლებში. მან თავისი პედაგოგიური გამოცდილება ასახა სახელმძღვანელოში — „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდის“.

წიგნის ავტორმა მაღლობა გადაუხადა მთარგმნელს ეთერ ჩანანიძეს და ქართული რედაქციის რედაქტორს ლადო ჭანტურიას, რომელთა ძალისხმევით შედეგად მოხერხდა ასეთი მაღალი დონის სახელმძღვანელოს შექმნა.

წიგნის რედაქტორის ლადო ჭანტურიას აზრით, სახელმძღვანელო დიდ სასახურს გაუწევს ქართველ იურისტებს და მეტნაკლებად შეავსებს იმ ხარვეზებს, რომელიც ამ სფეროში განხორციელებული თვალსაჩინო ცვლილებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს.

„სანდრა ჰენშელის წიგნი მიზნად ისახავს სამოქალაქო სამართლის შემსწავლელი ქართველი სტუდენტების აღჭურვას იმ მეთოდებით, რომელიც აუცილებელია სამოქალაქო სამართლის სწორად შესწავლისა და სამოქალაქო კოდექსის კორექტულად გამოყენებისთვის. ამ თვალსაზრისით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართულ ენაზე შესრულებული პირველი დამზარებული სახელმძღვანელო სამოქალაქო კოდექსის შემსწავლელი დამწყები სტუდენტებისთვის. თუმცა ამ წიგნს დიპლომირებული და გამოცდილი იურისტებიც დიდი სიამოვნებით გამოიყენებენ“, — აღნიშნა ლადო ჭანტურია.

მისი აზრით, ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი ქართველი მკითხველისთვის გასაგები ენით სწავლასამოქალაქო კოდექსის გამოყენების მეთოდებს და იურისტის მუშაობის ძირითად ინსტრუმენტებს. წიგნი, მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, დახვეწილ ქართულ სამართლებრივ ენაზე შედგენილი, რის გამოც მკითხველისთვის იოლად გასაგებია. აქ დეტალურად არის აღწერილი კაზუსის იურიდიული დამუშავება, სამართლის ნორმების გამოყენება და სხვა საკითხები.

როგორც პრეზენტაციაზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელმა აღნიშნეს, ახალი სახელმძღვანელო სამაგიდო წიგნად შეიძლება იქცეს ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის.



# „კავკასია — საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე“

იტალიის ერთ-ერთ უღამაზეს ქალაქში, ფლორენციაში 3-8 ნოემბერს ქართული ხელოვნებისა და კულტურის დღეები სახელწოდებით „კავკასია — საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე“ გაიმართა, რომელიც ქალაქ თბილისის მერიის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე პირებმა, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებიც სიმპოზიუმზე საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკით წარსდგნენ.

## შურთსია ბაროშვილი

თსუ-ის პროფესორის ირინე მირიჯანაშვილის ინფორმაციით, სიმპოზიუმი საზეიმოდ გაიხსნა 3 ნოემბერს სინიორის მოედანზე მდებარე პალაცო ვეკიოში, რომელსაც ესწრებოდნენ ფლორენციის მერი მატეო რენცო, ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელი დავით ნინიძე, იტალიის ელჩი საქართველოში ვიტორიო სანდალი, საქართველოს ელჩი იტალიაში კონსტანტინე გაბაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი პეტრე მეტრეველი და სხვები. თავიანთ გამოსვლაში მათ სიმპოზიუმის მნიშვნელობაზე და იტალია-საქართველოს

ურთიერთობაზე ისაუბრეს. იმედი გამოთქვას, რომ ამ ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთ-კავშირი მომავალშიც გაგრძელდება და ასეთი სიმპოზიუმები ტრადიციად იქცევა. აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმს ესწრებოდა ღვანდომისილი, მცხოვანი მეცნიერი ნინო ყაუხჩიშვილი, რომელიც უკვე მრავალი წელია იტალიაში ცხოვრობს და ქართული კულტურას უწევს პოპულარიზაციას.

ამავე დღეს ფლორენციის საგამოფენო დარბაზში ქართველ მხატვართა გამოფენა გაიხსნა და ფოლკლორული საღამო გაიმართა, რომელმაც სტუმრების დიდი მონონება დაიმსახურა.

„სიმპოზიუმის ფარგლებში გამართულ

სამეცნიერო კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს იტალიის უნივერსიტეტების პროფესორებმა: ფლორენციის მაქს პლანკის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა გერჰარდ ვოლფმა, ჯორჯთაუნის პროფესორმა ორი სოლტესმა, ასევე რუმინეთის, სერბეთისა და სომხეთის სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა. იტალიაში ქართული დღეების წარმატებით ჩატარება, პირველ რიგში, საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის პრეზიდენტის მაქა დვალიშვილისა და რომაულ დელ ბიანკოს ფონდის პრეზიდენტის პაოლო დელ ბიანკოს დამსახურებაა“, — აღნიშნა ირინე მირიჯანაშვილმა.

სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ფლორენციის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ნაშრომების თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა: თამაზ გამყრელიძემ, გიული ალასანიამ, კახაბერ ლორიაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ვახტანგ ლიჩელმა, მარინა ფუთურაძემ, ირინე მირიჯანაშვილმა და სხვ.

საქართველოს კულტურის დღეების საზეიმო დახურვა მაქს პლანკის სახელობის კულ-



ტურისა და ხელოვნების ინსტიტუტში შედგა, რომელიც კლასიკური მუსიკის კონცერტით დაგვირგვინდა.

## საქართველოში კნუტ ჰამსუნის მოგზაურობა გრძელდება

17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით — „დაბრუნება ზღაპრულ ქვეყანაში: კნუტ ჰამსუნი“. კონფერენცია დიდი ნორვეგიელი მწერლის დაბადებიდან 150-ე და მისი საქართველოში მოგზაურობის 110-ე წლისთავს მიეძღვნა. სპეციალურად ამ დღისთვის, სხვა ცნობილ სკანდინავიელ მეცნიერებთან და ლიტერატორებთან ერთად, საქართველოს კნუტ ჰამსუნის შვილიშვილი ლაიფ ჰამსუნიც ეწვია. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ის სკანდინავიისტიკის ცენტრი (ხელმძღვანელი კახაბერ ლორია) და კნუტ ჰამსუნის საზოგადოება კავკასიაში (ხელმძღვანელი ოლიკო ჟღენტი).

## თამარ მარუაშვილი

საერთაშორისო კონფერენცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები როგორც თსუ-ის, ისე სკანდინავიის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, რომლებიც საინტერესოდ და შთაბეჭდილებად საუბრობდნენ დიდი მწერლის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე.

კონფერენციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი კონფერენციების გამართვა აუცილებელია, რადგან იგი ხელს უწყობს ორი ერის, ორი კულტურის ფასეულობების გაცნობასა და დაახლოებას. კონფერენციის მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა აზერბაიჯანსა და საქართველოში ნორვეგიის ელჩი, ბატონი იონ რამბერგი, რომელმაც მადლობა გადაუხადა თსუ-ის ხელმძღვანელობას და თსუ-ის სკანდინავიისტიკის ცენტრს კონფერენციის ორგანიზებისთვის და აღნიშნა, რომ ლიტერატურულ შედეგებს არც ეროვნება გააჩნია და არც საზღვარი, ის საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა ხალხების ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობისა და მეგობრობის დასამყარებლად.

კონფერენციის პირველ სესიას ოთხი მომხსენებელი ჰყავდა: ბერგენის უნივერსიტეტის პროფესორები: ელენ მორტენსენი, იუსტინ ბორტენსი; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ოლიკო ჟღენტი და ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი გულდ-ლეივ ბე. ამ უკანასკნელის მოხსენება — „ნორვეგიული ნაციონალიზმი“ II მსოფლიო ომის დროს მწერლის პოზიციას ეხებოდა — ეს ის პერიოდი, როდესაც მან მხარი დაუჭირა ნაცისტურ გერმანიას და რის გამოც ნორვეგიელი ხალხის ანტიპათია დაიმსახურა.

მომხსენებლებმა ისაუბრეს კნუტ ჰამსუნის შემოქმედების თავისებურებებსა და განსაკუთრებული თხრობის ხელოვნებაზე, ნაწარმოებების გმირების შთაბეჭდილება და განუმეორებელ სახეებზე, მისი შემოქმედების სტილსა და ადამიანის სულიერი ცხოვრების გადმოცემის განუმეორებელ ოსტატობაზე.

საინტერესო იყო ქალბატონ ოლიკო ჟღენტის მოხსენება კნუტ ჰამსუნის პიესაზე: „დედოფალი თამარი“. ეს პიესა მოწმობს, რომ ჯერ კიდევ საქართველოში მოგზაურობისას, ჩრდილოელი მწერალი თამარის შესახებ არსებული ლეგენდებით და ისტორიებით მოხიზლა. პიესაზე მუშაობისას ჰამსუნს უკვე ხელთ ჰქონდა ევროპელთა მოსაზრებები თამარის შესახებ. მისთვის თამარი გახლდათ ქალის, დედის, მეუღლის და სახელმწიფო მმართველის იდეალური განსახიერება.



„საუკუნე გავიდა კნუტ ჰამსუნის პიესის „დედოფალი თამარის“ შექმნიდან, მაგრამ ამ პიესის ზღაპრულ-ფანტასტიკური, ბუფონადურ-კარნავალური საფარველის მიუხედავად, მასში კოდირებულია თანამედროვე გლობალიზაციისა და მსოფლიო გაერთიანების ბევრი ფატალური ნიშანი...“  
ჰამსუნის პიესა დღეს შეიძლება სრული-

ად ახლებურად, პოლიტიკურ დისკურსში განვიხილოთ — ამ ნაწარმოების ღირებულება სრულიად სხვა მასშტაბს იძენს ეთნოკონფლიქტებითა და მუსლიმანური ექსტრემიზმით დაძვინძვულ ქსოფლიოში. თანამედროვე დასავლეთის წინაშე კვლავ უდიდეს დილემად რჩება აღმოსავლეთის ქვეყნებთან კომუნიკაციისა და დიალოგის პრობლემა“, — წერს თავის მოხსენებაში ქალბატონი ოლიკო ჟღენტი.

მეორე სესიის მომხსენებელმა, კნუტ ჰამსუნის საზოგადოების პრეზიდენტმა თორუნ შექმა დიდი მწერლის ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ფოტო გალერეა წარმოადგინა და დამსწრეთ ნორვეგიის იმ ადგილებზე მოუთხრო, სადაც მწერალმა თავისი ცხოვრების გარკვეული წლები გაატარა.

აგდერის უნივერსიტეტის (ნორვეგია) პროფესორმა ანდრეას ლომბენსმა საზოგადოებას მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო რომანის „მისტერიები“ პერსონაჟების საოცარი და განსაკუთრებული თამაში გააცნო, რომელიც მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

„ნა“ და „დედოფალი თამარი“) ვრცელი და საინტერესო მოხსენება წარმოადგინა თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, თსუ-ის სკანდინავიისტიკის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა კახაბერ ლორიამ, რომელმაც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ამ ნაწარმოებების თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე.

საერთაშორისო კონფერენციის უცხოელმა მომხსენებლებმა მადლობა გადაუხადეს თსუ-ის ხელმძღვანელობას და სკანდინავიისტიკის ცენტრს ნორვეგიული კულტურის, ნორვეგიული ხალხის დღესასწაულებსა და პატივისცემისთვის. ორი ქვეყნის ურთიერთობა საუკეთესო მაგალითს აჩვენებს ევროპულ საზოგადოებას.

ცნობისთვის: კნუტ ჰამსუნი (ნამდვილი გვარი პედერსენი) დაიბადა ხელმოკლე გლეხის ოჯახში. მწერალი 14 წლიდან მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა. მრავალი პროფესია გამოიცვალა, ბედის საძებნელად ორჯერ ამერიკაში იყო. 1898 წელს იმოგზაურა ფინეთში, რუსეთში, ირანში, თურქეთში, კავკასიაშიც, კერძოდ საქართველოში. ამ მოგზაურობის ერთგვარი მხატვრული ანგარიშია პიესა „დედოფალი თამარი“ და ცნობილი ნოველი „ზღაპრულ ქვეყანაში“. 1918 წლიდან მწერალი სამუდამოდ დასახლდა ნორჰოლმში.

ჰამსუნის რომანებში გამოხატულია ქვეცნობიერი სულიერი ცხოვრების უწვრილმანესი ნიუანსები, მისი თხრობის ხელოვნება ახდენს ყველა იმ სტილური საშუალების სინთეზირებას, რომელიც მოპოვებულია ნატურალიზმიდან მოყოლებული იმპრესიონიზმის ჩათვლით, რაც მის ნაწარმოებებს განუმეორებელ მიმზიდველობას სძენს.

ჰამსუნმა დიდი პოპულარობა მოიპოვა პირველივე რომანით „მომილი“ (1890), რომელიც ნორვეგიულ და სრულიად ევროპულ ლიტერატურაში თავისებურ გადატრიალებას მოასწავებდა როგორც თემატური, ისე სტილურ-ფორმისული თვალსაზრისით: ნაწარმოები ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს და იშვიათი ნიმუშია შინაგანად წინააღმდეგობრივი, უკიდურესად ზეგრძობიერი ადამიანის სულიერი ცხოვრების ასახვის.

ჰამსუნის საუკეთესო რომანებად მიჩნეულია „მისტერიები“, „ჰანი“, „ვიქტორია“ და „მინის მადლი“, ეს უკანასკნელი 1920 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.

აღსანიშნავია, რომ ჰამსუნი იმთავითვე გერმანოფილობას ამჟღავნებდა, ამასთან, იგი პირველად გერმანიაში აღიარეს მსოფლიო მასშტაბის მწერლად, II მსოფლიო ომის დროს კი მან აშკარად გამოავლინა თავისი სიმპათიები ნაცისტების მიმართ. 1945 წელს ჰამსუნს ნორვეგიაში სამშობლოს ლალატი ნაუყენეს ბრალად და დააპატიმრეს, შემდეგ კი ღრმა მოხუცებულობის გამო სასჯელი ჯარშით შეუცვალეს. კნუტ ჰამსუნი გარდაიცვალა 1952 წლის 19 თებერვალს (ნორჰოლმში).



# „ათცამეტ ასურელ მამათა კვალდაკვალ“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 500-მდე სტუდენტი, სამი თვის წინ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით ცამეტი ასურელი მამის: იოანე ზედაზნელის, აბიბოს ნეკრესელის, ანტონ მარტყოფელის, დავით გარეჯელის, ზენონ იყალთოელის, თადეოზ სტეფანწმინდელის, ისე ნალკნელის, იოსებ ალავერდელის, ისიდორე სამთავენელის, მიქაელ ულუმბოელის, პიროს ბრეთელის, სტეფანე ხირსელის და შიო მღვიმელის სახელობის ეკლესიამონასტრების მოსალოცად გაეშურა. მათ თან ახლდა გადამღები ჯგუფი. რეჟისორმა ნინო გელოვანმა და ოპერატორმა დავით ჭიქაძემ სტუდენტების ცამეტ მონასტერში მოგზაურობისა და წმინდა მამების ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, რომლის პრეზენტაცია 12 ნოემბერს სამების საკათედრო ტაძართან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში შედგა. პროექტის „ათცამეტ ასურელ მამათა კვალდაკვალ“ პრეზენტაციის დასკვნით საღამოზე მოგზაურობის ამსახველი ფოტომასალაც გამოიფინა.

## შურთისა ბაროშვილი

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, პროექტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ორგანიზებითა და ქალაქ თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. დასკვნით საღამოზე სტუდენტებმა თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, ასევე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს დარეჯან თვალთვაძეს, პროექტის ხელმძღვანელებს: გიორგი პაპუაშვილსა და ნელი ჯიქურს, მერიის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ხელმძღვანელს თორნიკე შამათავას, თსუ-ის სპორტისა და კულტურის ცენტრს, პროექტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ნელი ჯიქურს და ამ პროექტის იდეის ავტორს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის სტუდენტს დათო მჭედლიძეს. სტუდენტებს უნივერსიტეტის პროფესორმა თამაზ ჯოლოჯუამაც მიმართა: „ნაკვა-ლევი — თავად ეს სიტყვა დიდი დატვირთვის მატარებელია. მიხარია, რომ ამ ახალგაზრდებმა შეძლეს ღირსეულად გაეცლით ამ გზაზე. ჩემი აზრით, წმინდა მამათა ნაკვალევზე ყველა ქართველმა უნდა გაიაროს. მათ სახელებს ხომ სამონასტრო ცხოვრების აღორძინება უკავშირდება. თითოეული მონასტერი ცოდნის ტაძარიც გახლდათ! მათ ნაკვალევზე სიარული ჩვენ უფალთან მიგვიყვანს“.

შეხვედრაზე სტუდენტებმა იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ინიციატივა — ყოველ წელს მოენყოს ცამეტ ასურელ მამათა ნაკვალევზე მოგზაურობა — აუცილებლად განხორციელდება.

13 ასურელი მამა — ანტიოქიელი ღირსი მამა იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მონაფე: ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, ისე ნილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავენელი, მიქაელ ულუმბოელი, აბიბოს ნეკრესელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი და შიო მღვიმელი თვით უფლის ანგელოზმა აარჩია საქართველოში გასამგზავრებლად.

გადმოცემის თანახმად, სირიიდან გამომგზავრებული საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი ქართლის საზღვრებს VI საუკუნის შუა ხანებში მოადგა. მათ ფეხდაუღლებლად გადალახეს მდინარე მტკვარი და მცხეთაში შევიდნენ. სწორედ მათ სახელებს უკავშირდება საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრება, აღორძინება და ქრისტიანობის განმტკიცება ქვეყნის მიუვალ ადგილებში.

აღმოსავლეთ საქართველოში ასურელმა მამებმა მრავალი მონასტერი ააშენეს, ქართველ წარმართულ მოსახლეობასა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ქრისტიანობა გაავრცელეს და ჩრდილოეთი მხარეები ეკლესიურად საქართველოს დაუქვემდებარეს. მათი საქმიანობა ხელს უწყობდა ქართული ფოთალურ-ქრისტიანული კულტურის გავრცელებას-განმტკიცებას, ნიადაგს უმზადებდა გამათავისუფლებელ ბრძოლებს ირანის წინააღმდეგ, განამტკიცებდა ბერძულ-ბიზანტიურ ორიენტაციას კულტურულ-პოლიტიკურ სფეროში.

დიდი იყო ასურელი მამების მოღვაწეობის სოციალურ-ეკონომიური შედეგებიც. მათ მიერ დაარსებულმა სამონასტრო ცენტრებმა ხელი შეუწვეს უდაბურ-უკაცრიელი ადგილების სამეურნეო ათვისებას. ამავე დროს ეს სავანეები ქართული მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცნენ.



# თბილისის გამწვანების პროექტში უნივერსიტეტიც ჩაერთო

## ნათო ოპოლაძე

16 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. „გამწვანების აქცია“ დაიწყო. თბილისის მერიისა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივ პროექტში დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლებიც აქტიურად ჩაერთვნენ. თსუ-ის მალღივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების ნერგები სტუდენტებთან ერთად სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, თბილისის მერმა გივი უგულავამ და თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ დარგეს.

საქმეს. გამწვანება, უპირველეს ყოვლისა, ხალხის ჯანმრთელობა ერის კულტურის მაჩვენებელია. ამ ადგილზე ადრე ტყე იყო, რომელიც მტერმა გადაწვა, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მის აღდგენაზე. გამწვანების შემდეგ საერთოდ შეიცვლება თბილისის ჰაერი. ლოცვა-კურთხევაა მოცემული, რომ ყველა ჩვენთაგანმა წელიწადში 12 ნერგი დავრგოთ, მაგრამ არა მარტო უნდა დავრგოთ, არამედ მას უნდა მოვუაროთ კიდეც. საპატრიარქოში ყველაფერი ყვავის, რადგან, როცა ვრგავთ, ვეუბნებით — გაიხარე და გაგვახარე! მათ ესმით ეს... ამის თქმით ისინიც გაიხარებენ და თქვენც გაიხარებთ“, — ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა.

თბილისის გამწვანების პროექტის პირველ ეტაპზე დედაქალაქში 10 000 ნერგი დაირგება და მათ მოვლა-პატრონობაზე ეკოლოგისა და გამწვანების საქალაქო სამსახური იზრუნებს. პროექტში ჩართულია

# ოგუდსმენთან შეხვედრა

## მბ-2 გვერდიდან

„საინტერესო თავია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დარღვევის თაობაზე. ეს უკანასკნელი ერთგვარად მივიწყებული თემა იყო საქართველოში. გაეროს კონვენცია, რომელიც უკავშირდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მალე იქნება რატიფიცირებული და ჩვენ დიდი სამუშაოები გვაქვს ჩატარებული ამ კუთხით. ანგარიში ვებ-გვერდზე დევს და მისი გაცნობა შესაძლებელია“, — ბრძანა ბატონმა გიორგი ტულუშმა.

სტუდენტები დაინტერესდნენ, რამდენად ითვალისწინებს ხელისუფლება სახალხო დამცველის რეკომენდაციებს და ხომ არ არის საჭირო უფრო ძლიერი მექანიზმის ამუშავება ამ რეკომენდაციების გასათვალისწინებლად?

„ეს ის საკითხია, რომელსაც ძალიან ხშირად იხილავენ საერთაშორისო ფორუმებზე, რადგან ბევრი ომბუდსმენი უკმაყოფილოა და აცხადებს, რომ არ აქვთ საოქმედოდ საჭირო ბერკეტები. ერთი მხრივ, ომბუდსმენი საკმაოდ მოქნილია, რადგან ნებისმიერ საკითხზე შეუძლია რეკომენდაციის გაკეთება, მაგრამ მის რეკომენდაციას რომ იურიდიული ძალა ჰქონდეს, მაშინ იგი უნდა იცავდეს სამართლიანი სასამართლოს ყველა პრინციპს, ანუ უნდა უსმენდეს მხარეებს და ა.შ. ამას ომბუდსმენი ვერ გააკეთებს, მაგრამ მის რეკომენდაციებს ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს. ვფიქრობ, რომ ჩვენი რეკომენდაციის ნაწილს ხელისუფლება ითვალისწინებს, თუმცა არის საკითხები, რაც ჯერ კიდევ მოსაგვარე-

ბელია. არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი სულ რაღაც 11-13 პროცენტია, რაც, ცხადია, კარგი მაჩვენებელი არაა. ამ წლის ბოლოს შედეგები კიდევ ერთხელ შეჯამდება და იმედი მაქვს, რომ ეს მაჩვენებელი მაღლა აიწევს“, — განაცხადა გიორგი ტულუშმა.

კითხვაზე, რას ფიქრობს საქართველოს სახალხო დამცველი მედიის თავისუფლების საკითხებზე, ომბუდსმენმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებიც აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ საქართველოში მედამარეობა გაუარესდა, რაც თავისთავად ცუდია.

„მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ჩვენთან ბექდური მედია თავისუფალია. როცა თავისუფლების შეზღუდვაზე საუბრობენ, ძირითადად ტელევიზიებს გულისხმობენ, საიდანაც მართლაც არ ისმის ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაცია. ვფიქრობ, აქ საზოგადოებრივი არხი უნდა იყოს განმსაზღვრელი და ამ კუთხით სამუშაო მართლაც არის. ბოლო დროს ბევრს საუბრობენ ჟურნალისტიკის ცემის და მათზე ზენონის ფაქტებზე. ეს განსაკუთრებით რეგიონალურ მედიას შეეხება. ჩვენ შევისწავლით ამ საკითხებს და სათანადო რეკომენდაციებსაც გავაკეთებთ. რაც მეტი დამოუკიდებელი ტელეარხი იქნება, რაც მეტად განვითარდება რეგიონული მედია, ეს იქნება ქვეყნისთვის ძალიან კარგი“, — განაცხადა სახალხო დამცველმა.

გიორგი ტულუშმა უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებისთვის მიიწვია სახალხო დამცველის აპარატში და განაცხადა, რომ ახალი, ნიჭიერი და მცოდნე კადრებისთვის ომბუდსმენის აპარატის კარი ყოველთვის ღიაა.



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროც. თუ თბილისის სამეზობლო ამხანაგობებიც გამოიქვეყნებენ სურვილს — დედაქალაქის მერიის ნერგებს მათაც გადასცემს თავიანთი საცხოვრებელი კორპუსის შემოგარენის გამწვანების მიზნით.



# თსუ-ის სტუდენტები „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეზე იმიტირებულ სასამართლო პროცესს გამართავენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტების თაუ დიოგიდის და დიანა დათუსანის ინიციატივით თბილისის უზენაეს სასამართლოში „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმესთან დაკავშირებით იმიტირებული სასამართლო პროცესი წლის ბოლოს გაიმართება. პროცესის სახელწოდება „რეისი 6833“ იქნება.

## ნატო ოპოლაქი

„ჯინსების თაობის“ ბიჭების ტრაგიკული ისტორიის კიდევ ერთხელ გახსენება სტუდენტებმა ამ მოვლენის გამო საზოგადოებაში დღემდე არსებული ინტერესის გამო გადამწყვიტეს. იმიტირებული სასამართლოს გასამართლად მზადება უკვე დაიწყო. სტუდენტებმა „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმის განსახილველად აუცილებელი მასალები მოიპოვეს და სასამართლო პროცესში მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესიც დაიწყეს. ორგანიზატორების თაუ დიოგიდისა და დიანა დათუსანის მუშაობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ასისტენტ-პროფესორი ირაკლი დვალაძე ხელმძღვანელობს. „თვითმფრინავის ბიჭების“ იმიტირებული სასამართლო პროცესის პროექტს ფინანსურად თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ეხმარება. ორგანიზატორებს კონსულტაცია გაუწიეს „ელსა-საქართველოს“ წევრებმაც, რომლებსაც, იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვის თვალსაზრისით, საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ.

„გვინდა ჩვენეული ვერსია ჩამოვყალიბოთ „თვითმფრინავის ბიჭების“ საქმის განაჩენთან დაკავშირებით. საქმის მასალებიდან გამომდინარე გამოვიცხადოთ ობიექტური შემადგენელი ნარმოდგენა, მაგრამ გვექნება ჩვენეული ვერსია, რომელსაც არსებობის უფლება აქვს. პროცესში მონაწილე სტუდენტების შერჩევისა და ტრენინგების დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ უზენაეს სასამართლოში გაიმართება სასამართლო პროცესი. განაჩენს ექვსი ნაფიცი მსაჯული გამოიტანს“, - განაცხადა პროექტის ერთ-

ერთმა ორგანიზატორმა დიანა დათუსანმა. „ჯინსების თაობის“ იმიტირებული სასამართლო პროცესის პროექტის პრეზენტაცია საორგანიზაციო ჯგუფმა 18 ნოემბერს გამართა. იმ სტუდენტებს, რომლებიც სასამართლო პროცესში მიიღებენ მონაწილეობას, სპეციალური მოსამზადებელი ტრენინგები უკვე უტარდებათ. ახალგაზრდები თვითმფრინავის გატაცების ისტორიას დეტალურად გაეცნობიან, ასევე, შეისწავლიან ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციას, რომელიც იმიტირებულ სასამართლო პროცესზე განაჩენს გამ-

ოიტანს. სასამართლო პროცესის გამართვისთვის აუცილებელი ინფორმაცია სტუდენტებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დეპარტამენტმა მიანდა. „ნაფიცი მსაჯულები იმ თაობის ნარმოდგენები იქნებიან, რომლებმაც რეალურად ნახეს ეს პროცესი. საინტერესოა, რა გადწყვეტილებას მიიღებენ სტუდენტები და რას იტყვიან უფროსი თაობა“, - აღნიშნა ირაკლი დვალაძემ.

იმიტირებულ სასამართლო პროცესზე განაჩენს სპეციალური კრიტიკიუმების მიხედვით შერჩეული ნაფიცი მსაჯულები გამოიტანენ. სტუდენტებმა შეარჩიეს ის ადამიანები, რომლებიც 1983 წლის 18 ნოემბრის მოვლენის მომსწრეები იყვნენ. „ჯინსების თაობის“ იმიტირებულ სასამართლო პროცესზე ნაფიცი მსაჯულების ფუნქციას ისტორიკოსი და სამხედრო სამართლის ექსპერტი ჯაბა სამუშია, ისტორიკოსი და აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი, მწერალი რევაზ მიშველიძე, მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი დიმიტრი კორძია და შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელი ომარ თუშუაშვილი შეითავსებს.

„ჯინსების თაობის“ იმიტირებულ სასამართლო პროცესს საქველმოქმედო საღამო დაასრულებს. ღონისძიებაზე სტუდენტები სპექტაკლს წარმოადგენენ, რომელიც „თვითმფრინავის ბიჭების“ ისტორიას უკავშირდება. შემოსული თანხა აჭარის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ხელოვნებით დაინტერესებულ ბავშვებს გადაეცემა.



# ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ გამარჯვებულები გამოვლენილია

სტუდენტური კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ გამარჯვებულები უკვე გამოვლენილია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტის დასკვნითი საღამო 27 ნოემბერს „თი-ბი-სი“ ბანკის სათაო ოფისში გაიმართა.

## ნატო ოპოლაქი

ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ ფინალურ ეტაპზე 20 სტუდენტი მონაწილეობდა. ახალგაზრდები იყალთოს სამონასტრო კომპლექსში საკონკურსო ნაშრომებს 6 საათის განმავლობაში წერდნენ. როგორც ფიურის წევრებმა დასკვნით ღონისძიებაზე განაცხადეს, სტუდენტური ნაშრომები შემოქმედებითი თვალსაზრისით საკმაოდ მაღალი დონის გახლდათ, თუმცა გამარჯვებულის გამოვლენა მინც არ გაუჭირდათ.

„ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ საკმაოდ კარგი შედეგებით დასრულდა. გამარჯვებულის გამოვლენა არ გაგვიჭირვებია, ნაშრომების გაცნობის შემდეგ აშკარად გამოიკვეთა, თუ რომელი გახდებოდა პირველი ადგილის მფლობელი“ - აღნიშნა დავით ტურაშვილმა.

კონკურსის ფიურის გადამწყვეტილებით ლიტერატურულ მართონში გამარჯვება სალომე მხეიძემ მოიპოვა, მისმა ნამუშევარმა „რა სურთ ქალებს, ანუ ორი ხანმოკლე პაემანი“ განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა. პირველი ადგილის მფლობელს 1000 ლარის ოდენობის ფულადი პრიზი გადაეცა. მეორე ადგილზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი დავით გორგილაძე გავიდა ნაშრომით — „ხოხე და უფსკრულისფერთმიანი გოგონა“ და საჩუქრად 700 ლარი მიიღო, მესამე ადგილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს მარიამ ტაბალუას შეხვდა მოთხრო-

ბისთვის — „კიდევ ერთ მოსაწყენ ამბავზე (ანუ როგორ ვერ დავეწერე მოთხრობა), მან 500 ლარი მიიღო.

კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ სამი გამარჯვებულის გარდა განსაკუთრებული პრიზები გადაეცათ თბილისის მერიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ არჩეულ სტუდენტებს. მერიამ მის ფავორიტ მონაწილეს მარიამ ბექაურს საჩუქრად პროტატული კომპიუტერი გადასცა ნაშრომისთვის „ლილიანები“. თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ კი გიორგი ოხანაშვილს ნამუშევრისთვის „პაემანი მთვარეზე“ ციფრული ფოტოაპარატი უსახსოვრა.

„მე საერთოდ მიმაჩნია, რომ როდესაც ასეთი მართონული კონკურსი მიმდინარეობს, შედეგები ნაკლებად საიმედოა. ზოგი მონაწილე ჩქარა წერს, ზოგიც — ნელა, ამიტომ დიდად არ მიყვარს ნაჩქარევი ნაწერების კითხვა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის შედეგი მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა. მაღალი ხარისხის ნაწერები იყო, რაც იმედს გვაძლევს, რომ საქართველოში მოდის ახალი თაობა, რომელსაც კარგად წერა შეუძლია“, - აღნიშნა ფიურის წევრმა ლაშა ბაქრაძემ.

ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ გამართვის იდეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეკუთვნის, იყალთოში სტუდენტების ჩაყვანა კი კომპანია „ჯეოსელმა“ გადაწყვიტა. ორგანიზატორების შეფასებით, კონკურსი წარმატებით ჩატარდა და მსგავსი ტიპის ღონისძიებები მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება.

„ამ კონკურსის ძირითადი მიზანი იყო ახალი სახეების წარმოჩენა, ნიჭიერი ახალგაზრდების ნახალისება, რომლებსაც გამორჩეული მიდრეკილება აქვთ ლიტერატურისკენ. მიხარია, რომ კონკურსის პირობებში შევძელით და ხელი შევუწყვეთ ქართული ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. დარწმუნებული ვარ, მომავალში მსგავსი კონკურსის შედეგად კიდევ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის წარმოჩენის



შესაძლებლობა მოგვეცემა“, - განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ სამეტაპად განხორციელდა. შიდაშესარჩევ ტურში თსუ-ის 86 კანდიდატიდან ფიურიმ 20 საუკეთესო შეარჩია, რომლებმაც ლიტერატურული მართონის მეორე ეტაპზე იყალთოს სამონასტრო კომპლექსის ეზოში, ღია

ცის ქვეშ, თემაზე „პაემანი“ საკონკურსო ნაშრომები შექმნეს. დასკვნით, მესამე ეტაპზე კი ფიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა.

კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ ფიურის გადამწყვეტილებით 10 საუკეთესო სტუდენტური ნაშრომი ბროშურის სახით გამოიცემა.



# საუნივერსიტეტო საფეხბურთო ჩემპიონატი — „თვითმმართველობის თასი — 2009“

30 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში საუნივერსიტეტო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ფირცხალავა და ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელი აკაკი სტურუა. მათ გამარჯვებულ გუნდებს პრიზები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

## შურისხა პაროზილი

ფინალურ მატჩში ერთმანეთს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ორი გუნდი: „უმბა“ და „აიაქსი“ დაუპირისპირდა, რომელიც ანგარიშით 2:1 „უმბას“ სასარგებლოდ დასრულდა.

საუნივერსიტეტო საფეხბურთო ჩემპიონატის საზეიმო ცერემონიაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ ფინალში გასულ სტუდენტებს გამარჯვება მიულოცა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს გიორგი ფირცხალავას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„მიხარია, რომ ბოლო დროს საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების თვალსაზრისით ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. ჩვენი სტუდენტები უკვე აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტში და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფეხბურთის ფედერაციის თანადგომა და მხარდაჭერა. სპორტული ცხოვრება სტუდენტებს დაეხმარება გახდნენ უფრო მეტად მობილიზებული თავიანთ საქმიანობაში“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის გიორგი შამათავას ინფორმაციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მინი ფეხბურთის ჩემპიონატი 2006 წლიდან ტრადიციულად, შემოდგომაზე და გაზაფხულზე იმართება.

„წლებიდანელი საფეხბურთო ჩემპიონატი სახელწოდებით: „თვითმმართველობის თასი — 2009“ 23 ნოემბერს დაიწყო და ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. ტურნირში მონაწილეობა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტმა მიიღო. გამარჯვებისთვის კარგად მომზადებული 64 გუნდი იბრძოდა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად თავი გამოიჩინეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვეს — ფინალშიც ამ ფაკულტეტის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ჩემპი-

ონატი გამარჯვებულ გუნდებს, რომლებმაც პირველი, მეორე და მესამე ადგილები გადაინანილეს, ასევე, საუკეთესო ფეხბურთელებს, ფულადი ჯილდო და სპეციალური პრიზები გადაეცათ. სტუდენტური თვითმმართველობა მსგავსი ღონისძიებებით კვლავ გააგრძელებს საუნივერსიტეტო სპორტის განვითარების ხელშეწყობას და ამ მიმართულებით სტუდენტების ნახალისებას“, — აღნიშნა გიორგი შამათავამ.

პირველი ადგილი მოიპოვა გუნდმა — „უმბამ“, გუნდის წევრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ თასი გადასცა, მეორე ადგილის მფლობელი გუნდი „აიაქსი“ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ფირცხალავამ დააჯილდოვა, მესამე ადგილზე გასულ გუნდს „არისტოკრატები“ პრიზი გადასცა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ გიორგი შამათავამ.

საუნივერსიტეტო საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეების გადამწყვეტილებით, ტურნირის საუკეთესო მეკარედ კობა ნიჟარაძე დასახელდა, რომელიც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის უფროსმა უჩა ჯღამაძემ დააჯილდოვა. საუკეთესო ბომბარდირი მიხეილ თევზაძე გახდა, რომელსაც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ხარჯავანიძემ პრიზი გადასცა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული კი ალექსანდრე შენგელიამ დაიმსახურა, რომელსაც პრიზი თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ირაკლი მეგრელიშვილმა გადასცა. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ლაშა მონიავას თქმით, უნივერსიტეტში ტრადიციულად დამკვიდრებული სპორტული ტურნირები სხვადასხვა სახეობაში კვლავაც აქტიურად გაგრძელდება.



# ღვანულადი პროფესორი — ბრიგოლ ჩხარტიშვილი

15 დეკემბერს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შუა საუკუნეების ისტორიის მიმართულების ინიციატივით უნივერსიტეტში გრიგოლ ჩხარტიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა გაიმართა. ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური ინტელიგენციის წარმომადგენელს, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელს, პროფესორ გრიგოლ ჩხარტიშვილს დაბადებიდან 102 წელი შეუსრულდებოდა.

გრიგოლ ჩხარტიშვილი დაიბადა 1907 წლის 7 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში, შემდგომი გლეხის ოჯახში. მშობლებმა სასიკეთო გავლენა იქონიეს გრიგოლ ჩხარტიშვილის პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში; მათგან გამოყვა მას სამშობლოს სიყვარული, სიმათლიანობის პრინციპები და შრომისუნარიანობა, ასევე, სწავლადანათლებლის აუცილებლობის გრძნობა და ბეჯითობა.

პირველდაწყებითი განათლება გ. ჩხარტიშვილმა მშობლიურ სოფელ ჯუმათში მიიღო, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ოზურგეთის საშუალო სკოლაში; პატარა გრიგოლი წარჩინებული მოსწავლე იყო, ყველა საგანს კარგად სწავლობდა, მაგრამ განსაკუთრებით ისტორია იტაცებდა. ეს არც იყო გასაკვირი — მეოცე საუკუნის დასაწყისის გრანდოზული ქარ-ცეცხლიანი გარდაქმნები პატარა გურიის სოფლებში მდებარე ალენკა და მოზარდებში ცოცხალ ინტერესს აღვივებს. პატარა გრიგოლს ბავშვობიდან სურდა გაერკვია საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. ეს ინტერესი მან მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა და მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობა და ენერჯია მიუძღვნა.

მეცნიერების მწვერვალებისკენ სავალ გზაზე მას განაგებდა ბევრ განსაცდელს უმზადებდა. პირველმა განსაცდელმა ჯერ კიდევ მოსწავ-

ღის — 1924 წელს უნია, როცა იგი ჯერ კიდევ 17 წლის იყო: ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილი გრიგოლი დაუპირისპირდა საქართველოში იმხანად არსებულ ხელისუფლებას, რის გამოც ის დააპატიმრეს და მეტეხის ციხის სიკვდილმისჯილთა კამერაში გააპატიმრეს. ვინ და როგორ იხსნა მამინ გრიგოლ ჩხარტიშვილი, დოკუმენტურად უცნობია; სასწაული მოხდა — იგი შეინჯალეს და მას სწავლის გაგრძელების საშუალებაც მისცეს.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1925 წელს, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სპეციალობის დაუფლებასთან ერთად გ. ჩხარტიშვილი დიდ დროს უთმობდა რუსული და ევროპული (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენების ათვისებას. 1929 წელს გრიგოლი სწავლას აგრძელებს თსუ-ის ასპირანტურაში შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალობით. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი ხდება ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი გრიგოლ ნათაძე. აქ გრიგოლ ჩხარტიშვილს ცხოვრება კვლავ უმძიმეს განსაცდელს უმზადებს: ასპირანტურაში სწავლის პერიოდში „კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის“ რეპრესირებულად სცნეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს.

გრიგოლი კვლავ გაუტეხელი დაუბრუნდა საქართველოს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, გ. ჩხარტიშვილი 1939 წელს დაამთავრა ასპირანტურა, თუმცა შრომით საქმიანობას იგი ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ეწეოდა. 1925-1926 წწ. ის უკვე მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად. თბილისის უნივერსიტეტში იგი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტად დაეუფლა; ამ ფაკულტეტის სრული კურსი მან 1938 წ. დაასრულა. 1936-1937 წწ. ის მუშაობდა ქუთაისის რაიონის სოფელ პატრიკეთის არასრული სა-

შუალო სკოლის დირექტორად, ხოლო 1937-1945 წლებში, ჯერ ავჭალის საშუალო სკოლის, ხოლო შემდგომ სოფელ დიღმის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1946-1950 წწ. გ. ჩხარტიშვილი ლექციებს კითხულობს ზუგდიდის სახელმწიფო სამასწავლებლო სასწავლებელში, არის მსოფლიო ისტორიის დოცენტი. სწორედ ამ დროიდან იწყება გრიგოლ ჩხარტიშვილის აქტიური მოღვაწეობა თსუ-ის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე; პარალელურად იგი კითხულობს ლექციებს პედაგოგიურ ინსტიტუტებში გორში, თბილისში, და სხვაგან.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად გრიგოლ ჩხარტიშვილს არასოდეს შეუწყვეტია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. ფართო იყო მისი კვლევების სფერო; იგი იკვლევდა როგორც ევროპის სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიებს, ისე განათლების სისტემას, შუა საუკუნეების ქალაქებისა და უნივერსიტეტების ისტორიას და სხვ. მის კვლევის ინტერესებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ინგლისის ისტორიის საკითხებს. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა მასი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

1946 წელს გრიგოლ ჩხარტიშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „თავისუფლების დიდი ქართია“, რომლის ხელმძღვანელი იყო პროფესორი რ. ნათაძე. მას დიდ დახმარებას უწევდნენ მას პროფ. ალექსანდრე ნამორაძე და მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი ე. ლავროვსკი; შემდგომ ბატონი გრიგოლი თავის მასწავლებლებს ყოველთვის დიდი მადლიერებით მოიხსენიებდა.

1967 წელს ბატონმა გრიგოლმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ინგლისის საქალაქო მეურნეობის განვითარება XI – XIII საუკუნეებში“. თუ ისტორიოგრაფიაში კარგად იყო შესწავლილი აღნიშნული პერიოდის ინგლისის სოფელი (პ. ვინოგრადოვის, ე. კოსმინსკის, ე. გუტნოვას შრომები), სამაგიეროდ ეს არ ითქმის ინგლისის საქალაქო ცხოვრებაზე — ვაჭრობაზე, ამქრულ მეურნეობაზე, სოციალურ ურთიერთობებზე და სხვა. გ. ჩხარტიშვილმა თავისი სადისერტაციო ნაშრომითა და გამოკვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის გადაჭრაში, რაც აღინიშნა კიდევ მიდევნებდა ფართო წრეებში. განსაკუთრებით ფასეულია, რომ გრიგოლ ჩხარტიშვილი ამ საკითხებზე მუშაობისას ხშირად მიმართავდა პარალელურ შესაბამისი პერიოდის საქართველოს XI – XII საუკუნეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური სინამდვილე ბევრი რამით ინგლისისა ნაგავს, თუმცა თამარის დროის „კარავი“ ინგლისის პარლამენტს და „თავისუფლების დიდ ქართიას“ წინ უსწრებს 50-70 წლით.

გრიგოლ ჩხარტიშვილს თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი გამოკვლევა, სტატია თუ მონოგრაფია. იგი ავტორია შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებისა, რომლებიც განკუთვნილი იყო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისათვის. (გამოქვეყნდა 1962-1968 წწ.) ამ სახელმძღვანელოებით ეხლაც სარგებლობს სტუდენტობა.

საოცარი შემართებითა და ნებისყოფით იცავდა პროფესორი გრიგოლ ჩხარტიშვილი თავის არაორდინალურ იდეებს, ხშირად სავსებით განსხვავებულს საზოგადოდ გაბატონებული შეხედულებებიდან. მა-




გალითად, ის თვლიდა, რომ უმაღლესი განათლების მასობრივ გავრცელება არაფერი სიკეთის მომცემი არაა საქართველოს სოციალური განვითარებისათვის და აუცილებელ ნაპირობად მიიჩნევდა საშუალო სპეციალური განათლების პრიორიტეტულ დანერგვას; ეს ფაქტობრივად ეხლა, 20 წლის დაგვიანებით იწვევდა საქართველოში. ასევე სავსებით არაორდინალურად აფასებდა პროფესორი გრიგოლ ჩხარტიშვილი შუა საუკუნეებში მსოფლიო მეცნიერების სპეციალური ენებზე გადასვლას, რაც, მისი აზრით, პატარა ერების დაჩაგრვას იწვევდა; ამ საკითხში იგი აუცილებლად თვლიდა მეცნიერებაში ლათინური ენის შენარჩუნებასა და ახალი საერთაშორისო ენის შემოღებას ყველასთვის თანაბარი პირობების შესაქმნელად.

ღვანულადი მეცნიერი 1982 წელს გარდაიცვალა — მის რკინიგზო ნებისყოფას ვერაფერი დააკლო კომუნისტურმა „კონცლაკერებმა“, ჯანმრთელობა კი შეურყია.

ღვანულადი პედაგოგის, მეცნიერ-მკვლევარის და კეთილშობილი პიროვნების, პროფესორ გრიგოლ ჩხარტიშვილის ხსოვნა მარად იქნება მისი მოწაფეების და კოლეგების მეხსიერებაში.

თსუ-ის პროფესორი  
გურამ კუტალია





კომპანია Gnergav Electric-ის ლაბორატორიაში მეცნიერებმა შექმნეს ახალი დისკი, რომლის მოცულობა 500 გიგაბაიტს აღწევს. თავად დისკიც და მისი ჩამწერ-წამკითხავი მოწყობილობაც თვისობრივად ახალი ტექნოლოგიითაა შექმნილი, თუმცა მომხმარებელი მას ისევე იყენებს, როგორც ჩვეულებრივ დისკს. ტექნოლოგიური სიახლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩანერის გამოიყენება არა მხოლოდ დისკის ზედაპირი, არამედ მთელი მოცულობა (სისქე). სამეცნიერო წრეებში ადასტურებენ, რომ მსოფლიოში პირველად, მონაცემთა სამგანზომილებიანი ჩანანერის სამრეწველო ნიმუში შეიქმნა. თავად შექმნილები ასეთი ფენების გამრავლების პრობლემაზე მუშაობენ და ამჯერად, ერთი ტერაბაიტი მოცულობის მქონე დისკის შექმნას გეგმავენ.



ძნელი წარმოსადგენია, დღეს ვინმემ არ იცოდეს სიტყვა „სმაილიკი“, მაგრამ ძალიან ცოტამ იცის, რომ ეს გაღივებული კაცუნა სპეციალურად ინტერნეტისთვის არ შექმნილა. 1960 წელს სადაზღვეო კომპანიების გაერთიანების მტკიცებულებით პროცესის დროს, დათრგუნული თანამშრომლების განწყობის ასამაღლებლად, კორპორაციების მესვეურთა შეკვეთით იგი ამერიკელმა მხატვარმა ჰარვი ბოლმა დახატა და მასში სულ რაღაც 47 დოლარი მიიღო. მაშინ ამ გამოსახულებით სპეციალური სამკერდე ნიშნები დაამზადეს. სამოცდაათიან წლებში გამოსახულებას ესპანეთში სპეციალური სლოგანი დაამატეს "Have a Happy Day". ამით სმაილიკის პოპულარობამ იმდენად იმატა, რომ უკვე მაისურებზე და სპორტულ ქუდებზე გაჩნდა. როგორც ხშირად ხდება, მაშინვე გამოჩნდა სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისების მსურველი. ფრანგმა მენარმემ ფრანკლინ ლოუფრანიმ იგი თავის სავაჭრო მარკად გამოაცხადა და მთელ მსოფლიოში გაავრცელა. ერთადერთი, ვისაც გვერდი აუარა, შვედეთელი შტატები იყო, რადგან აქ საავტორო უფლებების პრობლემა ელოდა. საავტორო უფლებების სკანდალი მაინც აგორდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად უამრავი მხატვარი გამოჩნდა, ვინც ავტორობა დაიბრალა და ჰარვი ბოლმა ბოლოს და ბოლოს ხელი ჩაიქიჩა. მან საკუთარი თავი „ბედნიერების საერთაშორისო ელჩად“ გამოაცხადა და ახალი დღესასწაული — „ლიმილის საერთაშორისო დღე“ დააარსა, რომელსაც 1 ოქტომბერს აღნიშნავენ.



საპარაში შესაძლოა გიგანტური ელექტროსადგური აშენდეს. რამდენიმე გერმანული კომპანია უკვე აწარმოებს ამ თემაზე მოლაპარაკებებს და ამ პროცესში ჩასართავად მეცნიერებიც მიიწვიეს. ეს გიგანტური მზის ელექტროსადგური ევროპის დიდი ნაწილის მომსახურებას შეძლებს. თუ პროექტი განხორციელდა, ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე გაიდება კაბელი, რისი მეშვეობითაც ელექტროენერგია სადგურიდან ევროპას მიეწოდება. ეს ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მშენებლობა იქნება და 400 მილიარდი ევრო დაჯდება.

კონკურსში World Expo 2010 ორიგინალური შენობის პროექტი წარმოადგინა და გაიმარჯვა სინგაპურულმა კომპანიამ Design Act. შენობა უნდა აიგოს უცნაური მასალით, რომელიც დიდ კრისტალებს მოგვაგონებს. კრისტალებს კუბის ფორმა აქვს, მათი რაოდენობა კი 3866-ს აღემატება. პროექტის ავტორთა განცხადებით, შენობა სინგაპურის სულსა და მის დინამიზმს განასახიერებს.



დღემდე ითვლება, რომ ინფარქტის შემდეგ გულის კუნთის აღდგენა შეუძლებელია. ამერიკელმა ექიმებმა მიაკვლიეს საშუალებას, რომელსაც ინფარქტის შემდეგ აღდგენის დაზიანებული გულის კუნთზე რეგენერაციის პროცესის დამონევა შეუძლია. მკვლევარებმა ბუფალოს ლაბორატორიიდან უამრავი საშუალება მოსინჯეს და დაადგინეს, რომ ცილა ნერვული-1, რომელსაც ემბრიონის განვითარების პროცესში უამრავი ფუნქცია აკისრია, გულის უჯრედების გამრავლებასაც უწყობს ხელს. ინფარქტგადატანილი თავგების გულზე რეგენერაციის პროცესი მაშინვე დაიწყო და დაზიანებული ორგანოს ფუნქცია მთლიანად აღდგა. შემდეგ ეტაპად, მეცნიერები იგივე ცდის ღორებზე ჩატარებას გეგმავენ და საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებას მხოლოდ ამის შემდეგ აპირებენ.



ნიუ-იორკის უნივერსიტეტის დიზაინერმა ადამ ჰარვიმ გადაწყვიტა პაპარაცების დევნივით განაშენებული ვარსკვლავებისთვის ცხოვრება გაეოთხებინა და გამოიკონა მოწყობილობა, რომელიც ქალის ნებისმიერ ხელჩანთაში ადვილად თავსდება. ეს მოწყობილობა წამის მუხარების მანძილზე „იჭერს“ ფოტოაპარატის კამერას შუქს და თავადაც ასეთივე შუქით პასუხობს, რაც ნეგატივს აფუჭებს. თანაც მოწყობილობას ჩამრთველი ლილაკი არა აქვს და ავტომატურ რეჟიმში მუშაობს. დღესდღეობით ადამ ჰარვის ამოცანაა, რომ მისი გამოყენება მამაკაცებმაც შეძლონ. მოგვსენებათ, მამაკაცებს შორის ხელჩანთის ტარება მიღებული არ არის, ამიტომ ცდილობს მოწყობილობის ზომა შეამციროს, რადგან იგი, ვთქვათ, ჰალსტუხის კვანძში ჩაეტიოს.



მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანია, იაკო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭილაძე, თეა ჯულელი	(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორექსორი	სალომე მახარაძე		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჭავაძე		22 36 62



ოქსფორდში გამართულ კონფერენციაზე — „ტექნოლოგიები, გართობა, დიზაინი“ ამერიკელმა მეცნიერებმა წარმოაჩინეს, თუ როგორ შეიძლება პორტატიული ელექტრონიკა, ყოველგვარი სადენის გარეშე, მხოლოდ ფიზიკის კანონების გამოყენებით დატენო. ახალ ტექნოლოგიას საფუძვლად უდევს ელექტრომაგნიტური რეზონანსის თვისება, რომლის თანახმადც ერთი და იგივე რეზონირებული სიხშირეების საგნებს ისე შეუძლიათ ენერგია ერთმანეთს გადასცენ, რომ ირგვლივ სხვა საგნებს არ შეეხონ. სისტემაში გამოიყენება ორი სპირალი, რომელიც ერთი და იგივე სიხშირეზე მუშაობს და ერთმანეთს ენერგიას გადასცემს. ერთი მათგანი ენერგიას წყაროსთან არის მიერთებული, მეორე კი დასატენ აპარატშია ჩამონტაჟებული. ორ სპირალს შორის ენერგია გადადის, დასატენ აპარატში ელექტრული ძაბვა გროვდება და ამის წყალობით აპარატი იტენება. კომპანია Witericity-ს აღმასრულებელი დირექტორის ჰაილერის განცხადებით, ახალი ტექნოლოგია ყველაზე მეტად იმით მოეწონებათ, ვისაც ბრტყელი ტელევიზორები კედელზე უკიდიათ და სადენები დიზაინს უმახინჯებს. დროთა განმავლობაში, ასეთი სპირალები შეიძლება ჭერში, იატაკზე, ან, ვთქვათ, საწერ მაგიდასთან დამონტაჟდეს და იგი ავტომატურად დატენის ყველა მოწყობილობას, რაც მის რადიუსში აღმოჩნდება.

მეცნიერთა ჯგუფმა მეცნიარების გლობალური დათბობისთვის შემზადება დაიწყო. დასავლეთ კანადისა და ამერიკის შვედეთის შტატების მოშვილებულ ტერიტორიაზე ისეთი ხეები გადარგეს, რომელიც ადრე სხვა კლიმატურ ზონებში იზრდებოდა. ექსპერიმენტის მიზანია გამოიკვეთოს პასუხი შეკითხვაზე — უნდა გაუნოდოს თუ არა დახმარების ხელი ადამიანმა ბუნებას, თუ ის თავად მოერევა კლიმატურ ცვლილებებს. ეს იდეა არც მთლად ახალია და სამეცნიერო წრეებში კარგა ხანია ამაზე საუბრობენ. განსაკუთრებით აქტუ-



ალური კი მას შემდეგ გახდა, რაც კლიმატური ცვლილებების ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფმა განაცხადა, რომ 2010 წლისათვის გლობალური დათბობა მეცნიერთა ჯიშების დაახლოებით 20%-30%, ანუ სწორედ იმ ნაწილს გაანადგურებს, რომელიც ადაპტაციისათვის ცუდად არის მომზადებული. ექსპერიმენტმა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ბუნებასთან ასე ხუმრობა არ შეიძლება, ეს ბალანსს დაარღვევს. ამას კი კატასტროფული შედეგი მოყვება. მეორე ნაწილი, პირიქით, მიიჩნევს, რომ უკანონო დათბობის მძიმე რეალიების გათვალისწინებით, კატასტროფული შეიძლება სწორედ ამ სფეროს თვითდინებით მიშვება აღმოჩნდეს.